# საერთო გაზეთი

№33 (625)
ოთხშაბათი
15 სექტემბერი, 2021წ.
ფასი 1.50 ლ.



იგორ კვესელავა:

## მოდით, ვიშრომოთ და ვიბრძოლოთ ყველამ საქართველოსთვის!

და ნაკლები ვიფიქროთ იმაზე, რას იტყვის ჩვენზე ჯეკი, შარლი თუ ივანი...



**ირაკლი ღარიბაშვილი:**
ევროპარლამენტარი არ არის ჩემი უფროსი, ჩვენი უფროსი არის ქართველი ხალხი!

## მეტი სიცოცხლე ყველა უბანში



## 2 ოქტომბერი – დიდი სანიტარიის და ჩანწოლილი საქონლის (ნაცმოძრაობის) გადაყრის დღე!

## თინას ქმარი იწვის, ხალხო, სირცხვილისგან, სახანძრო გამოიძახეთ, წყალი მიაწვდეთ!

## იანუსის სინდრომი, ანუ გიორგი გახარია გიორგი გახარიას წინააღმდეგ



## ღია წერილი ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანს



არ შეგაწუხებდით, ბატონო ჯანსუღ, მაგრამ თაკომ, ძალიან აიწყვიტა, და იქნებ თქვენ მოუხერხოთ რამე?

## ისტორია ერთი ნარკომანი ბიჭისა, რომელიც მილიარდერი გახდა



## საუკუნის ავანტიურა – როგორ ხიბლავდნენ ქართველი ძმები მსოფლიოს უმდიდრეს ქალებს







## შეიცვლება თუ არა მსოფლიო თალიბების მეორედ მოსვლით?

## „საერთო გაზეთი" – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# 2 ოქტომბერი – დიდი სანიტარიის და ჩაწოლილი საქონლის გადაყრის დღე!



ვახტანგ ხარჩილავა:

ჩვენ რომ გვგონია, 2 ოქტომბერს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია, ნურას უკაცრავად — „ნაცმოძრაობა" და მისი ქვეშევრდომი პარტიების განცხადებით, 2 ოქტომბერი თურმე რეფერენდუმი ყოფილა.

რა ჰგონიათ ამ ჭკუასუსტებს, არჩევნებს რეფერენდუმს თუ დაუძახებენ, ამით უფრო ადვილად დაამარცხებენ „ქართულ ოცნებას" თუ რაშია საქმე?

ბოლო რვა წლის განმავლობაში, თქვენებურად რომ ვთქვათ, ნაცებო, შვიდი „რეფერენდუმი" ჩავატარეთ და ქართველმა ხალხმა შვიდჯერვე უარი გითხრათ, ახლა მაინცდამაინც ამ მერვე „რეფერენდუმზე" გადაუბრუნდებათ ქართველებს ჭკუა და ისევ თქვენ აგირჩევენ ერის თავკაცებად და წინამძღოლებად?

— 2 ოქტომბერს ყველანი რეფერენდუმზე! ჩვენ მოვდივართ რეფერენდუმზე ჩვენი ოჯახებით, ჩვენი მშობლებით! სცენაზე ვთხოვ ანზორ მელიას, ზუგდიდის მერობის კანდიდატს! მადლობა, მამა, ამ ბრძოლაში რომ არ მიმატოვე და გვერდით რომ მიდგახარ! — ცრემლმორეული თვალებით და აკანკალებული ხმით უხმობს „გმირი" შვილი მოხუც მამას და ისიც მოდის, ძლივს მოათრევს წლებისგან დამძიმებულ ფეხებს და რომ უყურებ, გეშინია, არ წაბორძიკდეს, არ დაეცეს და რაიმე არ მოიწიოს.

ღმერთი სულ არ გწამთ, ადამიანობა სულ დაკარგეთ, ნაცებო, ამ დროულ კაცზე რომ ძალადობთ?

ანზორ მელია რომელი ხმების ამღებია ზუგდიდში? დამარცხებისთვის განწირულ ბრძოლაში რომ უშვებ ამ კაცს, ნიკანორ მელია, პირწმინდად რომ ჩაფლავდება, მერე რას ეტყვი — რას მატყუებდი, მამაჩემო, ზუგდიდელებს ჩემზე ამოსდით მზე და მთვარეო, რომ მარწმუნებდი, სულ ესა ხარ? რა ვუთხრა ახლა მიშას, რით ვიმართლო თავი?



**ნიკანორი თბილისში წააგებს, ანზორ-პაპენი ზუგდიდში და ამით დამთავრდება მელიების პოლიტიკური კარიერა — გამოაგდებს მაგათ მიშა ნაცთკოლონიიდან პოლიტაფერისტობის იარლიყით, აგერ, ნახავთ, თუ არა...**

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ გონივრული ეჭვი მაქვს — ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ბევრი პოლიტიკური პარტიის და პოლიტიკოსის ფაზიფუხს და ბაქიბუქს დაუსვამს წერტილს და ბოლომდე გააკოტრებს.

ჩემი ვარაუდით, სრული ბანკროტობის კანდიდატია „ლელო", რომელიც იმ რეიტინგსაც კი ვერ შეინარჩუნებს, რაც საპარლამენტო არჩევნების დროს ჰქონდა, ხოლო, რაც შეეხება „ევროპულ საქართველოს", სადაც ერთი კაციღა (გიგა ბოკერია) აკანტურებს თავს მექანიკურ თოჯინასავით, ის უკვე კარგა ხანია, პარტია კი არა, ერთი კაცისთვის განკუთვნილი საყარაულო „ბუტკაა".

ეს არჩევნები, ერთი ექსპერტის ფრთიან გამონათქვამს თუ დავესესხებით, არჩევნები კი არა, ჩაწოლილი საქონლის ჩამოწერის და ძველი ხარახურის გადაყრის დღეა.

**ქართული პოლიტიკის სახლი დიდი ხანია, გამოსაგველია, არჩევნები კი დასუფთავების სამსახურის ერთგვარ ფუნქცია ასრულებს.**

2 ოქტომბერი რეფერენდუმი კი არა, დიდი სანიტარული დღეა.

მართალია, „ნაცმოძრაობა" და მისი სატელიტები ირწმუნებიან, რომ 2 ოქტომბერს „ქართულ ოცნებას" დაასრულებენ, თუმცა ამაში დიდი ეჭვი ეპარება მიშა სააკაშვილს და სიტუაციის გადასარჩენად საქართველოში აპირებს ჩამოსვლას.

**ვიღაც-ვიღაცები ამტკიცებენ, სააკაშვილი რაც უფრო მიუახლოვდება საქართველოს საზღვრებს, „ქართული ოცნების" რეიტინგი პროპორციულად მოიმატებს და შეიძლება არჩევნებში 48 პროცენტი კი არა, 58%-იც კი აიღოს.**

როგორც ჩვენმა ჩიტმა გვაცნობა, ვოლდემარს (ზელენსკის) რომ გაუგია, მიშა საქართველოში აპირებს ჩამოსვლასო, დაუბარებია მიშა და სულ შავი დღე უყრია: რომ მიდიხარ, სად მიდიხარ, ძმაო, ხომ არ დაგავიწყდა, უკრაინის მოქალაქე რომ ხარ და შენ რომ საქართველოში შეიჭრა, ეს იგივეა, უკრაინა შეიჭრას საქართველოში... თუ წახვალ, იცოდე, უკან არ მობრუნდეო.

— რა შეჭრა, რისი შეჭრა, ჰა და ჰა, საზღვართან მივიდე, ხელს დავუქნევ ქართველებს, ერთს ბიძინას შევუკურთხებ და დავბრუნდები უკან. რა მინდა საქართველოში, მართლა სულელი კი არ ვარ. ვერ გავიგე, რა ნაროდია ეს გიჟ-ვრაცუები — ყველაფრის როგორ სჯერათ, ტო? ერთი ათჯერ მყავს ეგენი გადაგდებული და მაინც სჯერათ, რომ ჩამოვალ! ნორმალურები არიან ახლა ეგენი? — დაუმშვიდებია მიშას ვოლდემარი.



„გიჟვრაცუები" მაინც გულისფანცქალით ელოდებიან თავიანთ გოდოს, რომელიც მოდის, მოდის, მაგრამ ვერა და ვერ ჩამოსულა.

ნაცებს იმედი აქვთ, რომ ამ ცრუპენტელა გოდოს გარეშეც დაამარცხებენ „ოლიგარქს", რომელსაც თავიანთ ყველა უბედურებას და წარუმატებლობას აბრალებენ, იმას კი ვერ ხვდებიან, რომ მათი მუდმივი მარცხის მთავარი მიზეზი მათივე წარსულია.

მარტივი არითმეტიკაა — „ნაცმოძრაობის" ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში 340 000-მდე ადამიანი იყო პატიმარი და პრობაციონერი. ამ 340 000-ს ადამიანს, ცხადია, ჰყავდა ოჯახის წევრები, ნათესავები, ახლობლები. ერთ ადამიანზე თუნდაც სამი კაცი რომ ვიანგარიშოთ, საერთო რაოდენობა მილიონამდე აღწევს.

ეს ის მილიონია, რომელიც არასოდეს არ მისცემს ხმას „ნაცმოძრაობას".



კი, მაგრამ, ბევრი მილიონი ამომრჩეველია საქართველოში, რომ ერთი მილიონი ხმის დაკლება არჩევნების შედეგებს არ დაეტყოს?

ამის გარდა, ნახევარი მილიონი ადამიანი მაინც ხომ ცხოვრობს საქართველოში, რომელიც, მართალია, არც ციხეში მჯდარა და არც პრობაციონერი ყოფილა, მაგრამ, სამაგიეროდ, საღად, სახელმწიფოებრივად აზროვნებს და არასოდეს დაუჭერს მხარს მკვლელების, ბანდიტების, მოძალადეების ხელისუფლებაში დაბრუნებას.

ეს უკვე მილიონ-ნახევარია.

ამ მილიონ-ნახევარს კიდევ ერთი ნახევარი მილიონი დავუმატოთ ე.წ. ადმინისტრაციული რესურსიდან და მივიღებთ ორ მილიონს.

ამ ორი მილიონიდან, ცხადია, ყველა „ქართულ ოცნებას" არ აძლევს ხმას, მაგრამ ეს ის ორი მილიონია, რომელიც „ნაცმოძრაობას" არავითარ შემთხვევაში არ დაუჭერს მხარს და ამ შვიდი არჩევნების განმავლობაში არც არასოდეს ჩაუდენია მსგავსი სისულელე.

**ასე რომ, არავინ არაფერს არ გიყალბებთ თქვენ, ნაცებო, რა რაოდენობის ხმებსაც იღებთ, ეგ არის თქვენი ჭერი, მე თუ მკითხავთ, ცოტათი მეტიც, ოღონდ საიდან მოგაქვთ ეგ მეტი ხმები, ამ საიდუმლოს, ჯერჯერობით, ვერ ჩავწვდი.**



დაბოლოს, პატივცემულო „ქართული ოცნებამ", მე, პოეტს კაცს, რომ დამაჭერინეთ კალკულატორი ხელში, დათვლის და დაანგარიშების სპეციალისტების მეტი რა გყავთ; დასვით ეს სპეციალისტები მაგიდასთან, გვერდით ნაცები მიუსვით და კაკალ-კაკალ დაუანგარიშეთ, რა ავლა-დიდების პატრონებიც არიან.

იქნებ ამის შემდეგ მაინც გაჩუმდნენ, თორემ ამოვიდა ყელში ამათი ღნავილი და ბღავილი...

# „ედისონ რესერჩია“ თუ პოლიტიკური ფრანკენშტეინების რეინკარნაციის ბიურო?

## „ედისონ რესერჩი“ – რას გვერჩი?

სად გამოიკითხა? როგორ გამოიკითხა? რატომ გამოიკითხა? რა უნდოდა? რისთვის უნდოდა? – ნოდარ მელაძის ხმით მინდა ვკითხო საერთაშორისო კვლევების ცენტრ „ედისონ რესერჩს“, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია „ფორმულას“ დაკვეთით სოციოლოგიური კვლევის შედეგები გამოაქვეყნა.

ჩემი შეკითხვები, რა თქმა უნდა, რიტორიკულია, რადგან ყველამ კარგად ვიცით, ვინ, რატომ და რისთვის შეუკვეთა და გამოკითხა, მაგრამ, სანამ კვლევების შედეგებს წარმოგიდგენდეთ, მაინტერესებს: რომელიმეს, ჩემს



მკითხველთაგან, დაკავშირებია თუ არა „ედისონ რესერჩის“ თანამშრომელი და დაუსვამს თუ არა კითხვები არჩევნებთან, ზოგადად, ქვეყნის განვითარების გარშემო, ან პოლიტიკოსების ნდობის ფაქტორის შესაფასებლად?!

რა თქმა უნდა, არა.

როგორც ჩანს, ეს გამოკითხვა, ღრმად პატივსცემულმა მისტერ „ედისონმა“ მხოლოდ ტელეკომპანია „ფორმულას“ თანამშრომლებს და „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერ გარემოცვას დაუსვა.

მისი კვლევით, „ქართული ოცნება“ – 36%; „ენმ – ძალა ერთობაშია“ – 17%; „ევროპული საქართველო“ – 5%; დანარჩენი პარტიები 3 და 2%-ს ინაწილებენ.

24% ამბობს, რომ არ გადაუწყვეტია, ვის მისცემს ხმას.

„ედისონ რესერჩის“ კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 73% აზრით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ლგბტ პრაიდის მონაწილეთა უსაფრთხოება.

გადაუწყვეტელ 24%-ს, თურმე, ჰკითხეს, ვისკენ უფრო იხრება მათი სიმპათია – „ქართული ოცნებისკენ“ თუ ოპოზიციური პარტიისკენ, აღმოჩნდა, თურმე, რომ

ოპოზიციური პარტია – 30%; „ქართული ოცნება“ – 13%; არ ვიცი/უარი პასუხზე — 57%.

ჩემი ნაცნობებიდან გასულ კვირას ბევრმა თქვა, რომ მათ სახლში მიაკითხეს „ქართული ოცნების“ ახალგაზრდა აქტივისტებმა წინასაარჩევნო გამოკითხვაზე.

თბილისში ჩატარებული კვლევის შედეგები უკვე გამოქვეყნდა.

ამ კვლევის თანახმად, „ქართული ოცნება“ – 48,6%; „ნაციონალური მოძრაობა“ – 27,1%; „გირჩი — მეტი თავისუფლება“ – 3.4%; „მოქალაქეები“ – 2,6%; „პატრიოტთა ალიანსი“ – 2,4%; „მესამე ძალა“ – 2,3%; „ლელო“ – 2,3%; „ლეიბორისტული პარტია“ – 1,2%; „გირჩი“ – 1,1%; „ევროპული საქართველო“ – 1,1%; სხვა პარტიები – 2,1%.

„ედისონ რესერჩის“ კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 62% ამბობს, რომ სახალხო დამცველს „ენდობა“. ამავე კვლევის მიხედვით, მოსახლეობის მხოლოდ 38% აცხადებს, რომ ომბუდსმენს „არ ენდობა“.

ახლა, ჩემო მკითხველო, მგონი, თქვენც ნოდარ მელაძისნაირად იკითხავთ: სად და ვინ გამოიკითხა, ლომჯარიას მხარდამჭერები სად იპოვესო?!.

ნაცჟურნალისტები კი გახარებული გამოდიან და თითს იშვერენ: იიი, ხომ ხედავთ, „ქართული ოცნება“ და პატიოსანი ქართველი ხალხი უკვე „გაფარჩაკდით“. „ედისონ რესერჩმა“ „ჩვენიანების“ რეიტინგულობა დაადასტურაო.

„ედისონ რესერჩი“, შენ რაღას გვერჩი?

გაიარ-გამოიარე თბილისის ქუჩებში და კარგად ნახე, ვინ უჭერს მხარს ლომჯარიას და ნაცებს.

რომელ სახალხო დამცველის მხარდაჭერაზეა საუბარი – ვინ დაიცვა ყველაზე შეუპოვრად ლომჯარიამ ლგბტ-ების გარდა და ვის აქვს, საერთოდ, საქართველოში სახალხო დამცველის იმედი, დაგვანახეთ ერთი, თუ ხალხი ხართ?

სამწუხარო ისაა, რომ ბოლო დროს სახალხო დამცველად ისეთი პირები გვევლინებიან, რომლებსაც საზოგადოებაში ნულოვანი ნდობა და ავტორიტეტი აქვთ.

სახალხო დამცველის აპარატი არასახელისუფლებო სტრუქტურული რუდიმენტი გახლავთ საქართველოში და ვის არწმუნებთ, რომ მას 62%-ის სიმპათია აქვს.

რაც შეეხება „ნაცმოძრაობას“, საქართველოში ყველამ იცის, თვით „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებმაც კი, რომ პარტია კი არა, ავანტურისტების და მძარცველების გაერთიანებაა და სინამდვილეში, გადაშენების გზაზე მდგარი პოლიტიკური ნეანდერტალელები არიან.

მათ სიცოცხლისუნარიანობას, მხოლოდ და მხოლოდ, ტელემედია განაპირობებს. ისინი კი დაუღალავად გვიჩიჩინებენ: „ნაცმოძრაობა“ კარგია და მისი რეინკარნაცია – შესაძლებელიო.

სახელგატეხილი, სისხლში მოსვრილი, უავტორიტეტო „პარტიული“ ჯგუფი – „ნაცმოძრაობა“, შეიძლება, დავუშვათ, კვლავ მოექცეს პოლიტიკის ზენიტში, მაგრამ ეს ხომ იქნება ჩემს მიერ ადრე სახელდარქმეული პოლიტიკური ფრანკენშტეინი, პოლიტიკური ზომბი, რეინკარნირებული გახრწნილი პოლიტიკური გვამი?! და ვის სჭირდება ასეთი პარტია და პოლიტიკოსები, თუ არა გვამების მოყვარულებს და ფსიქიკაშერყეულებს.



თუ რეალურად ვიმსჯელებთ, ასეა და თუ ილუზიებში გვინდა, იყოს, ბატონო...

ნახეთ, როგორ გასუქდა და გალაღდა გრიგოლია, როგორ გამოიპრანჭა სანაია და, წარმოიდგინეთ, რომ გალამაზდა ჟიჟილაშვილი. როგორი სტუდიები აქვთ და როგორი აპარატურა. ვინ ხარჯავს ამაში ფულს, თუ არა ის (თუ ისინი), რომლებისთვისაც ისეთი სახის პროპაგანდა, როგორსაც ვისმენთ, სასიცოცხლოდ საჭირო და აუცილებელია?!

ფაქტია, რომ დღეს მედიასივრცეში არსებობენ „ნაცჟურნალისტები“ და არსებობენ „სხვა“ ჟურნალისტები და ესენი ანტაგონისტურად არიან ერთმანეთის მიმართ განწყობილნი. ამ ანტაგონიზმის და საზოგადოების გახლეჩვის შემოქმედი, სულისჩამდგმელი და მასაზრდოებელი, როგორც გამოაცხადა, ამჯერად უკვე ნამდვილად, წინასაარჩევნოდ საქართველოში ჩამოსვლას აპირებს.

ნეტავ, ჩამოვიდეს მართლა.

მართლმსაჯულებას რომ გადაურჩეს, ხალხის რისხვას ვერ დაემალება.

მისი მომხრეები კი, არიქა, ჩვენი საყვარელი პრეზიდენტი ჩამოდის და დავხვდეთო.

აგრესიული კლიმაქტერიული ნევროზით გამწარებული ერთი ქალბატონი კი წინასწარ იპუტავს თმის ღერებს – შტაბს შევქმნი, ორგანიზაციას დავაფუძნებ და მიშას ჩემი ჭკნობამიდრეკილი მკერდით გადავეფარებიო...

ქართველი ხალხი რაოდენობრივად ცოტა კი არის, მაგრამ სულელი კი არაა?! ყველაფერს თავი დავანებოთ და, ვთქვათ, „გავრეცხოთ“ სააკაშვილი, ყველა ცოდვა და ბრალდება ჩამოვაწეროთ, მაგრამ იმას რა ვუყოთ, ერი, ხალხი, საზოგადოება, მოსახლეობა რომ გახლიჩა, ერთმანეთს დააპირისპირა და ერთმანეთი შეაძულა?!

მკითხველი დამეთანხმება, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ იშვიათად თუ ვახსენებ მის სახელს. კარგა ხანია უკვე, ადამიანი ჩამოშორდა პოლიტიკას, ოჯახურ ცხოვრებაშია ჩაფლული, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო მისი და „ქართული ოცნების“ დამოკიდებულება და პოლიტიკა „ნაცმოძრაობის“ მიმართ. ოპონენტებიც კი, თუ სინდისი აქვთ, დამეთანხმებიან, რომ „ქართულ ოცნებას“ რევანშის გზა არ აურჩევია. ბიძინა ივანიშვილი ნამდვილად ბრძნულად დაადგა შერიგების, შეგუების და თანხმობის გზას.

„სისხლი სისხლით არ დაიბანებაო“, ხომ გაგიგონიათ და მშვიდობიანად ვიყოთო, კოჰაბიტაცია დავამკვიდროთო, მშვიდობიანად განვვითარდეთო...

წარმოიდგინეთ, ნაცები რომ ყოფილიყვნენ „ქართული ოცნების“ ადგილზე.

ხოდა, როგორც გველი არ იცვლება ტყავის გამოცვლით, ისე ესენი არ შეიცვლებიან და არც შეცვლილან.

სადაც ხელი მიუწვდება ავადმყოფ, საცოდავ პარანოიკს მიხეილ სააკაშვილს, იქ ნერგავს თავის შხამიან „წიწილებს“.

მაგრამ სხვა გზა არაა – ამასაც უნდა გავუძლოთ.

2 ოქტომბერს „ედისონ რესერჩსაც“, სხვა „მკვლევარებსაც“ და „ნაცმოძრაობასაც“, ჩვენი მოსახლეობა, საქართველო წყნარ, არარევანშისტულ განვითარებას ირჩევს და ბოლოს და ბოლოს ჩამოიცილებს ამ გადამყაყებულ და აშმორებულ ძალას...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18





*გვესაუბრება პოლიტოლოგი ИГОР КВЕСЕЛАВА:*

**— ბატონო იგორ, ხელისუფლებამ ევროპის სესხზე უარი განაცხადა. ამას წინ უძღოდა შარლ მიშელის დოკუმენტის ანულირება და რიგგარეშე არჩევნების ჩატარებაზე უარის თქმა. როგორ ფიქრობთ, ამ ურჩობას გვაპატიებენ?**

— საუბარს ასე დავიწყებ: მახსენდება, პერიოდი, როცა ნიქსონი საქართველოს პირველ პრეზიდენტს ესტუმრა. მისი მიზანი გახლდათ, გაერკვია: იმ პერიოდში, უკვე, თავისუფალი საქართველო, აშშ-ს ადმინისტრაციის მიმართ, რა დამოკიდებულებას გამოამჟღავნებდა. ზვიად გამსახურდიას ამერიკელები მხარს უჭერდნენ. მისი სახელი და გვარი კონგრესში, ხშირად, გაისმოდა. „საქინფორმი“ გამსახურდიასა და ეროვნული მოძრაობის შესახებ ინფორმაციებს, ყოველდღიურად, ავრცელებდა. ამერიკისთვის ყურადსაღები იყო, 9 აპრილის ჩათვლით, ყველა მოვლენა. საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, რუსეთის დაშლასაც მოიაზრებდნენ. რუსეთის დაშლა, ბუნებრივია, საქართველოშიც გარკვეულ პროცესებს გამოიწვევდა. სხვაგვარად, შეუძლებელი იყო. არსებობს მოსაზრებები, თითქოს, ამ პერიოდში სოხუმში ბენ ლადენი ჩამოვიდა. 1991 წელს შეიქმნა მთიელთა კონფედერაცია, რომლის ცენტრი სოხუმი უნდა ყოფილიყო. ამის შესახებ ცნობილი იყო როგორც გამსახურდიასთვის, შევარდნაძისთვის, ასევე, გორბაჩოვისთვის. აი, ეს პროცესები მიმდინარეობდა. პერესტროიკა სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასი იყო. პირადად, მე, საბჭოთა კავშირის დაშლას, სწორედ, სახელმწიფო გადატრიალებას ვუწოდებ. ეს პროცესი დროში გაიწელა. ვერც შევარდნაძე და ვერც გორბაჩოვი ვერ ითვალისწინებდნენ შემდეგს: ეს ამერიკის მიერ შემუშავებული გეგმა იყო. რეიგანმა ხომ თქვა: საბჭოთა კავშირი ბოროტების იმპერიააო. ეს ნიშნავდა, რომ ბოროტების იმპერია უნდა დანგრეულიყო. თუმცა, ნგრევას, ყოველთვის, მოსდევს კატასტროფები. შედეგად, ქვეყანა ამ ნანგრევების ქვეშ არ უნდა მოჰყვეს. ჩვენ, სამწუხაროდ, მაშინ, ნანგრევების ქვეშ მოვყევით. სხვა ქვეყნები — ბალტიისპირეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ბელორუსია ამ ნანგრევებს გადაურჩნენ. ბუნებრივია, აშშ-მ გადაწყვიტა, ამ სიტუაციაში, საქართველოში თავისი ადგილი ეპოვა, რითაც, იგი, ყოველთვის, იყო დაინტერესებული. თუ ისტორიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ 1921 წლამდე, საქართველო აშშ-ს ყურადღების ცენტრშია. ხოლო მას შემდეგ რაც აქ, კომუნისტები შემოვიდნენ, აშშ-ს პრეტენზია აღარ გამოუთქვამს. მათ საბჭოთა კავშირი ცნეს. სტალინის გარდაცვალების მერე კი, წინა პლანზე წამოიწია შემდეგი საკითხი: როგორი უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირი? საბჭოთა კავშირისთვის ახალი იერსახის მიცემა და პარტიის როლის დასუსტება დაიწყო. გარდაცვალებამდე სტალინმა გამოაცხადა: მე, უნდა გადავდგე და კოლეგებსაც ამისკენ მოუწოდა. მან პოლიტბიუროს ნაცვლად პრეზიდიუმი შექმნა. ამას წინ უძღოდა მეგრელთა საქმე, რაშიც ევროპას და აშშ-ს მნიშვნელოვანი როლი მიუძღვით. სტალინსა და ბერიას შორის გაუცხოება მოხდა. ამან სტალინის მკვლელობა დააჩქარა, იგი მოწამლეს, ბერიას რაც მოუვიდა ესეც ხომ ვიცით.

დავუბრუნდეთ დღევანდელობას. აშშ-მ საქართველოში უზარმაზარი თანხები ჩადო. საქართველოში არსებული ამერიკის საელჩო, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, სიდიდით ყველას უსწრებს. ეს შემთხვევითი როდი გახლავთ. აქ, კავკასიისადმი დაინტერესება იკვეთება. რადგან საქართველო კავკასიის ცენტრად ითვლებოდა, სწორედ, ამიტომ, აშშ-მ აქ დიდძალი მატერიალური რესურსი ჩადო. იგი, ქართული სახელმწიფოს საქმეებში მაშინაც და ახლაც, ერევა. ისმის კითხვა: ვართ თუ არა ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა? — მოსახლეობის ნაწილი ფიქრობს, რომ არ ვართ. **საზოგადოება დაბნეულია: ერთი ნაწილი თვლის, რომ აშშ-ს გზით უნდა ვიაროთ, მეორე — ევროპისკენ იხედება და მესამე — ხსნას რუსეთში ეძებს**, რომლის გარეშეც აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთს ვერ დავიბრუნებთ. არსებობს კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც მიიჩნევს: არც ამერიკა, არც ევროპა, არც რუსეთი, არამედ ქართული ორიენტაცია. ასეთი ვითარებაა საქართველოში. რა გვიშველის? — იცით, რომ ეს პრობლემა ვერ მოხსნა გამსახურდიას გადატრიალებამ, პირიქით, საზოგადოება ორად გაიხლიჩა. ეს გახლდათ პირველი სახელმწიფო გადატრიალება. მეორე, განხორციელდა, როცა შევარდნაძე აიძულეს გადამდგარიყო და მოვიდა „ნაცმოძრაობა“. სააკაშვილმა ამერიკელებთან ურთიერთობა უფრო გააღრმავა. სხვა გზა არც ჰქონდა, რადგან იგი, ფაქტობრივად, საქართველოს პრეზიდენტი აშშ-ს დახმარებით გახდა. თავის დროზე, აშშ-ს და ბეიკერის დახმარებით ხელისუფლებაში მოსული შევარდნაძე, შემდეგ, ამერიკის ხელითვე ქვეყნის მმართველობას ჩამოაცილეს. აღსანიშნავია ისიც, რომ სააკაშვილის წასვლასაც აშშ-მ შეუწყო ხელი. მოვედით დღევანდელ დღემდე, როცა აშშ საქართველოთი ყველაზე მეტად არის დაინტერესებული. ვიმეორებ, აქ, უზარმაზარი რესურსებია ჩადებული. ასე, რომ საქმე მარტივად, ნამდვილად, არ არის. ამერიკა ავღანეთიდან გამოვიდა. როგორ ფიქრობთ, კავკასიასაც დაკარგავს? რა თქმა უნდა, კავკასიას ასე ადვილად არ დაკარგავს. მას ურჩევნია, აქ, მმართველი ძალა შეიცვალოს და პრო-ამერიკული ხელისუფლება მოვიდეს, ვიდრე საქართველო დაკარგოს. იმიტომ, რომ მას, ფაქტობრივად, გავლენა არ აქვს არც აზერბაიჯანზე, არც სომხეთზე. სამხრეთ-კავკასიაში დარჩა ერთადერთი ქვეყანა — საქართველო, რომლის დაკარგვა მისთვის პოლიტიკური კრახი იქნება. ჩვენ ამერიკას საოცარ დივიდენდებს ვაძლევთ იმით, განსაკუთრებული ვართ და მას ჩვენს გარეშე არსებობა არ შეუძლია — ამის თქმა, აბსოლუტური, ტყუილია. საქართველო კავკასიაში არის ადგილი, რომელიც, გარკვეულწილად, რაღაც უპირატესობებს ფლობს. ჩვენ, გაცილებით საინტერესო ვიყავით, როცა რუსეთთან თავისუფალი ვაჭრობა გვქონდა. არსებობდა ყაზბეგის და მეორე — სოხუმის გზა. მაშინ, დაინტერესებაც მეტი იყო. ახლა, საქართველოს მიმართ, როცა ეს ტერიტორიები დაიკარგა, სხვა ქვეყნებს ნაკლები ინტერესი აქვთ. პირდაპირ გეტყვით: არცერთ ევროპულ ქვეყანასთან, ჩვენ, არ გვაქვს დადებითი, რაიმე განსაკუთრებული პოლიტიკური და ეკონომიკური ნიშა.



# მოდით, ვიშრომოთ და ვიბრძოლოთ ყველამ ერთად საქართველოსთვის! საქართველოსთვის! საქართველოსთვის! და ნაკლები ვიფიქროთ იმაზე, რას იტყვის ჩვენზე ჯეკი, შარლი თუ ივანი...



**— ბატონო იგორ, საქართველო 2024 წელს ევროკავშირის წევრობაზე განცხადების შეტანას გეგმავს. თუმცა, საკმაოდ ძლიერი ქვეყნები ამ გაერთიანებას ტოვებენ. რა პერსპექტივა გვაქვს ამ გადმოსახედიდან?**

— ევროკავშირის გაერთიანება მთავარმა ქვეყანამ — ინგლისმა დატოვა. მასში რჩება საფრანგეთი, გერმანია, იტალია, თუმცა, იქაც, ბრძოლა მიმდინარეობს. ევროკავშირის დაშლის პროცესი დაწყებულია. ამას საქართველო როდი წყვეტს. იქ, თავი წამოსწია უნგრეთმა, საბერძნეთმა. გავიხსენოთ, ესპანეთის მოვლენებიც. მომდევნო წლებში საინტერესო მოვლენების შემსწრე გავხდებით. ისმის კითხვა: ევროკავშირი გაძლიერდება თუ დასუსტდება ისე, როგორც საბჭოთა კავშირი?! ვფიქრობ, ხელისუფლებაში მოსული ძალები, ღარიბაშვილის მეთაურობით, გარკვეულ ზეწოლას განიცდიან იქნება ეს შიგნიდან თუ გარედან. ჩვენ, ეროვნული კონცეფცია გვჭირდება. დიახ, ხელისუფლება აშშ-დანაც ზეწოლას განიცდის. მეორე მხრივ, **არსებობს მიშელის დოკუმენტი, რომლის ანულირებაც მმართველმა ძალამ მოახდინა. ისმის კითხვა: მონაწილეობდა თუ არა აშშ მიშელის დოკუმენტის შედგენაში? მათ, საერთოდ, უნდოდათ ასეთი დოკუმენტის შედგენა?** ნაცებმა მიშელის დოკუმენტს ხელი არ მოაწერეს — ამაში აშშ-ს ხელი ხომ არ ურევია? იქნებ, მიშელის დოკუმენტის გაქრობაც აშშ-დან მომდინარეობს. აქ, ძალიან საინტერესო კითხვები ჩნდება — მიმდინარეობს თუ არა ბრძოლა საქართველოსათვის ანუ, კავკასიისთვის აშშ-სა და ევროპას შორის? არსებობს თუ არა ეს დაპირისპირება? ამ ფონზე, რა უნდა გაეკეთებინა „ქართულ ოცნებას“?

ხომ საინტერესოა, რა კონცეფცია გვაქვს საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე. აქვე, ვიტყვი, რომ ასე რთული სიტუაცია, არჩევნების დროს, არასდროს ყოფი-



ლა გამსახურდიას დამხობას თუ არ მივიღებთ მხედველობაში. ისიც უნდა ვთქვათ, რომ რუსებმა კავკასიაში მდგომარეობა განიმტკიცეს. განიმტკიცა თუ არა მდგომარეობა საქართველოში აშშ-მ? თუ ევროკავშირი ჩვენს საქმეებში ჩაერევა და მიშელის დოკუმენტის შესრულებას გვაიძულებს, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ამერიკამ უნდა ჩაიჩოჩოს და ჩვენ, ევროკავშირის სახელმწიფოების პატრონაჟის ქვეშ უნდა ვიყოთ?! რას ვირჩევთ — გვყავდეს ბატონი თუ პატრონი. ჩვენ ბატონი კი არა, პატრონი გვჭირდება. ოღონდ, მე, არ მინდა ისეთი პატრონი, რომელიც ჩვენი მფარველი იქნება და მას უნდა შევყუროთ როდის, რას გვიწყალობებს. ეს ხომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებას ეწინააღმდეგება. **რა არის დღეს ჩვენი იდეოლოგია, სად ვართ — დასავლეთში, რუსეთში თუ აშშ-ში?** სახელმწიფოებრივი იდეოლოგია სად არის? ეკლესიაა ჩვენი იდეოლოგია? — იქ, ძალიან რთული პროცესები მიდის. ამიტომ, ვფიქრობ, ეს არჩევნები განსაკუთრებული იქნება. რა ხდება საქართველოში? — ჩვენზე გაბრაზებულია ამერიკა, ევროპა. ქვეყნის შიგნითაც დაძაბული ვითარებაა. ამდენი გაბრაზება კარგი არ არის, ვითარება უნდა გამოსწორდეს. ამიტომ, ხელისუფლებას ვურჩევ: გრძელვადიანი პროგნოზები კი არ გააკეთოს — 2029 წელს კარგად ვიცხოვრებთ და განვითარებული ქვეყანა გავხდებითო, ეს სიცრუეა. ასეთი გათვლები ჰქონდა შევარდნაძეს, როცა ამბობდა: საქართველო გაბრწყინდება, ლტოლვილები აფხაზეთში დაბრუნდებიან, მეორე შვეიცარია გავხდებითო და ა.შ. ჩვენ, ვიფიქროთ: მომავალ წელს რა იქნება. გრძელვადიან პროგნოზებზე დიდი ქვეყნები აკეთებენ გათვლებს, ჩვენ, აქცენტი მოკლევადიან პროგნოზებზე უნდა გავაკეთოთ. კარგად გავაანალიზოთ, რას მოგვიტანს ეს არჩევნები — ისევ ბრძოლას, დაპირისპირებას, სიდუხჭირეს?



**— ხელისუფლებამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა მიშელის დოკუმენტიდან გამოვიდა. მისი შესრულება ხომ ჩვენი სუვერენიტეტის ხელყოფას ნიშნავდა. რა გაგრძელება ექნება ყოველივეს? ეს არჩევნები მოტივად ხომ არ იქნება გამოყენებული?**

— ძალიან კარგი, გააზრებული შეკითხვაა. ქართველებს, ყოველთვის, ვიღაც იყენებდა — ხან რუსეთი, ხან გერმანია და ა.შ. 1941 წელს თურქეთსა და გერმანიას შორის დაიდო ხელშეკრულება რომლის თანახმად საქართველო, საერთოდ, არაფერს აღარ წარმოადგენდა. მათ თავიანთი ქვეყნების სასიკეთოდ მოილაპარაკეს. ქართველებს, ახლაც, იყენებენ. თავად, ჩვენთან რა ხდება? — ერთი ჯგუფი ხელისუფლებაში დასარჩენად ისწრაფვის, მეორე კი — მოსასვლელად. სხვანაირად, არ ხდება. ბრძოლა მხოლოდ ქართულ ძალებს შორის როდი მიმდინარეობს, არამედ გარეთაც ბანაკებად არიან დაყოფილნი. ისინი იმისთვის იღწვიან, რათა საქართველოში გარკვეული გავლენა ჰქონდეთ. არავინ დაინტერესებულა იყო თუ არა მიშელის დოკუმენტი სათანადოდ შესწავლილი. მიშელი ხომ დროებითი ფიგურაა, 2–3 წლის მერე აღარ იქნება. მერე, ახალ მიშელთან ხომ არ დავდებთ კიდევ ხელშეკრულებას. ეს ევროპული დოკუმენტია. ვიმეორებ, არ ვიცით, ჩაერია თუ არა მის მომზადებაში ამერიკა. შეიძლება მის მომზადებაში არა, მაგრამ გაქრობასა და ანულირებაში გამორიცხული არ არის ამერიკის ხელი ერიოს. მიშელი ევროსაბჭოს პრეზიდენტია, მაგრამ განა იგი დგას გერმანიის კანცლერზე, საფრანგეთის პრეზიდენტსა ან იტალიის პრემიერ-მინისტრზე მაღლა?! მიშელი, ფორმალურად, მათ მიერ არის არჩეული. გერმანიას რომ არ უნდოდეს, მიშელს არავინ აირჩევდა. დარწმუნებული ვარ, ამ დოკუმენტის შედგენა ამერიკის მიერ არ მომხდარა. დიახ, ისიც ზუსტად ვიცი: ეს დოკუმენტი სწორედ იმიტომ ანულირდა, რომ მის მომზადებაში ამერიკა არ მონაწილეობდა. ეს ძალიან საინტერესოა. აქედან დასკვნა: **ამერიკელებს არ სურთ, რომ ამიერკავკასიაში ევროპა გაძლიერდეს. ეს, ასეა. ისევე, როგორც ევროპას არ სურს, რომ კავკასიაში ამერიკა გაძლიერდეს.** აი, ეს საკითხები დგას დღის წესრიგში. დააკვირდით, რა ვითარებაა. მიშელის დოკუმენტს „ნაცმოძრაობამ“ ხელი არ მოაწერა. „ქართულმა ოცნებამ“ მისი ანულირება მოახდინა. **ეს არჩევნები ძალიან რთული იქნება, ერთი მხრივ, მიშელის დოკუმენტის ჩაშლის გამო, მეორე მხრივ, აშშ-ს ინტერესების გამო, მესამე მხრივ — რუსეთის ფაქტორის გამო, მეოთხე მხრივ — თვითონ, შიდა, პოლიტიკურ პარტიებს შორის დაპირისპირების გამო.** საით მივდივართ? — ზღაპარში როგორ არის ხომ გახსოვთ: წახვალ მარცხნივ — დაიღუპები, წახვალ მარჯვნივ — დაიღუპები. საით წავიდეთ? — წინ ვიაროთ, იქ, უფსკრულია. აქ, გვმართებს უკან დახევა, სწორი ნაბიჯების გადადგმა და ეროვნულ სახელმწიფოებრივი კონცეფციის შემუშავება, რაც საქართველოს კავკასიაში თავის სულს, ცნობიერებას და ადგილს შეუნარჩუნებს. ეს როგორ უნდა გაკეთდეს? — ხელისუფლებამ უნდა შეიმუშავოს ქვეყნის განვითარების მოკლევადიანი პროგრამა.

**— თქვენ, ახსენეთ: ევროპა და ამერიკა საქართველოსთვის ერთმანეთს უპირისპირდებაო. ჩვენ, მათ ჭიდილში ვიჭყლიტებით?**

— საქართველო ყოველთვის იჭყლიტებოდა, იჭყლიტება და გაიჭყლიტება. ამიტომ, გონიერება, პოლიტიკური წინდახედულება, დიპლომატიაა საჭირო. მაინცდამაინც, არც ზვიად გამსახურდიას რადიკალიზმს ვემხრობი. თუმცა, იგი, ქართულ პოზიციებზე იდგა. ზვიადი ამბობდა: საქართველო უნდა იყოს საქართველოსთვის; ჩვენ, ამ სიტუაციაში, არ უნდა ვიყოთ ჩამოკიდებული არც რუსეთზე, არც ამერიკაზე, არც ევროპაზე. როცა სამივეზე ჩამოკიდებული ხარ და პროცესი მიმდინარეობს, სწორედ მაშინ მზადდება საქართველოს წინააღმდეგ ნაღმი და კიდეც, მომზადდა. ეს ბომბი, აუცილებლად, გასკდება. ვიღაცაზე არ უნდა იყო მიტმასნილი და იმ სხეულით არ უნდა იკვებებოდე. შენ უნდა აჩვენო საკუთარი ძალა, რათა ეროვნულ ცნობიერებას წინსვლის გზა მისცე და არა ვიღაცის ნაწყალობები ეკონომიკური ძლიერებით იარსებო. თუ აქეთ-იქით სიარულს, მერყეობას დავიწყებთ, არაფერი გამოვა. ხელისუფლება პრინციპულ პოზიციაზე უნდა დადგეს, თუნდაც, ამას შეეწიროს როგორც ზვიად გამსახურდია. მის მერე, პრინციპული ხელისუფლება აღარც გვყოლია. სააკაშვილის მმართველობის პირველი 4–5 წლის მანძილზე გვირაბში სინათლე გამოჩნდა. მერე, რა მოხდა — შევჩერდით თუ წინ წავედით? ჩვენ, ვეღარ მივდივართ, ერთ ადგილს ვტკეპნით. ღარიბაშვილს მოვუწოდებ: შექმნას თავისი გუნდი, მთავრობა და დაიწყოს საქართველოს წინსვლისთვის ბრძოლა ყველა მიმართულებით, მათ შორის, ურთიერთობების განმტკიცება. ჩვენ უნდა ავირჩიოთ გზა — ან ევროპული, ან ამერიკული, ან რუსული. გზა იმას არ ნიშნავს, რომ მათ სხეულზე მივეწებოთ. კი ბატონო, ჩვენ, ვირჩევთ ევროპულ გზას, ხომ. ეს იმას როდი ნიშნავს,



რომ მაინცდამაინც, ევროპული საქართველო შექმნა. ასე, გამოვა, რომ ეს ამერიკული საქართველო არ არის. თუ გადავწყვეტთ, რუსეთის საქართველო შევქმნათ, ეს ევროპული აღარ იქნება, ხომ. ეს წინააღმდეგობები არსებობს თავად პოლიტიკოსებში. ევროპული საქართველო ნიშნავს, რომ ევროპელები უნდა დაგვეხმარონ და ა.შ. თქვენ, სწორად ბრძანეთ: ამ სამ ვეშაპთან ჭიდილში საქართველო იჭყლიტება. სანამ სული ამოგვხდება და საქართველო დამთავრდება, საზოგადოებამ გონიერებას არ უნდა მოუხმოთ? რა ვუყოთ იმ ადამიანებს, რომლებმაც ქართული ჩაი მიატოვეს, მუშად თურქეთში წავიდნენ და იქ კრეფენ?! ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები საზღვარგარეთ დამამცირებელ სამუშაოებს ასრულებენ, რათა ოჯახი არჩინონ. ვინც, ვითომ სასწავლებლად მიდის, თქვენ გგონიათ, იქ, დიდ ცოდნას ღებულობენ? ამერიკაში იცით როგორ არის — იქ, სწავლისას, შეხვალ თუ არა



შენობაში, მაშინვე სერთიფიკატს გაძლევენ. ამერიკიდან 50 სერთიფიკატს თუ ჩამოვიტან, ამის გამო პარლამენტის წევრად ან მინისტრად უნდა ამირჩიოთ? ძალიან უღიმღამო მინისტრები გვყავს. აქვე, აღვნიშნავ: **მე, ძალიან მომწონს „საერთო გაზეთის“ პოზიცია, განსაკუთრებით, რედაქტორის სვეტი და ზოგადად, ის ხაზი, რასაც გაზეთი მიჰყვება. რასაც „საერთო გაზეთი“ აკეთებს, სწორედ ეს არის ბრძოლა საქართველოსთვის. დიახ, სწორედ ეს არის ბრძოლა ქართული ცნობიერებისთვის, ქართული იდეოლოგიისთვის.**

ჩვენი პოლიტიკური ელიტა ნაცვლად იმისა, რომ ეროვნული იდეოლოგიის გარშემო დაირაზმოს, სადღაც ვიღაცასთან მიდიან და კაცმა არ იცის რას ლაპარაკობენ. ან დააკვირდით, პარლამენტში რა მოსაზრებები ჟღერდება. მუდმივად, ერთიდაიგივე, 4–5 კაცი გამოდის და ლაპარაკობს. ქართველ მოსახლეობას, ეს ყველაფერი, ყელში ამოუვიდა. რაღაც სიბრტყეზე დგანან — არც იქით, არც აქეთ. 30 წლის შემდეგ, ისევ შემოვიდა ტერმინი — მოღალატე. საქართველო დაყოფილია მოღალატეებად და არამოღალატეებად. ახლა, მარტვილში ვარ და ვიცი აქ, რა განწყობებიცაა. ჭკუას თუ არ მოუხმეს, ქართველი საზოგადოება „ქართული ოცნებისთვის“ თავს არ გასწირავს. ჩვენი პოლიტიკური გზა, სამწუხაროდ, მხოლოდ ცდა არის და არა დამკვიდრება. მისაღებია თუ არა საქართველოსთვის საპარლამენტო რესპუბლიკა? პირდაპირ გეტყვით: საქართველო არ არის მზად საპარლამენტო რესპუბლიკისთვის. აი, შედეგიც. ჩვენ კი არა, იტალია და ისრაელი არ არის ამისთვის მზად. ჩვენ, განვითარებადი ქვეყანა ვართ და ამ ჭოგრიტით უნდა ვუყუროთ ყველა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ მოვლენას. ამას თუ ვერ გავაკეთებთ, საქართველო დამარცხდება. ახლა, უფსკრულთან ვდგავართ და ყველა მხარეს კარგად უნდა გავიხედ-გამოვიხედოთ და სწორი გზა ვიპოვოთ, რათა არ გადავიჩეხოთ.

**— ბატონო იგორ, დასაწყისში დამოუკიდებლობა ახსენეთ, მაგრამ აშკარაა, რომ ჩვენი პარტნიორები სულაც არ გვთვლიან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.**

— ჩვენ, დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ ქაღალდზე, კონსტიტუციურად. აბსოლუტურად დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არსებობს. ჩვენ, ყოველთვის, ვიღაცაზე მიბმული ვიყავით, ვართ და ვიქნებით. ამიტომ, საკუთარ თავში ძალა უნდა ვიპოვოთ, რათა მთლიანად მიბმული კი არ ვიყოთ, არამედ მათთან პოლიტიკური, კულტურული კავშირები გვქონდეს. გამსახურდიას, სწორედ ეს უნდოდა. იგი, ამბობდა: არ უნდა მივებათ არც რუსეთს, არც ევროპას, არც ამერიკას, მაგრამ მათ გვერდით ვიყოთ, მფარველებად ნუ გამოვაცხადებთო. ჩვენ, სამწუხაროდ, სახელმწიფოებრიობის განცდა არ გვაქვს. ეს, თამარის მეფობის შემდეგ დასრულდა. საქართველო დაყოფილი იყო ქართველურ სახელმწიფოებად, რუსეთის გუბერნიაც ვიყავით. დიახ, სახელმწიფოებრიობის განცდა არ გვაქვს, რაც სულ წინ გვხვდება. ამის შესახებ თქვენი რედაქტორი ხშირად წერს, რაც აუცილებელი და საჭიროა. ახლა, სად ვართ? — რაღაც შუალედი უნდა მოიძებნოს. შევარდნაძის დროს, ნგრევის შედეგად, ეს ნანგრევები თავზე დაგვეცა და ელიტარულმა კორუფციამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ეს გაგრძელდა „ნაცმოძრაობის“ დროსაც. ქართული იდეოლოგიის უქონლობა, ვიღაცაზე ბრმად მიბმა, დამღუპველია. რასაც სენატორი, კონგრესმენი ან მიშელი დაიყვირებს, ყველაფერი უნდა ვაკეთოთ, მათ ჭკუაზე უნდა ვიაროთ? მიშელის დოკუმენტი ანულირდა. ევროპა, რა რეაგირებას ახდენს? განა, მან არ იცოდა, რომ ეს დოკუმენტი წინააღმდეგობებს გამოიწვევდა. დავფიქრდეთ, ვინ დგას ამ დოკუმენტის უკან? — სქართველო, რუსეთი, ამერიკა, ევროპა თუ ვინ. სად ვართ, ჩვენ, როგორც საქართველო, როგორც მმართველობა, დამოუკიდებელი ქვეყანა? დამოუკიდებელი ვართ ქაღალდზე? თუ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, მიშელის და კონგრესმენების ნათქვამი, ჩვენთვის, გადამწყვეტი არ უნდა იყოს. დიახ, გადამწყვეტი უნდა იყოს საქართველოს საზოგადოებრიობის ხმა. რას იტყვის ქართველი ქართველზე, საქართველოზე, ხელისუფლებაზე, ეს უნდა იყოს გადამწყვეტი და არა ის, რას იტყვის მიშელი. მოდით, ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ ყველამ ერთად საქართველოსთვის, საქართველოსთვის, საქართველოსთვის. აი, ეს არის მთავარი.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ღია წერილი ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანს

(მისამართი: მთაწმინდა. მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი)

## არ შეგაწუხებდით, ბატონო ჯანსუღ, მაგრამ თქვენმა ქალიშვილმა, თაკომ, ძალიან აიწყვიტა. ვერ ვაჩერებთ და იქნებ თქვენ მოუხერხოთ რამე?



2021 წლის 10 სექტემბერს საქართველოში ისტორიული ამბავი დატრიალდა – დიდმა პოლიტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ, თაკო ჩარკვიანმა საზოგადოებრივ საწყისებზე დააფუძნა მოძრაობა სააკაშვილის მშვიდობიანად დასაბრუნებლად. არა, მიხას მშვიდობიანი დაბრუნება ვინ გაიგონა (ეგ ზღაპარია), მაგრამ დღეს სხვანაირად არ გამოდის, დავთარში ეგრე უნდა ჩაიწეროს და ინგა გრიგოლიას გადაცემაშიც ეგრევე უნდა ითქვას, თორემ კანონი აყაყანდება.

ქალბატონი თაკო, ერთ დროს ჩემი მეგობარი იყო, უფრო მამამისთან ვმეგობრობდი და მერწმუნეთ, თითოეულ სიტყვას ვზომავ, ვწონი, არ მინდა, რაღაც ზღვარს გადავიდე, მაგრამ ვის მიმართაც ის უმადურობას იჩენს, ვისაც უსამართლოდ გადაეკიდა, ისინი ჩემი უახლოესი ადამიანები არიან. დიახ, ბიძინა ივანიშვილს და ირაკლი ღარიბაშვილს ვგულისხმობ, ორივეს ვაფასებ, ორივეს ძალიან დიდ პატივს ვცემ, ძალიან მიხარია, რომ ასეთი გამრჯე ადამიანები ამ ქვეყანას ჰყავს და, როცა მათ შეურაცხყოფას აყენებენ, ვცოფდები!





დამიჯერეთ, სხვა გზას აღარ მიტოვებს ეს ქალი – აწ განსვენებულ ჯანსუღს უნდა მივმართო ღია წერილით, მოვუყვები, როგორ გადადის მალაყზე მისი ქალიშვილი, რა საშინელი აზრები უტრიალებს თავში.

### ღია ბარათი აწ გარდაცვლილ ჯანსუღ ჩარკვიანს

ბატონო ჯანსუღ, სანამ ცოცხალი იყავით, თაკო ეგეთ რაღაცებს ვერ ბედავდა. კი, არ უარვყოფ, ისიც ებრძოდა სააკაშვილის ფაშისტურ რეჟიმს თავისებურად, მაგრამ მაინც თქვენ იყავით წინა პლანზე. მახსოვს, როცა ივანიშვილი გამოჩნდა პოლიტიკაში, თაკო დიდი სასოებით წარმოთქვამდა ხოლმე მის სახელს: ოოო... ბატონი ბიძინა? ის გენიალური ადამიანია!

დიახ, ვეთანხმებოდი და დღესაც ხმამაღლა ვიტყვი, მართლაც გენიალური ადამიანია!

პირველად თაკოს გული მაშინ გაიბზარა, როცა რამდენიმე პიროვნებასთან ერთად კულტურის სამინისტროში მივარდა და გამოაცხადა – ყველანი გაეთრიეთ აქედან, ჩვენი დრო დადგაო.

თქვენი ქალიშვილი ვერ გაერკვა სიტუაციაში, ბატონო ჯანსუღ, მას ეს დრო იმ დროში აერია, ზვიად გამსახურდია რომ გააძევეთ და ვიღაცები თავიანთ ხოშზე მოსხდნენ თანამდებობებზე. ისევ იქ არი ჩარჩენილი და რა ქნას? აგერ, 30 წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ და ისევ რევოლუცია, ნგრევა, ცეცხლი და მახვილი ელანდება, სისხლი სწყურია. ამჯერად მიზანში ბიძინა ივანიშვილი ამოიღო, ის უნდა გააძევოს, გააგდოს, ზუსტად იმას ითხოვს, რაც 1990-იან წლებში გამოგივიდათ. ზვიად გამსახურდიაზე ბევრს არ ვილაპარაკებ, ყველამ ყველაფერი მშვენივრად იცის, მაგრამ ერთს კი აღვნიშნავ: ამას წინებზე თაკო მოსთქვამდა, ჩვენ მაშინ შევცდითო, მოგვატყუესო, მტრებმა ისარგებლესო, ზვიადი ჩვენი ოჯახის ახლობელი იყოო, რამდენიმე წლის წინ მე და კოკო გამსახურდია დავსხედითო, ვილაპარაკეთო, ყველაფერი გავარკვიეთო, შევრიგდითო. ხედავთ, აზროვნების რა დონეა? ის შეხვდა კოკოს, ელაპარაკა, შეიძლება ბოდიშიც მოუხადა, შევცდითო... მაგრამ ამ ქვეყანას რა ხეირი? ეს ქვეყანა რომ გადაიწვა და გადაიბუგა, ამაზე პასუხი ვინმემ აგო? არ აგო, მორჩა, ზოგი მოკვდა, ზოგი მალე მოკვდება, აზრიც აღარ აქვს!

კიდევ კარგი, დღეს სახელმწიფო წელშია გამართული, წურბელებს აღარ აქვთ საშუალება, ხელისუფლება დაამხონ და ბიძინა ივანიშვილი ან სხვა ვინმე გააძევონ.

რას ცდილობს, რა უნდა თაკოს?

იმის გამო, რომ თავის დროზე კულტურის მინისტრად თუ მოადგილედ არ დანიშნეს, ჩაიბოღმა. მაგას უნდა ემართა ქართული კულტურა, სპორტი, განათლება, მეცნიერება.არ გამოვიდა, ვერც გამოვიდოდა, ჩემზე უკეთესად იცით. ავი ენები კიდევ ათას რაღაცას ამბობენ, ათას რაღაცას ყვებიან იმაზე, თუ რატომ განაწყენდა და რატომ ჩაუვარდა ფეხებში თაკო მიხეილ სააკაშვილს. მე არ ვიცი, სიმართლეა თუ არა, რაც ვიცი, მხოლოდ იმას ვიტყვი. ჯერ იყო, გრიგოლ ვაშაძე „გააპატიოსნა“, პრეზიდენტად აკურთხა, შემდეგ ჭიჭე ვაშაძეს შეუჩნდა, პრემიერ-მინისტრად უნდა დაგნიშნოვო, ეხლა კიდე ამტყდარა, სააკაშვილი უნდა დავაბრუნოვო, მშვიდობიანად ჩამოვიყვან უკრაინიდან – საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავიო? ის აღმაშენებელიაო!

ბატონო ჯანსუღ, ერთი თაკოა მეფე თამარი, მეორე სააკაშვილია აღმაშენებელი, მესამე კიდე ჯუნიორა ვაშაძეა ნაპოლეონი.

თქვენ რომ ცოცხალი ყოფილიყავით, ეს აფრებს ეგრე ვერ აუშვებდა. ბოლო-ბოლო, რა გამოდის, მე და თქვენ მიხას მოვუხაზეთ, სამართლიანად „დავკოდეთ“, ეს კიდე მის დაბრუნებას ითხოვს?

ვააახ, სირცხვილი და თავის მოჭრა!

გახსოვთ, ჭადრაკის სასახლეში რომ შევიკრიბეთ „ნაციონალების“ საწინააღმდეგოდ? მაშინ მითხარით, მიშაზე ლექსი დავწერე, უნდა გითხრაო. უუუუჰ... ძაან მაგარი იყო, მაგრამ იმნაირი, ყურო ნუ გაიგონებ, თვალო ნუ წაიკითხავ!

მახსოვს, ყოველთვის მადლიერი იყავით ბიძინა ივანიშვილისა. ან კი რატომ არ უნდა ყოფილიყავით, როცა 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, სიცოცხლის ბოლომდე ოჯახს გინახავდათ? ისიც მახსოვს, როცა ივანიშვილს ახსენებდით, პირჯვარს იწერდით. მერე იყო მამუკას ჯანმრთელობის პრობლემა, დღეს რომ ის ცოცხალია, ირაკლი ღარიბაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა – მათ გააგზავნეს გერმანიაში გადასარჩენად. შენ ძალიან გულდაწყვეტილი იყავი, ფაქტობრივად ხელიც კი გქონდათ ჩაქნეული. რამდენჯერ გკითხე, რას აპირებთ-მეთქი? არ ვიციო, უიმედოდ აიჩეჩეთ მხრები.

არ ვიცი... ცოცხალი რომ ყოფილიყავით, ალბათ ეს ყველაფერი არ მოგეწონებოდათ. არა, განა თაკო ვინმეს ჩამომყვანია? ვინაიდან სააკაშვილმა ჭიჭე ვაშაძეს აჰკიდა და პარლამენტში შეაყვანინა, ახლა თავს ვალდებულად თვლის, ვალი გადაიხადოს, მაგრამ არ გამოვა, არაააა!

არც ეგრე გაცვედნებულა საქართველო, აქ სააკაშვილის ხროვა მობრუნდეს!

ჰმ... სააკაშვილიო, მშვიდობიანადო, აღმაშენებელიო... იცით, რა სასაცილოა ეს ყველაფერი?

ბუნებაში ღირსეული მტრებიც არსებობენ, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უნამუსობასთან. ერთ მხარეს არიან ადამიანები, რომელთა წონაც გაცილებით მეტია, ვიდრე მეორე მხარეს მდგომთა წონა. ელემენტარულია, მოდით, ადამიანურად განვსაჯოთ: ამ ქვეყნიერებაზე (ასე გიყვარდათ ხოლმე თქმა, ქვეყნიერებაზეო) არსებობს ადამიანი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მოგყვება და არჩენს შენს ოჯახს. გინდათ, თანხის რაოდენობაც გავამჟღავნოთ? ყოველთვიურად 3 (სამი) ათასი ლარი. ეს ფული დღესაც არ არის ცოტა, მით უფრო მაგარ ხელფასად ითვლებოდა 1990-იან და შემდგომ წლებში. შეიძლება, ამხელა სიკეთის გამკეთებელს იქით შეუბრუნდე და აგინო? შეიძლება, ასეთ ადამიანს რუსი ოლიგარქი ეძახო და ქვეყნიდან გაძევება მოითხოვო? არ ვიცი, ეს რანაირი ადამიანობაა, რანაირი მიდგომაა? თაკოს თვითონ აქვს ნათქვამი ჩემთან, როგორ წაართვეს მის ქმარს (ჯონი გიგანს) სასტუმრო „საქართველო“, რომელიც შევარდნაძის დროს ჰქონდა გამოსყიდული თუ გამოჩუქებული, როგორ შეუცვივდნენ ნიღბიანები ავტომატებით, როგორ დააგდეს იატაკზე და ახოხიალეს, სცემეს, აწამეს მანამდე, სანამ არ გადააფორმებინეს. ახლა ვზივარ და ვფიქრობ, როგორ შეიძლება, ასეთი ტრაგიკული თავგადასავალის შემდეგ ისევ იმ ადამიანს მიუჩოჩდე, ისევ იმ ადამიანს აულოკო ფეხები, ვინც ასე დაგამცირა და გაგაფარჩაკა? ვინ არიან ესენი, ბატონო ჯანსუღ, საიდან მოვიდნენ, ნუთუ ამათი აზროვნების ჩამოყალიბებაში თქვენი ხელი ურევია?

არიქა, ბიძინა ივანიშვილი რუსეთისკენ მიგვაქანებსო... დღეს რუსეთ-საქართველოს ომიაო, – ამოუჩემებია თქვენს ქალიშვილს და აღარ ჩერდება. ჩვენ რუსეთისკენ ვერავინ გაგვაქანებს, გაქანებულებიც ვართ და გამოქანებულებიც (მიხამ მაგრად შემოაქანა), პუტინის ჯარისკაცები თბილისიდან 25 კილომეტრში დგანან, ცხინვალის რეგიონი აითვისეს, აფხაზეთი აითვისეს, მეტი აღარც სჭირდებათ, თუ დასჭირდებათ, ისე აგვირევენ ნებისმიერ კუთხეს, ორ დღეში საერთოდ ვეღარ ვიცნობთ იქაურობას და თქვენ წარმოიდგინეთ, ეს მოხდება ისევ შინაური მტრების ხელით... ისეთების ხელით – „ნაციონალებს“ რომ ეძახიან. უკაცრავად კი გახლავართ, ბატონო ჯანსუღ, მაგრამ ძალიან მაგარ გოიმობად მეჩვენება, შარვლებს რომ ჩაიხდიან და რუსებს მიუშვერენ ხოლმე (ფუჰ!). ასევე გოიმობად მეჩვენება ისტერიკა რუსეთის წინააღმდეგ, ამის „საუკეთესო“ მაგალითს კი ქალბატონი თაკო იძლევა ხოლმე, ისე იქცევა, გეგონება ინგლისის დედოფლის ოჯახში დაიბადა და „მოსკოვებში“ საერთოდ არ გაუვლია!

ბოდიშს ვიხდი მკითხველების წინაშე, თაკოს „მოღვაწეობა“ ნამდვილად არ ღირდა ამდენ ყურადღებად, უბრალოდ ნერვები მეშლება, როცა ასეთ უმადურობას ვხედავ... არადა, ყველაზე ძალიან ამ სიტყვას ვერ ვიტან (უ-მა-დუ-რო-ბა!), როდესაც ბიძინა ივანიშვილი ფულს იძლეოდა, მაშინ არც რუსი ოლიგარქი იყო და არც დიქტატორი (სასაცილოა ივანიშვილის დიქტატორობა), დააბრუნოს ის ფული, ხიხიაა, ცუდია, რუსულია, რა, არ აქვს ბატონ გიგანს? აქვს, მაგრამ ისევ იქით ეპოტინებიან, იქით აქვთ პრეტენზიები, ერთი ხე არ დაურგავთ ამ ქვეყნისთვის და ხელისუფლებაში მიძვრებიან, სამშობლო უნდა ვიხსნათ ბიძინას კლანჭებისგანო. რასაც ეს კაცი აკეთებს, იმის მეასედი გააკეთონ და ჯანდაბას, მერე ილაპარაკონ!

ეეეჰ... ძალიან მწყდება გული, ნათელში იყოს თქვენი სული, თქვენ კი გწერთ, მაგრამ ამას სხვების გასაგონად ვაკეთებ, იქნებ გონს მოეგონ, იქნებ გაიაზრონ, რომ ქვეყნის ღალატში აქვთ ფეხი ჩადგმული და ეს მათთვის კარგად არ დასრულდება, ჩვენ ბამბას არ ვარჩევთ, შეცდომა ერთხელ დავუშვით, როცა კიტოვანი და მისი მსგავსნი არ ჩავაქვავეთ რუსთაველის გამზირზე. ახლა ეგ აღარ მოხდება, მიხეილ სააკაშვილი არა, შაშა, კოლა და ჩემი ფეხები!!!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# მიშმაკ სააკაშვილის მე-17 „გაელვება“





გაქსუებულმა მიშმაკ სააკაშვილმა მეჩვიდმეტედ გადაწყვიტა საქართველოში დაბრუნება. 2012 წლის შემდეგ ყოველი არჩევნების წინ დაბეჯითებით აცხადებს, რომ ის აუცილებლად ჩამოვა და ქვეყანას ერთ კვირაში დაალაგებს, ააყვავებს და სიტყვის თავისუფლებასაც დაამყარებს. ბატონი მიშმაკი ასევე ამტკიცებს, რომ ის ძალიან შეიცვალა, უფრო ლმობიერი, დამთმობი და „დემოკრატიჩესკი ჩელოვეკი“ გახდა. სინამდვილეში ისევ ის ნაგავია, რაც 2012-მდე იყო (ადამიანები ასე იოლად არ იცვლებიან), მაგრამ თავის „ფანებს“ აბოლებს, გამოვსწორდი, აწი ჩემი ხელქვეითები ვეღარ მომატყუებენ, ბიზნესმენებს ვეღარ დააყაჩაღებენ, ხალხს აღარ მიაყურადებენ, აღარ უთვალთვალებენ, საწოლებში აღარ გადაიღებენ, ქუჩაში ახალგაზრდებს აღარ ჩახოცავენ, პატიმრებს „დუბინკებით“ აღარ გააუპატიურებენ, სანდრო გირგვლიანს აღარ მოკლავენ... რაც იყო, იყო, უნდა ვაპატიოთ, თანაც ისე, რომ პატიებას არ ითხოვს. ისე, რატომ უნდა ითხოვოს პატიება, მან ხომ ამის შესახებ არაფერი იცოდა? იცოდა კი არა, ამ ჩათლახის ხელწერა და სტილი გახლდათ, რაც ხდებოდა, მაგრამ ყოველი არჩევნების წინ თამაშობს, ბოდიალობს, მიედ-მოედება!

მე აუცილებლად დავბრუნდებიო, — აცხადებს ყოველი არჩევნების წინ. საამისოდ ერთი თვე აქვს ხოლმე გამოყოფილი. დგანან მისი მომხრეები და დღეებს ითვლიან, თან მკითხაობენ — ჩამოა? არ ჩამოა? ჩამოა?

პაპაჩემი დიდ სამამულო ომში დაიკარგა, წავიდა და აღარ დაბრუნდა, არც წერილი მოუწერია, არც არაფერი. ხშირად იმედი მაქვს, შეიძლება ის უფრო დაბრუნდეს, ვიდრე მიშმაკ სააკაშვილი დაბრუნდეს. ამ უბედურს აკვიატებული აქვს, გინდათ თუ არა, სამშობლო უნდა გადავარჩინოო, ვერ მოიშორა ბოღმა-ბალღამი ბიძინა ივანიშვილის მიმართ, იუკადრისა, როგორ თუ ძალაუფლება ჩამომართვაო? ჯერ ერთი, ივანიშვილი გაცილებით ჭკვიანია, მისი მოშორება არც უნდა გასჭირვებოდა და მეორეც — ვინ ჩემს ფეხებს წარმოადგენს სააკაშვილი, მუდმივად ზემო თაროს რომ უნდა მჯდარიყო? თქვენ თუ არ გახსოვთ, მე მახსოვს, როგორ დააწერინა ავთანდილ დემეტრაშვილს ახალი კონსტიტუცია. კონსტიტუციას ემახდნენ, თორემ ეს მიშმაკის მიზნებსა და ამოცანებზე მორგებული ტილო იყო. სწორედ დავით ბაქრაძე იყო მაშინ ამ ყველაფრის ზედამხედველი, ის უმზადებდა სააკაშვილს პრემიერ-მინისტრის პოსტს. რომ არა ბიძინა ივანიშვილი, დღეს ისევ მიშმაკი გვეჯდებოდა ზემო თაროზე და ვიქნებოდით მუდმივ სტრესულ მდგომარეობაში. გახსოვთ, როგორ გამოგვეცხადებოდა ხოლმე ყველა არხზე ყოველ დილით თავის სიგრძე მიკროფონით და როგორ დაგვჭყიოდა ზემოდან? ჰა, არ გახსოვთ? ყველანი ციხეში, ნულოვანი ტოლერანტობაო, რომ ღრიალებდა, არც ისა? 2007-ში ქართველი ხალხი ტლაპოში რომ ათრია, ისიც გემახსოვრებათ... 2008 წელი, აგვისტოს ომი, დაბომბვა, სიკვდილიანობა, ღალატი, გამყიდველობა, ჩათლახობა, მაიმუნობა... მაშინ უნდა გამოსულიყო ხალხი და გამოეთრია კაბინეტიდან ეს კეთილებმოტ...ნული არსება, მანამდეც უნდა გამოსულიყო, მაგრამ არ გამოვიდა, მიუტევეს, აპატიეს, გაუშვეს, მას მერე რამდენიმე წელიწადს კიდევ აპრეზიდენტეს.

ბოლო დღეებში გარკვეული წრეებიდან ვხედავ შეშფოთებულ ადამიანებს, რომლებიც წამდაუწუმ კითხულობენ: ნუთუ მართლა ჩამოვა? არა, ვერ ჩამოვა, მაგრამ რომ ჩამოვიდეს, მერე? მე ასეთებს ვპასუხობ — ჩამოვა? საზღვარს გადმოაბიჯებს? ეგრევე აღმოჩნდება გლდანის საპყრობილეში. მიშმაკ სააკაშვილზე საქართველოს ხელისუფლებას ძებნა აქვს გამოცხადებული. მას საქართველოში დაუსწრებლად მიუსაჯეს პატიმრობა სანდრო გირგვლიანის მკვლელობასა და დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტებზე.

ამაზე მეუბნებიან, თუ მას დააპატიმრებენ, ციხიდან გმირი გამოვაო. ჰა, ჰა, ჰა... გახსოვთ, რას ამბობდნენ ვანო მერაბიშვილზე? ჯერ იძახდნენ, არ დაიჭიროთ, მთელი საქართველო გარეთ გამოვა, ჯანყი მოხდებაო, დაიჭირეს და ყველას ეგონა, იქიდან გმირი გამოვაო. აგერ, გაათავისუფლეს მერაბიშვილი, გადმოაბიჯა თუ არა საპატიმროს ზღურბლს, ეგრევე დაიქადნა, შემოდგომაზე ხელისუფლებას შევცვლიო. ბევრმა ტაში დაუკრა, ვანო გმირადა ქცეულაო. რას ამბობთ, ხალხო, როდის იყო, ჩათლახები ციხიდან გმირები გამოდიოდნენ?

ჩვენს გარშემო ზოგიერთი აჟიტირებულიც არის და ჩაპანიკებულიც. ამ კატეგორიის ადამიანები ამტკიცებენ, რომ ის აუცილებლად ჩამოვა... რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, მათ ყველაზე კარგად იციან, თუ დაეკითხებიან, კარგი იქნება. მე პირადად ასეთებისა არ მჯერა, ასეთები ყოველი არჩევნების წინ ასე მსჯელობენ, ასეთები ყოველი არჩევნების წინ ერთი და იგივეს ამტკიცებენ.

სააკაშვილი შარშან საპარლამენტო არჩევნების წინ უფრო მოწადინებული იყო, ვიდრე ახლაა. გაიხსენეთ, ეს უპატრონო იძახდა, მზად ვარ, პრემიერ-მინისტრი გავხდე, ოღონდ არასრული ვადითო:

„ვიქნები მაქსიმუმ 2 წელიწადი... ეს 2 წელიწადი საკმარისი იქნება, რომ ქვეყანა ამოვათრიოთ ჭაობიდან და ძალიან სწრაფად წავიდეთ წინ. მე მზად ვარ, ვიკისრო ეს და 24 საათი ვიმუშაო, 7 დღე კვირაში ვიმუშაო და თქვენ იცით, რომ ამის უნარი მე მაქვს... და ყველამ ერთად, სხვადასხვა შეხედულებების ადამიანებმა, ძალიან ფართო ფრონტით შევძლოთ ჩვენი ქვეყნის გადარჩენა“.

მე ვიქნები პრემიერ-მინისტრი 2 წელიწადიო, მერე წავალ, დავისვენებო.

სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ ვანო მერაბიშვილმაც წამოროშა, ქვეყანას ფეხზე დავაყენებ, მერე წავალ, სიტუაციას შორიდან შევხედავო. ამათ ძაან „საინტერესო“ გეგმები აქვთ — ჯერ მოსვლა უნდათ, შემდეგ კი „მაყურებლობა“.

მოკლედ, დამღალა ამ ხალხმა უკვე, მეჩვიტმეტეჯერ ჩამძახიან, მიშმაკი მოდის, მიშმაკი მოდისო.

ხალხო, ვერ მოვა ეგ მიშმაკი, ზემოთ უკვე გითხარით, ძებნილია, ციხეში უნდა ჩაჯდეს. ვერ ჩაჯდება, მშიშარაა, გაიხსენეთ 2008 წელი, როგორ გადათხარა გორში რამდენიმე ქუჩა ცხვირით. რატომ გადათხარა? ხმა გაიგონა რაღაცის. მგონი თვითმფრინავიც არ იყო, რომ ყოფილიყო, კადრში მოხვდებოდა. არ გამოვრიცხავ, სადმე სიახლოვეს მაყუჩგახეთქილ „კამაზს“ გაერბინა. წაწვა, გაერთხა მიწაზე, ფერი დაკარგა, წააწვნენ ზემოდან დაცვის წევრები. მანამდე ჰალსტუხი ღეჭა, ესეც გაიხსენეთ. თუ დარწმუნებულია, რომ საფრთხე არ ემუქრება, გულადია, ავია, იქით იწევს საკბენად და საღრენად, თუ ძალაუფლება დაკარგა, თუ ოდნავი საფრთხე მაინც იგრძნო, იფსამს, ფორთხავს, არაადეკვატური ხდება.

მოდით, საკითხს უფრო ჩავუღრმავდეთ და დავსვათ შეკითხვა: არის თუ არა სახელმწიფოსთვის საფრთხისშემცველი სააკაშვილი, როგორც ფიგურა და მისი ტინგიცობა? თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის 20–27% წაუდებილებს, მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ ის საფრთხეა. გადის წლები, იცვლება დრო, ვითარდება ტექმოლოგიები, აზროვნება, მაგრამ „ნაციონალებში“ არაფერი იცვლება, როგორებიც იყვნენ 2012 წლამდე, ისეთებადვე დარჩნენ. გეუბნებით, არავითარი ცვლილება, არავითარი წინსვლა, არავითარი პროგრესი. აი, მაგალითისთვის ავიღოთ დეპუტატი ეკა ხერხეულიძე (ასეთი დეპუტატები რომ გეყოლება, ქვეყანა კარგად რანაირად უნდა იყოს?), რომელიც ამტკიცებს, ბატონი მიშმაკი აუცილებლად უნდა დაბრუნდეს საქართველოშიო. ჟურნალისტი ეკითხება, რომ დაიჭირონო? რას ამბობთ, ევროპარლამენტარებმა ხელი რომ ჩასჭიდონ და ისე შემოვიდეს, ანუ იმათ რომ შემოიყვანონ საზღვარზე, მის დაპატიმრებას ვინ გაბედავსო? განა ამ ხელისუფლებაში ვინმეს ეყოფა გამბედაობა, სააკაშვილი ევროპარლამენტარებთან ერთად დააპატიმროსო? დავუშვათ, ქალბატონმა ვიოლა კრამონმა სადმე ხელი ჩასჭიდა სააკაშვილს და ერთად შემოვიდნენ სარფის გამშვებ პუნქტზე, როგორ გგონიათ, ვერავინ გაუბედავს ვიოლა ძალოს, ერთი წუთით განზე გაიწიეთ, ამ მუნძგლიანს ხელი გაუშვითო?

როგორც ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი ამბობს, ე.წ. ოპოზიციის აზრით, არჩევნები აუცილებლად „გაყალბდება“, ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია, ხელისუფლება როგორ გაუმკლავდება ამ მორიგ შერკინებას. აქ ბატონ დავითს უნდა შევეკამათო, ეს შერკინება კი არა, ტლაპოდან ამოთრეულთა ვნებების განეიტრალებაა. როგორი და რანაირი ხერხი უნდა გამოიყენოს ამ დროს ხელისუფლებამ? ქართველიშვილის იდეა მომწონს:

„ყველაზე იდეალურია — ხელისუფლება ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების დევიზს თუ გაჰყვება: “თქვენ შეგიძლიათ გაგვიტანოთ რამდენსაც შეძლებთ, ხოლო ჩვენ გაგიტანთ იმდენს, რამდენიც გვჭირდება”.

ამ დღეებში მიშმაკ სააკაშვილმა ერთი ფოტო გამოაგდო, სადაც ასახულია, თუ როგორ შინაურულად ვახშმობს უკრაინაში მყოფ ელჩებთან. ზოგმა თქვა, ეს ძველი ფოტოაო, ზოგი იძახის, მონტაჟიაო. არადა, არც მონტაჟია, არც ძველი ფოტოა. დავით ქართველიშვილი ამომწურავად ხსნის, რასთან გვაქვს საქმე:

„სააკაშვილი ამას წინათ იმყოფებოდა ბიზნეს ფორუმზე ვროცლავში (პოლონეთი). მას ვარშავაში შეხვედრა ჰქონდა ბელორუსიის პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატ ტიხანოვსკაიასთან და რამდენიმე ევროპარლამენტართან, რომლებსაც სთხოვა 2 ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნებისათვის მის მხარდასაჭერად საქართველოში ჩამოსვლა. რამოდენიმე მათგანისგან წინასწარი თანხმობაც მიიღო. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამ „საპატიო” მისიით ისინი აუცილებლად ჩამოვლენ. უკრაინაში დაბრუნებისთანავე, თავის საცხოვრებელ სახლში (უკაცრავად — დედის სახლში) მან ვახშამზე დაპატიჟა დანიის, ნორვეგიის, ირლანდიისა და შვეიცარიის ელჩები — რაც არ იყო მაინც და მაინც წარმომადგენლობითი დელეგაცია. როგორც ყოველთვის, მიშა სტუმრებს საკუთარი ფალსიფიცირებული ღვინით გაუმასპინძლდა და ხსენებულ ქვეყნებში მისი ექსპორტის საკითხებიც მოსინჯა. ვახშმის დროს მიშამ „დააბოლა” სტუმრები, თუ როგორი „გაუსაძლისი” მდგომარეობაა დღეს უ-სააკაშვილო საქართველოში, რომ ის ვალდებულია, გამოიხსნას ქვეყანა „რუსი ოლიგარქის” კლანჭებიდან, რომ მის დაბრუნებას ელოდება „სრულიად საქართველო”, რომ ის გადადგამს ამ ნაბიჯს, სულაც რომ ივანიშვილის პირად პატიმრად იქცეს. სააკაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ასეთ შემთხვევაში მისი საერთაშორისო მეგობრები, ყველაფერს გააკეთებენ მისი ტყვეობიდან გამოსახსნელად. ეს არის ნაცებისა და მათი ბელადის საშინაო და საგარეო მოქმედების ძირითადი ტაქტიკა. მათ სწამთ, რომ მსგავსი „ილეთებით” ქართული საზოგადოების უმრავლესობაზე გამარჯვებას მოიპოვებენ, ანუ გაგვიტანენ იმდენს, რამდენსაც შეძლებენ. თუმცა დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება” და ქართველი ხალხი გაუტანს იმდენს, რამდენიც საჭიროა”.

ვეთანხმები ბატონ დავითს, ჩვენ უნდა გავიტანოთ იმდენი, რამდენიც საჭიროა, ქინძთა ბელადის გამო ქართული სახელმწიფო თავს ვერ გადაიღლის.

მიშმაკს უკრაინაში სამსახური მისცეს, ვითომ რეფორმებს ატარებს, მას შეუძლია, ელჩებიც დაპატიჟოს და დააბოლოს, მაგრამ საქართველოსთან დაკავშირებით ფეხი ნამდვილად არ ჩაუვა. ის არის უკრაინის მოქალაქე, აქ ისევე ვერ შემოგვივარდება, როგორც პოროშენკოს შეუვარდა... უფრო სწორად, შეუგდეს. მაგ ელჩებმა თავიანთ ქვეყნებს რომ მიხედონ, უკეთესი იქნება. ელჩებს რა ხელი აქვთ დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან?!

მე გამშვიდებთ ყველას, ჩვენს მკითხველებს, მეგობრებს, ნაცნობებს, უცნობებს, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ხალხს უნდა, როგორც თქვენ გინდათ. რაღა დროს მიშმაკ სააკაშვილია, ხალხო, არ გადამრიოთ, ამ უბედურს თავი ხან გიორგი სააკაძე ჰგონია, ხან დავით აღმაშენებელი, ხან კიდევ... რა ვიცი, რას გაიგებ?!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ისტორია ერთი ნარკომანი, უქონელი ქუჩის ბიჭისა, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მილიარდერი გახდა

ტელეკომპანია „ფორმულას“ დამფუძნებელს, ბიზნესმენ დავით კეზერაშვილსე ეგრეთწოდებულ წვრთნების საქმეზე, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ხუთ-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ადვოკატმა „ფორმულასთან“ საუბარში განაცხადა, რომ მოსამართლემ **დავით კეზერაშვილს** ათი წელი მიუსაჯა და შემდეგ ეს სასჯელი ამნისტიით გაუნახევრდა. ეს არის პირველი გამამტყუნებელი განაჩენი ამ საქმეზე. პროკურატურამ თავდაცვის ყოფილ მინისტრს ბრალი ერთ-ერთ საწვრთნელ პროექტში ხუთი მილიონ სამოცი ათასი ევროს გაფლანგვაში დასდო, თუმცა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში ბრალის დამტკიცება რიგი მიზეზების გამო ვერ შეძლო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2016 წელს სასამართლო პროცესზე ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც კეზერაშვილის წინააღმდეგ ჩვენება (სხვა საქმეზე) მისმა ყოფილმა მოადგილემ მისცა. **მამუკა მუჯირი** სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებაში დეტალურად აღწერდა დავით კეზერაშვილის მხრიდან ბიზნესმენებზე ზეწოლის და მათი მთელი ქონების იძულებით გადაფორმების ფაქტს. მიუხედავად მოწმის ჩვენებისა, მოსამართლე **თეა ხამხაძემ** გადაწყვეტილება დავით კეზერაშვილის სასარგებლოდ გამოიტანა. ეს თეა ხამხაძის ბოლო სასამართლო პროცესი გახლდათ. მას მოსამართლის უფლებამოსილება ამოეწურა, ხოლო იუსტიციის საბჭოს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ დააგროვა იმისთვის, რომ ამავე რანგში გაეგრძელებინა თავისი კარიერა. თეა ხამხაძის განმარტებით, სასამართლომ ვერ დაადგინა ვერც იძულების და ვერც ფასთა სხვადასხვაობის ფაქტი, რათა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი ჰქონოდა. როგორც „სენტა პეტროლიუმის“ მეპატრონეები აცხადებდნენ, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, დავით კეზერაშვილმა, კეთილსინდისიერ მეპატრონეებს „სენტა პეტროლიუმსა“ და „ბემონს“ წილი იძულებითა და მუქარით გადააფორმებინა „გალფის“ ბრენდის ქვეშ მოქმედ შპს-ებზე – „სან პეტროლიუმ ჯორჯია **Sun Petroleum Georgia**“-სა (ყოფილი შპს “სან ოილ ჯორჯია”) და შპს „ჯორჯიან პეტროლიუმზე.

ამონარიდი მამუკა მუჯირის ჩვენებიდან: „იმ პერიოდში საქართველოში რაც ხდებოდა, სულ იყო მმართველი გუნდის 3–4 ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ისინი წყვეტდნენ ნებისმიერი ადამიანის ბედს. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი იყო დათო კეზერაშვილი. კეზერაშვილის ნათქვამი ავტომატურად ნიშნავდა ადეიშვილის ნათქვამსაც და მერაბიშვილის ნათქვამსაც. რას ქვია იტყოდა დაგიჭერო და არ შეასრულებდნენ მერაბიშვილი, ან ადეიშვილი?! ჩემი თვალით ვარ შემსწრე, ჩემი მუშაობის პერიოდში, ყოველ საღამოს მიდიოდა კეზერაშვილი ადეიშვილთან და იქ იყო კრება. ან ყოველ საღამოს ამასთან იკრიბებოდნენ ხოლმე **უგულავა, ადეიშვილი, მერაბიშვილი**. ძალიან ბევრჯერ. მაგ შეხვედრებზე კაბინეტში ერთი-ორჯერ ვარ შესული, როდესაც ერთად იყვნენ შეკრებილები. ეს იმდენად ხშირი იყო, ცხადია, დაუკითხავად არ შევდიოდი. ინტენსიობა საკმაოდ ხშირი იყო.“ „სენტა პეტროლიუმის“ საქმეში ახალი მოწმის მიერ მიცემული ჩვენება სრულად აღწერდა იმ სქემას, რომლითაც 2004–2012 წლებში ქონების წართმევა, ბიზნესმენების დაჭერა და მათთვის თავისუფლების სანაცვლოდ ფულის გამოძალვა ხდებოდა. თუმცა, მოსამართლე თეა ხამხაძისთვის, არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. მუჯირი ჩვენებაში წერს – „მეორე დღეს მივედი პიქსელის შენობაში კეზერაშვილთან და ვკითხე, რა ხდებოდა, რაში იყო საქმე, რას ერჩოდა. კეზერაშვილმა მომიყვა ასეთი ამბავი, რომ ვიღაც უცხოელი ინვესტორი იყო, რომელიც საქართველოში ნავთობის ბიზნესში ფულის ჩადებას აპირებდა, მზად იყო, რომ რომელიმე ქსელი შეეძინა და ბიზნესის 50%-ში მზად იყო, რომ 100 მილიონი დოლარი გადაეხადა. კეზერაშვილმა მომიყვა, რომ დაახლოებით ასეთი სქემა ჰქონდა მოფიქრებული, რომ იმ პერიოდში იყო ასეთი გაკოტრებული ქსელი „მაგნატი“ რომელსაც, თუ არ მეშლება, ბანკი ყიდდა შვიდ მილიონ დოლარად. მაგრამ ამ „მაგნატს“ ბენზინგასამართი სადგურები ჰქონდა ცუდ ადგილას. თბილისში არ იყო წარმოდგენილი კარგად და ძირითადად რაიონებში ჰქონდა ეს თავისი ბენზინგასამართი სადგურები. „სენტა პეტროლიუმს“ კიდევ სწორედ თბილისში, თუ არ მეშლება, ათი თუ თხუთმეტი ბენზინგასამართი სადგური ჰქონდა და რაიონებშიც კარგად იყო წარმოდგენილი. კეზერაშვილს ასეთი გეგმა ჰქონდა, რომ უნდოდა ეს ორივე ბრენდი გაეერთიანებინა ერთი ბრენდის ქვეშ, ანუ თბილისშიც ექნებოდა სადგურები და რეგიონებშიც. ოცდარვა მილიონი ამათთვის კიდეც რომ მიეცა, შვიდი მილიონი ბანკიდან „მაგნატის“ ქსელს რომ წამოიღებდა დაახლოებით ოცდათხუთმეტ მილიონს მისი ხარჯი, იდეაში, არ უნდა ამცდარიყო. ამას ერთი ბრენდის ქვეშ უპირებდა შეფუთვას და 50%-ში ას მილიონიანი ინვესტორი შემოჰყავდა.წილში წილი რჩებოდა და ას მილიონს ფულად შოულობდა. მითხრა, ეს იაკობიძეს და მიმინოშვილს არ უთხრაო. ამხელა მოგების მიღების პერსპექტივა ჰქონდა. ეს შეთანხმებული მაქვს ყველასთან და აღარაფერი შეიცვლებაო. მაგათ ურჩიე, მოეშვან სისულელეებს, მოვიდნენ და მომიწერონ ხელიო. იმხელა მოგების მიღებაზე იყო საუბარი, გასაგებია მისი მოტივაციები. იმ ხელისუფლების პირობებში კეზერაშვილი რომ რაღაცას გთხოვდა ეს ავტომატურად ნიშნავდა, რომ ან დაგიჭერდნენ, ან სხვა ზემოქმედებას მოახდენდნენ. დამუქრებიაა კიდეც პირველივე შეხვედრაზე, რომ თუ არ დაეთანხმებოდნენ, ვერ დაამთავრებდნენ კარგად. მერე იქ პირდაპირი მუქარები იყო, რასაც მე შევესწარი. დაჭერითაც დაემუქრნენ და სიცოცხლითაც. მე თვითონაც შევესწარი გარკვეულ მოვლენებს.“... აგვისტოს ომის შემდგომ კოსმიური სიჩქარით გამდიდრებულ



კეზერაშვილის შესახებ მედია არ დუმდა,, თუმცა დუმდნენ სააკაშვილი, ადეიშვილი და მერაბიშვილი. გვახსოვს, 2008 წლის ომთან დაკავშირებით მისი ფრთიანი ფრაზა „არ გვეგონა, რომ რუსეთი სამხედრო ავიაციას გამოიყენებდა! მაგათ რომ თვითმფრინავებით არ დავებომბეთ, ჩვენ მოვიგებდით!“ კეზერას, მიშას, ვანოს, ადეიშვილს და მათი ბანდის წევრებს ომის მოგების კი არა გამდიდრების სურვილი ჰქონდათ საწადელსაც მიაღწიეს. წლების წინ მედიაში გავრცელებული ცნობით „დავით კეზერაშვილს მარტო **სენაკის ბაზა** არ გაუქურდავს. ომის დროს, **ნორიოს სპეცრაზმის ბაზას** კუდ-ის ერთ-ერთი ქვედანაყოფი იცავდა. თავად სპეცრაზმელები ომში იყვნენ. 12 აგვისტოს, საღამოს, კუდის ქვედანაყოფმა მიიღო სატელეფონო ბრძანება, რომ ნორიოს ბაზა დაეტოვებინა. წყაროს ინფორმაციით, იმავე ღამით, დავით კეზერაშვილის ბრძანებით, ნორიოს ბაზაზე მივიდნენ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მანქანები და რაც ბაზაზე იარაღი იყო, სულ გაზიდეს. ბაზაზე კი, სულ მცირე, 300 000 დოლარის შეიარაღება იყო. არ დაგავიწყდეთ, ეს ხდება 12 აგვისტოს, ღამით, როცა სარკოზი-მედვედევის ცნობილი ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ჯერ არ არის ხელმოწერილი, ამ დოკუმენტს ხელი იმ დღეს, ოღონდ მოგვიანებით მოეწერა. გონიოს სპეცრაზმის ბაზიდან წამოღებული იარაღი, დავით კეზერაშვილმა 17 აგვისტოს, ღამით, ყულევის ტერმინალში დატვირთა პატარა გემზე, რომელმაც მერე ის იარაღი ბათუმის პორტში ჩაიტანა და იქ, ასევე, ღამით, გადატვირთა ერთ-ერთ ვითომ სავაჭრო გემზე, რომელიც უკრაინული დროშით დაცურავდა და რომელიც, რეალურად, **ვიქტორ ბუტს** ეკუთვნოდა. ამავე გემზე დატვირთეს, სენაკის ბაზიდან ასევე, ფარულად გამოტანილი, ნატო-ს ნაჩუქარი ამერიკული ავტომატები – „ემ-4“. წყაროს ინფორმაციით, ეს იარაღი შემდეგ სამხრეთ ამერიკაში მოხვდა და კლიენტებს ის ვიქტორ ბუტმა გადასცა – კოლუმბიელ პარტიზან-ტერორისტებს, „ფარკის“ წევრებს. კეზერაშვილმა ყულევის ტერმინალი იმიტომ გამოიყენა, რომ ფოთის პორტი რუსების მიერ იყო დაბომბილი. ბათუმში ამერიკული კრეისერი იდგა და შეეშინდა სამხედრო სატვირთო ავტომობილებით იარაღის პორტში მიტანა და მერე მისი გემზე ატანა. გაშლილ ზღვაში, კი მისი აზრით, ეს ნაკლებ სარისკო იყო”, დავით კეზერაშვილი მოხვდა მსოფლიოში ცნობილი აუდიტორული კომპანია “დელოიტის” ანგარიშში. რომელშიც საუბარია კეზერაშვილის მიერ ოფშორში, კერძოდ, სეიშელის კუნძულებზე რეგისტრირებულ კომპანია **“Future products company”**-ის სოლიდურ შემოსავლებზე, თუმცა ამ ანგარიშის გამოქვეყნებამდეც საზოგადოებაში ყოველთვის არსებობდა კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ საიდან იშოვა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა მილიონები. საუბრობდნენ იმაზე, რომ ხელისუფლებაში მოსვლამდე “უქონელი” დავით კეზერაშვილი, ბიზნესექტორში გადანაცვლების შემდეგ, საკმაოდ სოლიდუ-













რი შემოსავლის მქონე გახდა. დავით კეზერაშვილის სახელს უკავშირდებოდა საქართველოში კომპანია შპს „სან პეტროლეუმ ჯორჯიას", იგივე „**გალფის**" საქმიანობა. კომპანიისა, რომელმაც სულ ადვილად დაიმკვიდრა თავი ქართულ ბაზარზე და მიუხედავად იმისა, რომ არც უკეთესი ხარისხითა და არც მისაღები ფასით არ უცდია მომხმარებლის მიზიდვა, იმავე პროდუქციითა და ზუსტად მისი კონკურენტების მსგავსი ფასით ადვილად მოიპოვა ადგილი იქ, სად მოხვედრასაც რიგითი მეწარმე ვერც კი ინატრებდა. საზოგადოება „გალფის" გამოჩენის დღიდან ალაპარაკდა იმაზე, რომ ეს კომპანია კეზერაშვილის იყო, თუმცა ამაზე მხოლოდ საუბრობდნენ, რადგან საჯარო ოფიციალური დოკუმენტებით ეს არ მტკიცდებოდა. სქემაში ნათლად ჩანს საქართველოში მოქმედი მსხვილი კომპანიების, მათ შორის, ზემოთხსენებული კომპანია „სან პეტროლეუმ ჯორჯიას", იგივე „გალფის" კავშირი ჰოლდინგურ კომპანია „**Future products company**"-თან, რომლის დამფუძნებელი აქციონერი, დე ფაქტო მენეჯერი და ერთადერთი ბენეფიციარი მესაკუთრე „დელოიტის" ანგა-



რიშის თანახმად, 2012 წლის ნოემბრამდე დავით კეზერაშვილია. უფრო კონკრეტულად კი სქემა თავის მხრივ, "**Future products company**" აფუძნებს რიგ შვილობილ კომპანიებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები ნავთობპროდუქტებით ვაჭრობის ბიზნესში. სწორედ ამ კომპანიის შვილობილია საქართველოში "სან პეტროლეუმ ჯორჯია", რომელიც საქართველოში ფლობს და ამუშავებს ყველაზე მსხვილ საცალო ავტოგასამართი სადგურების ქსელს, რომელშიც 120-ზე მეტი ბრენდირებული ბენზინგასამართი სადგური შედის და რომლებიც მუშაობენ საყოველთაოდ ცნობილი დასახელებით **Galf Oil International.** უფრო კონკრეტულად კი სქემის თანახმად, ირკვევა, რომ საჯარო რეესტრის მონაცემებით "სან პეტროლეუმ ჯორჯიას" 100%-იანი წლის მფლობელია კომპანია "**Energy investment Venture Holdings**" (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) სწორედ "**Future products company**"-ის ერთ-ერთი შვილობილი კომპანიაა. "სან პეტროლეუმ ჯორჯიას" გარდა, საქართველოში "**Future products company**"-ის სხვა შვილობილი კომპანიებიც საქმიანობენ. ერთ-ერთი მათგანია შპს "ფოთი ტერმინალ ჰოლდინგი", რომლის 32.67%-ის მფლობელი შპს "ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედ საქართველო", (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) ასევე "**Future products company**"-ის მრავალრიცხოვანი შვილობილი კომპანიებიდან ერთ-ერთია. გარდა ამისა, საქართველოში "**Future products company**"-ის შვილობილი კომპანიებია – ქართული სალოკომოტივო კომპანია, შპს "იუნაითედ ტრანსფორთ გრუფი" (**UTG LLC**), შპს "კარე +", შპს "ფონიჭალა 2009", შპს "**SPG** თრეიდინგი", შპს "გიორგი – 96", შპს "დიდუბოილი", შპს "ჯორჯიან პეტროლიუმ ექვითიზ", შპს "სან სთორზ", შპს "ნიაზი". აღსანიშნავია, რომ აუდიტორული კომპანია „**დელოიტის**" დასკვის საფუძველზე დავით კეზერაშვილის შემოსავლების შესახებ მთავარმა პროკურატურამ გამოძიება წლების წინ დაიწყო... თავდაცვითი სისტემების მწარმოებელ ისრაელის კომპანია **Elbit Systems Ltd**-ს საქართველო ოცდათხუთმეტ მილიონ აშშ დოლარს გადაუხდის. ამის შესახებ განცხადება კომპანიამ საკუთარ ვებგვერდზე წლების წინ გამოაქვეყნა. **Elbit Systems Ltd**-მ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ სარჩელი გაერთიანებული სამეფოს მართლმსაჯულების უზენაეს სასამართლოში 2011 წლის აპრილში შეიტანა. კომპანია საქართველოს 2007 წელს გაფორმებული კონტრაქტის დარღვევას ედავებოდა და ზიანის ანაზღაურებისთვის ას მილიონ დოლარს ითხოვდა. „გარიგების თანახმად, საქართველო კომპანიას გადაუხდის, დაახლოებით, ოცდათხუტმეეტ მლნ აშშ დოლარს და ასევე, დაუბრუნებს მას გარკვეულ აღჭურვილობას და სისტემებს, რომელიც კომპანიამ ადრე მაწოდა საქართველოს, თავდაპირველი პრეტენზიების მოხსნის სანაცვლოდ", – აღნიშნული იყო კომპანიის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კი ისრაელის კომპანიასთან დავის არსებობას უარყოფდა. კონკრეტულად კი, 2011 წლის მაისში, თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი სალომე მახარაძე აცხადებდა: „შემიძლია ოფიციალურად გითხრათ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არც მათი (**Elbit Systems Ltd**) და არც საერთოდ არავისი, არანაირი დავალიანება ამ წუთისთვის არ ერიცხება".მსგავსი განცხადება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მას შემდეგაც გააკეთეს, რაც კომპანიამ საქართველოს წინააღმდეგ სარჩელი გაერთიანებული სამეფოს მართლმსაჯულების უზენაეს სასამართლოში შეიტანა. „ვიცით, რომ არბიტრაჟში შეტანილია სარჩელი... ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არა მხოლოდ რამე სახის სამხედრო დავალიანება არ აქვს, არამედ არსებობს მსოფლიოში მთელი რიგი სამხედრო კომპანიები, რომლებსაც, სამწუხაროდ, აქეთ აქვთ ქართული მხარის დავალიანება", – განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, **ნინო კალანდაძემ** 2011 წლის 18 აპრილს.გავრცელებული ინფორმაციით, საქართველომ ისრაელის კომპანიისგან **Herme450**-ის ტიპის უპილოტო მზვერავი საფრენი აპარატები შეისყიდა, თუმცა, ამის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია უცნობია, რადგან თავდაცვის სამინისტროსა და **Elbit Systems Ltd**-ს შორის დადებული კონტრაქტ(ებ)ი საიდუმლოა. „ამერიკის ხმის" ინფორმაციით, ისრაელის კომპანიასთან კონტრაქტის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და თავდაცვის ყოფილი მინისტრისა და ამჟამად ბიზნესმენისა და საქართველოს ოპერისა და ბალეტის თეატრის „მეგობართა საბჭოს" ხელმძღვანელის, დავით კეზერაშვილის პირადი კონტაქტების წყალობით გაფორმდა. საქართველოსთან კონტრაქტის დადების პერიოდში **Elbit Systems Ltd**-ს **შლომო მილო** და მისი ძმა, თელავივის ყოფილი მერი **რონი მილო** წარმოადგენდნენ. ამ უკანასკნელს კი, 2007–2008 წლებში, თავდაცვის მაშინდელი მინისტრის, დავით კეზერაშვილის მრჩევლის სტატუსი ჰქონდა. დასავლური მედიის ინფორმაციით, ძმებმა მილოებმა საქართველოს 2006–2008 წლებში, დაახლოებით 200 მილიონი დოლარის იარაღი მიჰყიდეს. საქართველოსთან იარაღის ვაჭრობის საკითხმა 2009 წელს აშშ-ში იარაღის უკანონო მოვაჭრეების წინააღმდეგ დაწყებულ საქმეშიც გაიჟღერა. მაშინ ერთ-ერთმა ბრალდებულმა **დანიელ ალვარესმა** აღიარა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან კორუფციული სქემით ვაჭრობდა და ქართულ უწყებას ისრაელის იარაღის მწარმოებლებთან აკავშირებდა. „ალვარესი, კორუფციული გაყიდვების აგენტების დახმარებით, აწარმოებდა მოლაპარაკებებს საქართ-



ველოს მთავრობისთვის სამხედრო და კანონის აღსრულებისთვის საჭირო აღჭურვილობის მიყიდვისთვის... გაყიდვების აგენტებს უნდა გადაეხადათ ქრთამი საქართველოს მთავრობის ოფიციალური პირებისთვის, რათა მათ ლობირება გაეწიათ საქართველოს მთავრობისთვის, რომ ბიზნესი შენარჩუნებულიყო", – აღნიშნულია აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ოფიციალურ დოკუმენტში. დოკუმენტის მიხედვით, ალვარესი ისრაელის ბიზნესმენებსა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის გაფორმებული კონტრაქტებიდან საკომისიოებს იღებდა. დოკუმენტის მიხედვით, ალვარესის აღიარებითი ჩვენებიდან ირკვევა, რომ 2008 წელს საქართველომ ისრაელის ბიზნესმენებთან გაფორმებული მსგავსი კონტრაქტებით ათი მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სამხედრო და კანონის აღსრულებისთვის საჭირო აღჭურვილობა შეიძინა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ასეთ სერიოზულ საერთაშორისო დონის საქმეში ფიგურირებდა, ქართველ სამართალდამცველებს ამ საქმესთან დაკავშირებით ძიება არ დაუწყიათ. დავით კეზერაშვილი პოლიტიკას 2008 წლის 5 დეკემბერს ჩამოშორდა და ამჟამად ბიზნესით არის დაკავებული. კეზერაშვილი, რომელიც საქართველოსთან ერთად, ისრაელის მოქალაქეცაა, როგორც თავად აცხადებს, ნავთობკომპანია „გალფის" ერთ–ერთი მფლობელია. მის სახელს უკავშირებდნენ „საქართველოს ლატარიის კომპანიასაც", თუმცა ლატარიის კომპანიის ფლობას თავად კეზერაშვილი უარყოფდა. 2005 წელს პარლამენტარი **კობა დავითაშვილი** ფინანსური პოლიციის უფროსის დავით კეზერაშვილისა და მისი გუნდის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა და ისინი ნარკოტიკების მოხმარებაში დაადანაშაულა. როგორც დავითაშვილმა აღნიშნა, შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი კოდუამ, ამავე დეპარტამენტის მესამე სამმართველოს მეოთხე განყოფილებას ფინანსური პოლიციის რამდენიმე მაღალჩინოსნის სატელეფონო საუბრების მოსმენა დაავალა. შედეგად, გაირკვა, რომ ფინანსური პოლიციის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **ზურაბ წეროძე**, ფინანსური პოლიციის ზურგის სამსახურის უფროსი **ამირან დოლიძე** და ფინანსური პოლიციის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი **მიხეილ კობახიძე** ნარკოტიკების მოხმარებისა და გასაღების მარკეტინგულ ქსელში იყვნენ ჩართულნი. ჩანაწერში კეზერაშვილიც საუბრობს ვიღაც ნარკომანთან, რომელსაც, როგორც ჩანს, ფული გაატანა წამლის ასაღებად. მეგობარი ურეკავს კეზერაშვილს და ეუბნება, – რა ვქნათ, მანდ მოვიტანო და გავიკეთოთ, თუ გავყოთო? კეზერაშვილი ეუბნება, – აქ მოიტანე და მივხედავო. თანამდებობის პირების სატელეფონო საუბრების მოსმენების გეგმა, როგორც დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, თავად ნარკომანმა ირაკლი კოდუამ დაამტკიცა. თუმცა შემდგომ ფინანსური პოლიციის უფროსსა და შს სამინისტროს სპეციალური დეპარტამენტის უფროს ირაკლი კოდუას შორის გარიგება შედგა და და სწორედ ამის გამო დაითხოვეს სამსახურიდან „ჩამწერი" თორნიკე შვანგირაძე. მოკლედ, ესაა უმოკლესი, ვარდების შემდგომი პერიოდის ისტორია ერთი ნარკომანი, უქონელი, ქუჩის ბიჭისა რომელიც ვარდების რევოლუციის შემდგომ აფრინდა ღრუბლებში და ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, მართლაც აღმაშფოთებელია. ამდენ სიბინძურეში, უკანონობაში და არაკაცობაში ამოგანგლულ კეზერაშვილს ხუთი წელი რომ აკმარა, რომლის გასაჩივრებასაც „უდანაშაულო" კეზერაშვილი სტრასბურგში აპირებს თურმე...



**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# მეტი სიცოცხლე ყველა უბანში

## კახა კალაძე – თბილისში პანდემიის გამო შეჩერებული პროექტები ახალ საარჩევნო პროგრამაში გათვალისწინებულია და შემდეგი 4 წლის განმავლობაში განხორციელდება



ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატმა კახა კალაძემ საარჩევნო პროგრამის მთავარი მიმართულებების პრეზენტაციაზე დედაქალაქში პანდემიის გამო შეჩერებულ პროექტებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს პროექტები გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის შემდგომ ოთხწლიან პროგრამაში და ისინი სხვა პროგრამულ დაპირებებთან ერთად განხორციელდება.

კახა კალაძემ კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით შეჩერებულ პროექტებს შორის დაასახელა მიწისზედა მეტროს პროექტი სამგორი — ლილოს მიმართულებით, ასევე, თბილისის ანძისა და ახალგაზრდული მულტიფუნქციური ცენტრების მშენებლობის პროექტები, ღამის ეკონომიკის პროგრამა.

„დღეს, როგორც დასაწყისში აღვნიშნე, აქცენტს გავაკეთებ იმ პროექტებზე, რომლებიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია დედაქალაქისთვის, თუმცა სხვადასხვა ობიექტური ფაქტორების გამო, მათი განხორციელება ვერ შევძელით. ვერ შევძელით, რადგან რთულია, როდესაც მსოფლიოში პანდემია მძვინვარებს მიჰყვე წინასწარ დაგეგმილ ჩანაფიქრებს და არ აუწყო ფეხი, და მენეჯმენტი ამ გლობალურ პრობლემას. რთულია ახალი ძვირად ღირებული რეკრეაციული სივრცეების ან საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაზე იფიქრო, როდესაც კოვიდისგან გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გამო ათასობით შენი თანამოქალაქე შემოსავალის და ყოველდღიური მოხმარების პროდუქტის გარეშე რჩება. ამიტომ, რა თქმა უნდა, მერია მოსახლეობის პრობლემების შემსუბუქებაზე და ამ ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაზე გადაეწყო, სახსრებიც ამ მიმართულებით გადავანაწილეთ და ამ მხრივაც ბევრის გაკეთება შევძელით ჩვენი მოსახლეობისთვის. მინდა, მაგალითისთვის შეგახსენოთ ის გეგმები, რაც პანდემიამ შეგვიფერხა-დაპაუზდა ახალი მიწისზედა მეტროს პროექტი სამგორი-ლილოს მიმართულებით. ლოქდაუნის გამო ვერ შევძელით დროულად მოგვეძიებინა კვალიფიცური კომპანიები, რომლებიც თბილისის ანძის პროექტს განახორციელებდნენ, 4 წელიწადში ვერ დავასრულეთ ახალგაზრდული მულტიფუნქციური ცენტრების მშენებლობა, თუმცა ნაწილი უკვე განხორციელების პროცესშია, როგორც ამ და ისე ჩამოთვლილ პროექტებს აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე. ასევე, პანდემიისგან გამოწვეულმა პროცესებმა დააზიანა ღამის ეკონომიკის პროგრამა და ვერ შევძელით ბოლომდე აგვეთვისებინა ის პოტენციალი, რაც თბილისს ამ მიმართულებით გააჩნია, თუმცა მოვახერხეთ, გლობალური პანდემიით დაზარალებულ ღამის ეკონომიკის სექტორებს გვერდში დავდგომოდით და შევეცადეთ, კრიზისი შეგვემსუბუქებინა, რათა თბილისის დიდი პოტენციალი ამ მიმართულებით მაქსიმალურად მცირე დანაკარგებით შენარჩუნდეს. ასევე, გადაიდო გამზირების რეაბილიტაცია, რომელიც თბილისის უბნებს კიდევ უფრო ლამაზს და მიმზიდველს გახდიდა. სამწუხაროდ, ასე შეაფერხა მსოფლიო პანდემიამ ჩვენი თბილისური გეგმები, თუმცა პროექტების განხორციელებას მაინც შევძლებთ უახლოეს მომავალში. ყველა ეს პროექტი გათვალისწინებულია ჩვეს შემდგომ, ოთხწლიან პროგრამაში. ყველას იმედი გვაქვს რომ ეს პანდემია სულ მალე უკან დაიხევს და ყველანი დავუბრუნდებით ჩვეული ცხოვრების რიტმს. ოპტიმიზმის და მომავლის იმედს გვმატებს ის, რომ 2017 წელს წარმოდგენილი ჩვენი საარჩევნო პროგრამიდან ამ რამდენიმე მიმართულების გარდა, პრაქტიკულად ყველა პროექტის განხორციელება შევძელით. ეს გვიქმნის სტიმულს და თავდაჯერებულობას, რომ შევძლებთ იმ რამდენიმე შეუსრულებელი პროექტის განხორციელებასაც, რომელიც 2017 წლის პროგრამით წარმოვადგინეთ და იმ პროგრამული დაპირებების შესრულებასაც, რომელსაც ახალი საარჩევნო პროგრამით ვგეგმავთ და რომელიც არსებითად შეცვლის ჩვენს ქალაქს უკეთესობისკენ”, — განაცხადა თბილისის მერობის კანდიდატმა.



**მომავალი ოთხი წლის განმავლობაში პრიორიტეტული მიმართულებები იქნება:**

- ურბანული პოლიტიკა — ქალაქის სწორი განვითარება ახალი გენერალური გეგმის ფარგლებში. არცერთი ნებართვა არ გაიცემა სკვერის თუ სპორტული მოედნის ხარჯზე;
- გარემოს დაცვის პოლიტიკა – ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლების პროექტის გაგრძელება;
- სატრანსპორტო პოლიტიკა – ზონალურ-საათობრივი პარკირების გაფართოება ყველა რაიონსა და ქუჩაზე, დამატებითი ავტობუსების შემოყვანა. ყვითელი მიკროავტობუსის ჩანაცვლება და ტაქსების რეფორმის მესამე ფაზის განხორციელება;
- ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკა – 3 000-მდე დაზარალებული ოჯახი დაკმაყოფილდება ბინებით, გაგარძელდება ბაგა-ბაღების მშენებლობა;
- განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკა — 10 მულტიფუნქციური კომპლექსის მშენებლობას მთელი ქალაქის მასშტაბით, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.
- ინფრასტრუქტურის, ეკონომიკისა და მართვის პოლიტიკა.





# განვითარება ყველა რეგიონს

## „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მერობის კანდიდატები

### კასპის მერობის კანდიდატის ვახტანგ მაისურაძის წარდგენა

კასპის მუნიციპალიტეტში ძალიან ბევრი პროექტი განხორციელდა ბოლო 8 წლის განმავლობაში, იქნებოდა ეს გზებისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, წყალგაყვანილობა, მელიორაციის მასშტაბური სამუშაოები, გაზიფიცირება - ათეულობით სოფელს მივუყვანეთ გაზი. ძალიან ბევრი საწარმო დაფინანსდა, როგორც ახალი საწარმოები, ასევე ბევრი მოქმედი საწარმო გადაიარაღდა და ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს საკმარისი არ არის, საჭიროა მასშტაბების გაზრდა და მთელი ქვეყნის მასშტაბით გაათმაგებული ენერგიით და მოტივაციით სამუშაოების ჩატარება. სწორედ ამ მიზნით, ჩვენ გვაქვს კარგად გააზრებული გეგმა და ხედვები, რომელიც სწორედ ამ გამოწვევებს ეხმაურება და მორგებულია თითოეულ რეგიონზე, მუნიციპალიტეტზე. ჩვენს ქვეყანას აქვს უზარმაზარი პოტენციალი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ათვისებული. მთავარი ამოცანა უნდა იყოს ამ რესურსების მაქსიმალურად გონივრულად ათვისება და გამოყენება, - განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა**.

როდესაც კასპზე და აქ განხორციელებულ პროექტებზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში მახსენდება ჩემი კოლეგა და მეგობარი, ირაკლი მეზურნიშვილი, რომელთან ერთად, ჯერ კიდევ 2016 წლიდან არაერთ ღონისძიებას დავასწარი - ახალი ობიექტების გახსნა, გარემოს დაცვითი ღონისძიებები. ტექნო-პარკი სწორედ მისი ძალისხმევით დაარსდა კასპში და რა თქმა უნდა, პროფესიული სასწავლებელი, რომელიც შიდა ქართლში ასევე ერთ-ერთი გამორჩეულია. რეაბილიტაცია ჩაუტარდა მოედანს, რომელზეც სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი ვარჯიშობს და აუცილებელია რეგიონის განვითარებისთვის. ასევე, ბევრი სხვა მიმართულება - სკოლების რეაბილიტაცია თუ ახალი ამბულატორიები, ინფრასტრუქტურული პროექტები, განაცხადა - **კახა პუჭავამ**.





ჩვენმა გუნდმა, ჩვენმა პოლიტიკურმა ძალამ მთელ საქართველოს, მათ შორის, კასპის მუნიციპალიტეტს მოუტანა მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა, ახალი ასპარეზი ნიჭიერ ადამიანებს, რომ მათ თავიანთი სამეწარმეო უნარები განავითარონ. ეს არის მთავარი ღირებულება და დანარჩენი, რა თქმა უნდა, ერთობლივი ძალისხმევით ყველაფერი განხორციელდება ისე, როგორც სჭირდება ჩვენს ხალხს და თქვენს რეგიონს. კასპის მუნიციპალიტეტი, მთლიანად შიდა ქართლი მდიდარია თავისი სამეწარმეო ინდუსტრიული ტრადიციებით. გარდა ამისა, რეგიონში განვითარდა სხვა ტიპის წარმოება, მათ შორის ქაღალდის, ავეჯის, სხვადასხვა საშენი მასალის, პლასტმასის და ბევრი სხვა პროდუქციის წარმოება, რაც საბოლოო ჯამში, მოგვიტანს სიღარიბის დაძლევას, დამოუკიდებელ სტაბილურ შემოსავალს და ახალ სამუშაო ადგილებს, განაცხადა - **ნათია თურნავამ**.

სასწაული ემოციაა, როდესაც კასპს ჰყავს თავისი საფეხბურთო კლუბი, რომელიც საქართველოს ეროვნული ლიგის, რეგიონული ლიგის წარმომადგენელია. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამხელა ემოციაა, როდესაც სტადიონი ივსება კასპში და როდესაც გოლი გადის, კასპის გუნდი იტანს ამ გოლს, ეს არის საოცარი ემოციები და ეს ბედნიერება. რამხელა ემოციაა, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ პროფესიულ კოლეჯზე და სულ რაღაც ერთ თვეში, დაახლოებით 200-ზე მეტი ბენეფიციარი უკვე ვიცით, რომ იქნება ჩარიცხული სხვადასხვა ვიწრო სპეციალობების მიმართულებით. არის დუალური სისტემა, კომპანიები არიან ჩართულნი, რათა მოხდეს მათი შემდგომი დასაქმება და ეს არის მართლაც უფრო მეტი კეთილდღეობა ჩვენს ოჯახებში, განაცხადა - **ირაკლი მეზურნიშვილმა**.

მოგეხსენებათ, ჩვენი რეგიონი მდიდარია სოფლის მეურნეობის კუთხით, შესაბამისად ხელი უნდა შევუწყოთ ფერმერული მეურნეობის განვითარებას. ასევე კასპის მუნიციპალიტეტში უამრავი ისტორიული თუ კულტურული მნიშვნელობის ძეგლია, რომელიც ტურისტების დიდ ინტერესს იწვევს. იმ პოტენციალის გათვალისწინებით, რაც ჩვენს მუნიციპალიტეტს გააჩნია, კიდევ უფრო მეტად არის შესაძლებელი ტურიზმის სფეროს გაძლიერება და განვითარება, რაც ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას შეუწყობს ხელს. პრიორიტეტი იქნება ახალგაზრდების დასაქმება, განათლება, ჯანსაღი ცხოვრების წესზე ზრუნვა, განაცხადა - **ვახტანგ მაისურაძემ**.

### ახალციხის მერობის კანდიდატის ირაკლი ლაზარაშვილის წარდგენა

ის პოტენციალი, რომელიც ახალციხეს გააჩნია, ბოლომდე უნდა იყოს ათვისებული და გამოყენებული. ამ ულამაზეს მხარეს, რომელიც ცნობილია ძალიან მნიშვნელოვანი ძეგლებით, უზარმაზარი პოტენციალი აქვს ტურიზმის მიმართულებით. ჩემი დავალებით, ვმუშაობთ, რომ თითოეულ მუნიციპალიტეტში შეიქმნას ახალი ტურისტული ლოკაციები, ტურისტული ცენტრები, რათა კიდევ უფრო მეტი დამსვენებელი ჩავიდეს ყველა მუნიციპალიტეტში, ყველა რეგიონში - განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა**.

მე და ჩემმა გუნდმა ზუსტად ვიცით, როგორ უნდა გაგრძელდეს პროგრესი და მჯერა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასთან აქტიური თანამშრომლობით, ახალციხელების უშუალო ჩართულობით, დასახულ მიზანს აუცილებლად მივაღწევთ. დარწმუნებული ვარ, ოთხი წლის შემდეგ, გვექნება შესაძლებლობა გალამაზებული და გამწვანებული ახალციხის, წყლით მომარაგებული და გაზიფიცირებული მუნიციპალიტეტის, ახალი სპორტული მოედნების, კომფორტული საზოგადოებრივი ტრანსპორტის, მეტი განვითარებისა და კეთილდღეობის შესახებ ვისაუბრებთ. მე ამ გამოწვევისთვის მზად ვარ! ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ და ახალციხის წარმატების ერთერთ საუკეთესო, თვალსაჩინო მაგალითს შევქმნით! - განაცხადა **ირაკლი ლაზარაშვილმა**.





### ბორჯომის მერობის კანდიდატის ოთარ არბოლიშვილის წარდგენა

ბორჯომს აქვს უზარმაზარი, უნიკალური პოტენციალი, რომ გარდაიქმნას ერთ-ერთ გამორჩეულ საკურორტო ადგილად მთელს მსოფლიოში. ჩვენ ასევე დავიწყეთ „განახლებული რეგიონების“ პროგრამა, რაც გულისხმობს ეტაპობრივად ყველა ქალაქში, ყველა მუნიციპალიტეტში თანამედროვე, ევროპული ტიპის ცენტრების მოწყობას. რეალურად, ჩვენ ყველა ქალაქი და მუნიციპალიტეტი უნდა გარდავქმნათ ევროპული ტიპის ქალაქებად, რაც საბოლოო ჯამში ჩვენი ქვეყნის გარდაქმნას გამოიწვევს და ვაქცევთ რეალურად ევროპულ სახელმწიფოდ. წელს ვხარჯავთ 500 მილიონს ამ მიმართულებით, ძალიან ბევრი ახალი პროგრამა და პროექტი დაფინანსდება მომდევნო წლებშიც და ამ მიმართულებით გავაგრძელებთ მუშაობას აქტიურად - განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა**.

# იანუსის სინდრომი, ანუ გიორგი გახარია გიორგი გახარიას წინააღმდეგ

## გიორგი გახარიას გულწრფელად სრული კეთილგანწყობით ვურჩევ, მოხსნას თავისი კანდიდატურა თბილისის მერის არჩევნებიდან



ამასწინათ სამეგრელოდან ჩემთვის პატივსაცემმა ადამიანებმა დამირეკეს და უცნაური რამ მთხოვეს — თქვენს გაზეთში ხშირად იბეჭდება კრიტიკული ხასიათის წერილები გიორგი გახარიას მისამართით და ძალიან გთხოვთ, იქნებ, ცოტა ტონი შეარბილოთ. ბოლოს და ბოლოს, მეგრელი კაცი ხართ თქვენ და არ არის ლამაზი, თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ვიღაც-ვიღაცებს მეგრელ კაცს რომ ალანძღვინებთო.

დავიწყოთ იმით, რომ ვინმეს გალანძღვა ჩვენთვის თვითმიზანი არასოდეს ყოფილა, ხოლო თუ რომელიმე ჩვენს ჟურნალისტს განსხვავებული აზრი აქვს რომელიმე პოლიტიკოსზე, ამ აზრის გამოხატვის უფლებას ვერავის ავუკრძალავთ, ეს პოლიტიკოსი გინდ მეგრელი იყოს, გინდ გურული ან კახელი.

სხვათა შორის, ზემოთნახსენები ადამიანების თხოვნაში მიუღებელი და სათაკილო არაფერი დამინახავს.

ეგრეთ წოდებული კუთხურ-ტომობრივი სოლიდარობის გრძნობა დღემდე მძაფრად არის შემორჩენილი ქართველებში.

არა მხოლოდ მეგრელებში, როგორც ამას მავანნი და მავანნი ამტკიცებენ, არამედ საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლებში და, ვფიქრობ, ამაში საგანგაშო არაფერი არ არის.

გამოგიტყდებით, არც ჩემთვის არის ეს გრძნობა უცხო, ოღონდ ცოტა სხვა კუთხით.

მე, მაგალითად, ძალიან მწყინს, ძალიან მტკივნეულად განვიცდი, როცა ვიგებ, რომ მეგრელმა კაცმა რაღაც არაკაცური ჩაიდინა, როგორც იტყვიან, რაღაცაში ჩაიჭრა.

მწყინს და გული მტკივა, პირველყოვლისა, იმიტომ, რომ ამ ერთი კაცის საქციელით ზოგჯერ მთელ კუთხეზე ექმნებათ არასასიამოვნო წარმოდგენა და, სიმართლე გითხრათ, არც ეს არის გასაკვირი — იმ დიდ ერთობაში, რასაც საქართველო ჰქვია, თითოეული ჩვენგანი თავის მშობლიურ კუთხეს, თავის ოდაბადეს წარმოადგენს და წარმოაჩენს.

ასე რომ, სამეგრელოდან დარეკილი ზარი და ერთი შეხედვით უცნაური თხოვნა მე ზუსტად ისე გავიგე, როგორც უნდა გამეგო — ამ ადამიანებს მხოლოდ გახარიაზე კი არ შესტკივათ გული, ისინი საკუთარი კუთხის ღირსებას და სახელს უფრთხილდებიან.

•

გიორგი გახარიაზე „საერთო გაზეთში“ ბევრი კარგი წერილი გამოქვეყნებულა, თუმცა ამის გამო მადლობა არავის უთქვამს, არც გახარიას და არც იმ ადამიანებს, რომლებიც, როგორც გაირკვა, მას გულშემატკივრობენ.

სამწუხაროდ, ბევრ ადამიანს, განსაკუთრებით პოლიტიკოსებს, ჰგონიათ, რომ, როცა ვინმე აქებთ, მადლობის თქმა არ არის საჭირო, რადგან ისინი ისეთი კარგები, ნიჭიერები, ისეთი გამორჩეულები არიან, რომ ქება-დიდებას ისედაც იმსახურებენ და დადიან ასე გაფუყულები, საკუთარი დიდების შეგრძნებით გაბრუებულ-გაბურსალებულნი.

არადა, ელემენტარული ზრდილობის და აღზრდის ამბავია ეს — შენზე კეთილი სიტყვის მთქმელს კეთილი სიტყვითვე უნდა მიაგო სამაგიერო და უნდა უთხრა: მადლობა თანადგომისთვის! მადლობა მხარდაჭერისთვის! მადლობა გამხნევებისთვის!

კეთილი სიტყვისთვის მადლობას არ გეტყვიან, მაგრამ კრიტიკას თუ შეჰბედავ, გაგიწყრებიან, გაგებუტებიან, მტრად მოგეკიდებიან.

კრიტიკა რატომ გიკვირს, დალოცვილო, როცა ის არ გაგკვირვებია, რომ გაქებდნენ?!

— ისინი, გუშინ რომ მაქებდნენ და მადიდებდნენ, დღეს მლანძღავენ! — უკვირს ბატონ გიორგის.

სხვა რეალობა იყო გუშინ, დღეს კი სხვა რეალობაა თქვენს გარშემო, ბატონო გიორგი და ეს რეალობა თქვენს საწინააღმდეგოდ თქვენ თვითონ შექმენი თ.

თქვენ ისეთი შეცდომა დაუშვით, რომელმაც მორევივით ჩაგითრიათ და იმ ჩიხურ მდგომარეობაში ამოგაყოფინათ თავი, რომელშიც დღეს იმყოფებით.

შეცდომაო, რომ ვამბობ, სულაც არ ვგულისხმობ თქვენს გადადგომას, რასაც ბევრი მძიმე შეცდომად გითვლით და რის გამოც სულ იმის მტკიცებაში ხართ, რომ ეს ნაბიჯი იმიტომ კი არ გადადგით, რომ თქვენს გუნდს უღალატეთ, ან „ქართული ოცნების“ ოპონენტებს შეეკარით და მათთან ერთად თითქოს სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდით.

მე, პირადად და ჩემსავით ძალიან ბევრ ადამიანს თქვენი ახსნა-განმარტებების გარეშეც შესანიშნავად გვესმის, რატომ გადადექით თქვენ და რა იყო ამის ნამდვილი მიზეზები.

ეს არ იყო შეცდომა, ეს იყო თქვენს მიერ გაკეთებული არჩევანი და ცუდი იყო ეს არჩევანი თუ კარგი, ეს იყო თქვენი არჩევანი, არჩევანის გაკეთების უფლება კი ყველა ადამიანს აქვს.

ასე რომ, გადადგომა კი არ იყო თქვენი მთავარი შეცდომა, თქვენ საბედისწერო შეცდომა დაუშვით მაშინ, როცა გადადგომიდან ცოტა ხანში გამოაცხადეთ, რომ არსად არ წასულხართ და მალე აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას დაიწყებდით თქვენს გუნდთან ერთად.

პოლიტიკაში დაბრუნების განაცხადი კი გააკეთეთ, მაგრამ ის ვერ გაითვალისწინეთ, როგორ ბუმერანგივით შემოგიტრიალდებოდათ ეს გადაწყვეტილება უკან და როგორ დაიწყებდა წლების განმავლობაში სიმწრით მოპოვებული თქვენი რეიტინგის და თქვენი ავტორიტეტის ნელ-ნელა შეჭმას და განადგურებას.

თქვენ ისიც ვერ განჭვრიტეთ, რა წინააღმდეგობრივ და ურთიერთსაპირისპირო ნიუანსებს შეიცავდა ეს თქვენი გადაწყვეტილება.

ნუთუ უხერხულობას არ გიქმნიდათ, წინა დღეს რომ თქვით, წავედიო, მეორე დღეს თქვით, არსადაც არ წავსულვარო, მესამე დღეს თქვით, მოვედიო.

რას ფიქრობდით, ამ გადაწყვეტილებას რომ იღებდით?

ნუთუ გეგონათ, უკან მობრუნებულს მთელი „ქართული ოცნება“ თავის მხარდამჭერებიანად კარებთან დაგხვდებოდათ თაიგულებით და მხურვალე აპლოდისმენტებით?

რატომ დაგემართათ ეს?

იქნებ იმიტომ, რომ მართლა დაიჯერეთ, პრემიერ-მინისტრობისას რომ გაქებდნენ.

სინამდვილეში მიიღეთ ის ქება-დიდება და მაღალფარდოვანი ეპითეტები, რითაც გულუხვად გამკობდნენ?

ზემოთ ვთქვი, რომ გაკრიტიკებენ, ეს კი არ უნდა გიკვირდეს, რომ გაქებენ, ეგ უნდა გიკვირდესმეთქი.

როგორც ჩანს, ქებამ რეალობის შეგრძნება დაგიკარგათ, ეს კი, როცა პოლიტიკაში ხარ, დამღუპველია.

თქვენ არც მაშინ გიგრძვნიათ უხერხულობა, როცა ამაყად განაცხადეთ: ვბრუნდები პოლიტიკაში და თანაც ჩემი გუნდით ვბრუნდებიო.

თქვენ პრემიერ-მინისტრი იყავით, ბატონო გიორგი და, რამდენადაც ვიცით, თქვენი გუნდი „ქართული ოცნება“ იყო. ამ დროს აღმოჩნდა, რომ ამ დიდი გუნდის შიგნით თქვენ საკუთარი გუნდიც გყავდათ რეზერვში.

ვისი პრემიერი იყავით თქვენ, ბატონი გიორგი, საკუთარი გუნდის თუ „ქართული ოცნების“?

არადა, „ქართულმა ოცნებამ“ შეგქმნათ თქვენ, როგორც პოლიტიკოსი, ადამიანი, რომელსაც მანამდე არავითარი შეხება არ ჰქონია პოლიტიკასთან და რომელსაც „ქართული ოცნების“ რთულ და დრამატიზმით აღსავსე ბრძოლაში „ნაცმოძრაობის“ კირმინალურ-ფაშისტური რეჟიმის წინაღმდეგ არავითარი წვლილი არ შეგიტანიათ, პრემიერ-მინისტრის სავარძელში ჩაგსვათ, თქვენ კი, როგორც კი ამ სავარძლიდან ადგომამ მოგიწიათ, წინა კარიდან გახვედით, უკანა კარიდან შემოხვედით და ახალ პოლიტიკურ პარტიას ვაფუძნებ საქართველოსთვის, თანაც ისეთ პარტიას, რომელიც არავის წინააღმდეგ არ იბრძოლებს და ყველასთან, მათ შორის, „ქართულ ოცნებასთანაც“, კონსტრუქციულად ითანამშრომლებსო.

კი, მაგრამ, ასე რომ არ ხდება პოლიტიკაში, ეს ჩემგან გესწავლებათ თქვენ, ბატონო გიორგი?

პარტიას აფუძნებდით თუ კე-







თილშობილ ვაჟთა და ქალთა რელიგიურ გაერთიანებას, რომელსაც საყოველთაო სიყვარული და სათნოება უნდა ექადაგა?

პოლიტიკოსი ხართ თქვენ თუ მისიონერი?

რა გამოვიდა თქვენი „მისიონერობიდან“, კი ვნახეთ — მარჯვნიდანაც გიტევენ, მარცხნიდანაც. „ნაცმოძრაობას“ „ქართული ოცნების“ პროექტი ჰგონიხართ, „ქართულ ოცნებას“ — „ნაცამოძრაობის“ „შპიონი“.





რამდენიც არ უნდა ამტკიცოთ და რამდენიც არ უნდა იფიცოთ, არც ერთი ვარ და არც მეორეო, მაინც არ დაგიჯერებენ, რაც თქვენს ისედაც რთულ პოლიტიკურ ცხოვრებას კიდევ უფრო გაართულებს — პოლიტიკოსი, რომლისაც არ სჯერათ და ეჭვის თვალით უყურებენ, მხარდამჭერთა წრეს ვერ გაიფართოებს.

— არავის არ ვუპირისპირდებით, მათ შორის არც „ქართულ ოცნებასო“, — კი ამბობდით, მაგრამ ერთია თქმა, მეორეა — გარდაუვალი გარემოება.

ამ გარემოებამ თავისთავად დაგაჯახათ თქვენ „ქართულ ოცნებასთან“, ანუ დაგაჯახათ საკუთარ თავთან, რადგან თქვენ „ქართული ოცნების“ განუყოფელი ნაწილი იყავით და „ქართული ოცნების“ მისამართით გაჟღერებული კრიტიკული შეფასება ავტომატურად გადმოვიდა თქვენზეც.

ხომ აკვირდებით: საკმარისია, თუნდაც რაიმე უწყინარი სახის კრიტიკული ფრაზა თქვათ „ქართულ ოცნებაზე“ და იმწამსვე ჩამჭრელ კითხვას გიბრუნებენ უკან: თქვენ „ქართული ოცნების“ ლიდერი არ იყავით? რატომ დაუშვით? რატომ არ გამოასწორეთ? რატომ მიიყვანეთ საქმე აქამდე?

პოლიტიკაში რომ ბრუნდებოდით, რატომ არ დაფიქრდით იმაზე, რომ თქვენდაუნებურად საკუთარ თავთან, საკუთარ წარსულთან მოგიწევდათ დაპირისპირება, თქვენ კი, თუ რამ პოლიტიკური ავლადიდება გაგაჩნიათ, იმ წარსულიდან გაქვთ, იქ არის შენახული და „დასაწყობებული“.

თქვენი მეორედ გამოსვლა პოლიტიკურ არენაზე რაღაცით ჰგავს თვითდასჯის, თვითგვემის რიტუალს, როცა საკუთარი ნებით, ნებაყოფლობით უშვერ ზურგს ვიღაც-ვიღაცების მიერ გადმოშხუილებულ შოლტებს.

რატომ გაიმეტეთ ასე საკუთარი თავი, ბატონო გიორგი?

ბევრს არ ემეტებით, ბევრს ენანებით, თუ დამიჯერებთ, მათ შორის მეც, თქვენ კიდევ საკუთარი თავი რატომ არ შეგენანათ, გასაკვირია პირდაპირ.

პრემიერ-მინისტრობიდან რომ გადადექით, იმწამსვე უკან, პოლიტიკაში, მობრუნებას არ სჯობდა, ცოტა ხანს პოლიტიკას საერთოდ გასცლოდით და უკან იმ დროს მობრუნებულიყავით, როცა ამის დრო, ამისთვის ხელსაყრელი მომენტი დადგებოდა?

არადა, ეს თქვენთვის მომგებიანი და ეფექტური დრო რომ აუცილებლად დადგებოდა, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

ძველ შეცდომებს სულ მალე ახალი, დამაგვირგვინებელი შეცდომა მოაყოლეთ და გადაწყვიტეთ, თბილისის მერობაზე იყაროთ კენჭი.

თუ იმ ძველ შეცდომებს ასე თუ ისე რაღაც ახსნა მაინც მოეძებნება, ეს ისეთი შეცდომაა, რომელმაც გაამყარა და მტკიცე არგუმენტი შესძინა თქვენს მიმართ გამოთქმულ ეჭვებს და ბრალდებებს, რომ თქვენ მთელი ამ ხნის განმავლობაში ნამდვილად თანამშრომლობდით „ნაცმოძრაობასთან“ და მისი ფარული მოკავშირე იყავით.

— არა, რას ბრძანებთ, რა სისულელეა, მსგავსი რამ არ ყოფილაო, — იტყვით თქვენ და არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება არც ტყუოდეთ, მაგრამ ეს არ შველის ამ ამბავს.

ერთია, რას ამბობთ თქვენ, მაგრამ მეორეა რეალური საქმე, რომელიც თქვენს მიერ გადადგმული ამ ნაბიჯით კეთდება და კეთდება, მიუხედავად იმისა, მართლა მართალი ხართ თქვენს სინდისთან, თუ ცრუობთ.

რა არის თქვენი მიზანი, რას შეიძლება მიაღწიოთ თქვენ ამ არჩევნებში?

გამარჯვებით რომ ვერ გაიმარჯვებთ, ეს თქვენ ძალიან კარგად იცით.

ერთადერთი, რასაც შეიძლება მიაღწიოთ, ის არის, რომ ხმების გარკვეული რაოდენობა წაართვათ „ქართულ ოცნებას“, რასაც შეიძლება მეორე ტური მოჰყვეს.

თუმცა ეს ვერსიაც ფრიად უტოპიური მეჩვენება, რადგან ვფიქრობ, რომ კახა კალაძე ძალიან დიდი უპირატესობით მოიგებს და თქვენს მიერ წაციცქნილი ხმები საერთო სურათს ვერ შეცვლის, მაგრამ, დავუშვათ, რომ ჩემი ვარაუდი არ გამართლდა და მეორე ტური დაინიშნა, სადაც დიდი ალბათობით კახა კალაძე და ნიკანორ მელია გავლენ.

ნიკანორ მელიასთვის წვალობთ და ჯახირობთ ამდენს, ბატონო გიორგი, იმ ნიკანორ მელიასთვის, რომელმაც თქვენი პრემიერ-მინისტრობა შეიწირა და რომელზეც მტკიცედ გაქვთ ჩამოყალიბებული პოზიცია, რომ მელია დამნაშავეა და ციხეში უნდა იჯდეს?

არა მგონია, მელიასადმი ფარული სიყვარული და მისი გამარჯვების სურვილი გამოძრავებდეთ თქვენ, ბატონო გიორგი, ამ გადაწყვეტილების მიღებისას.

ასეთი მარტივი კაცი არ ხართ თქვენ, რომ ასე პრიმიტიულად აზროვნებდეთ.

ამ ჩანაფიქრს შეიძლება გაცილებით სახიფათო და საგანგაშო გაგრძელება ჰქონდეს, ვიდრე ეს მელიასთვის მხარდაჭერაა.

მელია მეორე ტურშიც რომ ჩაფლავდება, ცხადზე ცხადია, მაგრამ მეორე ტურმა შეიძლება სახარბიელო ფონი შექმნას დაპირისპირების ესკალაციისთვის, არეულობისთვის, დესტაბილიზაციისთვის, რაც ასე გულით უნდათ ნაცებს და რისთვისაც ასე თავგანწირულად ირჯებიან 2019 წლის 20 ივნისიდან.

აი, ამ დესტრუქციული პროცესების პროვოცირებას და გაღვივებას ემსახურება თქვენი მონაწილეობა ამ არჩევნებში?

ცეცხლზე ნავთის დამსხმელი „მერიქიფის“ როლი გინდათ შეასრულოთ ამ „წვეულებაზე“?

— არა, რას ბრძანებთ? საიდან მოიტანეთ? რა სისულელეაო, — კვლავ იტყვით თქვენ და თქვენს „საფირმო“ ღიმილს მოიშველიებთ, მეტი დამაჯერებლობისთვის.

ღიმილი ღიმილად, მაგრამ თქვენს საქციელს სხვა ლოგიკური ახსნა რომ არ აქვს, ამას რა ვუყოთ?

საიდანაც არ უნდა შევხედოთ ამ საქმეს, რამდენნაირი ვერსიაც არ უნდა განვიხილოთ, ბოლოს მაინც ერთ დასკვნამდე მივალთ — საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას მონაწილეობა თბილისის მერის არჩევნებში დესტრუქციის და დესტაბილიზაციისთვის ხელის შეწყობას ისახავს მიზნად.

კი, მაგრამ, ქვეყნისთვის მოსალოდნელი არეულობა და დაპირისპირება რომ ამეცილებიდა თავიდან, იმიტომ გადავდექი მეო, რომ ამტკიცებდით, ახლა რა გამოდის — ერთი საფრთხე აგვარიდეთ, მაგრამ მეორე, არანაკლებ საშიშ საფრთხეს გვიმზადებთ და ამ საფრთხის მომზადებაში იღებთ აქტიურ მონაწილეობას, პატივცემულო?

რა ვიფიქროთ ამის შემდე — ჩვენ რომ ტყუილი გვეგონა, მართლები ყოფილან თურმე თქვენი ყოფილი თანაგუნდელები „ქართული ოცნებიდან“ „ნაცმოძრაობასთან“ თანამშრომლობაში და ღალატში რომ გდებდნენ ბრალს?

არ არის ასე?

ტყუილს გიგონებენ, ცილს გწამებენ მართალ კაცს?

მაშინ მოხსენით თქვენი კანდიდატურა თბილისის მერის არჩევნებიდან და დაუმტკიცეთ ყველას, რომ ქვეყნის პატრიოტი და გულშემატკივარი კაცი ხართ და არა ბოღმით და რისხვით შეპყრობილი შურისმაძიებელი, რომელიც, ოღონდ ვიღაც-ვიღაცებზე შური იძიოს და მზად არის, მთელი ქვეყანა ამ შურისძიებას გადააყოლოს.

აბსოლუტურად გულწრფელად, სრული კეთილგანწყობით, ყოველგვარი ყალბი პათეტიკის გარეშე, მოგიწოდებთ, უარი თქვით თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობაზე.

რატომ უნდა გააკეთოთ ეს, ამის ახსნა-განმარტება, მე მგონი, ზედმეტია...

ეს არის ჩემი გამოსათხოვარი წერილი ბატონ გიორგი გახარიასთან.

მე ჩემი სათქმელი ვთქვი, დანარჩენი კი მასზეა დამოკიდებული.

**ვახტანგ ხარჩილავა**





# თინას ქმარი იწვის, ხალხო, სირცხვილისგან, სახანძრო გამაიძახეთ, წყალი მიაწუწეთ!

## „მე ვარ ერთ-ერთი იმ ადამიანთა შორის, რომელსაც სირცხვილი მოსვენებას არ მაძლევს, რომ „ოცნება“ მერქვა“

აბა, გამოიცანით, ვინ არის ამ ქვეყანაზე ისეთი, რომელსაც სირცხვილი მოსვენებას არ აძლევს და სარკეში ჩახედვისას წითლდება? მართალია, სარკეში იშვიათად იყურება, ბოლო დროს „გაბომჟდასავით“ კიდევაც, მაგრამ როცა „შიფანერკასთან“ გაივლის, „პალიროვკიან“ კარზეც აირეკლება ხოლმე და ამჩნევს, იქაც წითლდება.

მიხვდით? ჯერ ვერა? მიგახვედრებთ... „ქართულ ოცნებაში“ რომ იყო, იმას რცხვენია, რომელიც 1989 წლის 10 აპრილს შევიდა კომუნისტურ პარტიაში. 1989 წლის 9 აპრილს რაც მოხდა, იცით, აღარ მოგიყვებით, გულებს აღარ დაგიმძიმებთ. მოგვიანებით ჰკითხეს, არ გრცხვენიათო? არაო, მე იმიტომ შევედი კომუნისტურ პარტიაში, რომ მინდოდა, შიგნიდან დამენგრიაო. შევიდა ეს „ალღოიანი“ ტიპი (ალღოიანი გვარი არ გეგონოთ), ჩამოჯდა, ჭერში აიხედა, ბზარები დაათვალიერა და ამასობაში მოუსწრეს კიდევაც „თეთრებმა“, ანუ ეროვნულებმა.

დიახ, თქვენ სწორად მიხვდით... დღე-ღამეში ცხრაჯერ რომ იწვის სირცხვილით, გახლავთ დავით უსუფაშვილი, „ოცნების“ მიერ პარლამენტის თავმჯდომარედ გამწესებული 2012-დან 2016 წლამდე. იმ დროს, ანუ 2012-დან 2016-მდე საერთოდ არ შეწითლებულა, ვარდისფერსაც კი არ გადაუკრავს სახეზე, ღაწვებიც კი არ შეფაკლვია ოდნავ. პირიქით, იმდენი იძრომიალა ამერიკის საელჩოში, „ოცნების“ ეგიდით გადეპუტატებული ცოლი,



თინიკო ხიდაშელი თავდაცვის მინისტრად დაანიშნინა. მაშინ არ შერცხვა, მაშინ არ იფიქრა, სად ერეკლეს ხმალი და სად პაპაჩემის ყურებიანი ქუდიო... ანუ სად თინიკო, სად კიდე თავდაცვა და ჩვენი ჯარებიო. მივიდა მისი ცოლი სამინისტროში, შემოიცვა „ბუშლატა“, ამრეზით შეხედა „ბათინკებსა“ და ვინც არ მოსწონდა, ან არ მოეწონა, ყველა გააგდო სამსახურიდან. ჰო, კიდევ ისა, სავალდებულო სამხედრო სამსახური გააუქმა, ჩვენ მხოლოდ კონტრაქტიანი ჯარი გვჭირდებაო. კიდევ კარგი, სულ რამდენიმე თვე გასტანა თინიკოს სარდლობამ, თორემ ჯარსაც დაშლიდა და სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარებსაც. ახლა მკითხავთ, სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები რაღა შუაშიაო? შუაში კი არა, ზოგჯერ თავშია... ეგ ყველაფერი თავის დროზე გაკეთდა ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით და გადაეცა თავდაცვის ძალების დაქვემდებარებაში მყოფ სტრუქტურას („დელტას“). ალბათ გახსოვთ ის ფარული ჩანაწერი, 2012 წელს რომ გამოქვეყნდა, სადაც ირაკლი ღარიბაშვილი თინიკოს აგინებს. მართალია ეს ჩანაწერი ბევრ უწმაწურობას შეიცავდა, მაგრამ ეს მაინც იყო „კლასიკა“.

სხვათა შორის, ამ „კლასიკას“ ჰქონდა საფუძვლიანი მიზეზი, თინიკომ ახლადჩამოყალიბებული „ქართული ოცნების“ ბოსებს განუცხადა, ამერიკის შეერთებულ შტატებში მაგარი ლობისტები მყავს, ფული მომეცით, ჩავალ, დაველაპარაკები, მხარდაჭერა და ეგეთი რაღაცები ჩემზე იყოსო. დაუჯერეს, ჩავიდა, ჩემი ფეხები, თავის ნათესავებს ჩამოუარა, მილიონები გადარიცხა, გადმორიცხა, დააბინავა და ამაყი მზერით დაბრუნდა. რასაკვირველია, „ქართული ოცნების“ ბოსებმა ყველაფერი გაიგეს (ან კი რატომ ვერ გაიგებდნენ?) და სწორედ მაგის ნაყოფი გახლდათ ღარიბაშვილის სამართლიანი გინება.

მაშინ დავითს ხმა არ ამოუღია, არ შერცხვა, საერთოდ გაისუსა, რადგან ასე იყო საჭირო, ვერც ირაკლი ღარიბაშვილს გაუბედავდა რამის თქმას, ვერც (მით უფრო) ბიძინა ივანიშვილს. თუმცა დაიმახსოვრა, გახდა თუ არა ირაკლი პრემიერ-მინისტრი და თვითონაც მოჯდა კაი თანამდებობაზე (ფაქტობრივად მეორე კაცი იყო), ეგრევე დაიწყო არაკაცური ჩხირკედელაობა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, ივანიშვილს ულტიმატუმი წაუყენეს, ან მაგას გაუშვებ, ან ჩვენ დავტოვებთ კოალიციასო. მაშინ კოალიციის დატოვება დიდი თავის ტკივილი იქნებოდა „ოცნებისთვის“ და ამიტომაც ერთი კაცი შესწირეს ამათ არაკაცობას. ფაქტობრივად, მაშინ უსუფაშვილებმა, ბერძენიშვილებმა და მათთან გათანაბრებულმა პირებმა შური იძიეს, ენერგიითა და ნიჭით სავსე ადამიანი, რომელიც დღეს უამრავ კარგ საქმეს აკეთებს, სამი წლის განმავლობაში სახლში დასვეს. რასაკვირველია, მისი ჩამოშორება არ მომხდარა ცამოწმენდილზე, ამ ყველაფერს წინ უძღვოდა უამრავი ჭორი, ცილისწამება, პროვოკაცია და ასე შემდეგ. ძირითადი დაწოლა მოდიოდა ღარიბაშვილის ნათესავებზე, თითქოს „კახური კლანი“ მიადგა ბიზნესებს და დაიწყო ხელახალი გადანაწილება. ამან იმ პერიოდში გაჭრა, ახლა ვეღარ ჭრის, ყველა მიხვდა, რომ სააკაშვილის ხროვას მეთოდები დაუძველდა.

მოკლედ, ბატონი უსუფაშვილი დღემდე სირცხვილს არ შეუწუხებია, „ქართულ ოცნებას“ რომ წურავდა თავის სასარგებლოდ, არც მაშინ, ოთხი წლის განმავლობაში რომ იყო წამოწოლილი მხართეძოზე და მეორე კაცი ერქვა – არც მაშინ, თავისი ცოლი რომ გააპარლამენტარა და შემდეგ გაამინისტრა – არც მაშინ, თავისი ხალხი რომ გაიყვანა პარლამენტში, ვიღაც უნიჭოები, კორძაიები და ახალაიები – არც მაშინ!

იცით, კიდევ როდის არ გაწითლებულა უსუფაშვილი სირცხვილით? ირმა ინაშვილს არჩევნები რომ გაუყალბა საგარეჯოში და თინას მოწადინებით ვინმე თამარ ხიდაშელი რომ გაიყვანა. ეს იყო 2015 წელს, შუალედური არჩევნების დროს. ესე იგი, „ხიდაშლებისთვის“ და უსუფაშვილებისთვის ყველაფერი შეიძლება, მათ უნდა გაიყვანონ კაი ადგილებზე თავიანთი ნათესავები – მულები, მულიშვილები, დეიდები, მამიდები, რძლები... თუ სადმე ღარიბაშვილის ახლობელი ან ნათესავი გამოერია, ეს უკვე „კახური კლანია“, ეს არ შეიძლება, ეს ნეპოტიზმია.

როდესაც თინიკო ირმა ინაშვილს არჩევნებს უყალბებდა, მაშინ დავითს არ რცხვენოდა, მაშინ ფეხი ფეხზე ჰქონდა გადადებული და გულში ღიღინებდა!

მოდით, გადავიდეთ 1990-იან წლებში, ვინ არის ეს ტიპი, რატომ დაიგდო ჭკვიანი იურისტისა და პოლიტიკოსის სახელი, როცა ელემენტარული კაცობაც კი არ გააჩნია? ნათქვამია, ნურასოდეს ჩააფურთხებ იმ ჭაში, საიდანაც წყალს სვამდიო. ეს უნამუსო წლების განმავლობაში „ქართული ოცნებიდან“ სვამდა მხოლოდ წყალს კი არა, პარტიას ყვლეფდა და ხრავდა შიგნიდან. ორივენი, ცოლ-ქმარნი ხრავდნენ როგორც „ოცნებას“, ასევე პარტიას.

იცით, სად იყო უსუფაშვილი 1992–1994 წლებში? იყო სახელმწიფო საბჭოში იურიდიულ მრჩევლად. ეს ის საბჭო გახლავთ, პუტჩისტებმა რომ შექმნეს ზვიად გამსახურდიას გაძევებისა და ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ. ეს ვირეშმაკა ფაქტობრივად, ყველა მონაცემების თანახმად, პუტჩისტია. ესე იგი, იყო კომუნისტური პარტიის წევრი, შემდეგ კი გვერდში დაუდგა კიტოვანს, იოსელიანს, სიგუას და შევარდნაძეს. 1993–1995 წლებში მონაწილეობდა საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებაში, იყო შესაბამისი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი. 1994 წელს იყო საიას ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი პირველი თავმჯდომარე.

ახლა რომ ჰკითხო, რა გინდოდა „მოქკავშირში“, ან სახელმწიფო საბჭოში პუტჩისტებთანო, გიპასუხებთ, შევარდნაძის გარემოცვა შიგნიდან უნდა დამენგრიაო.

უსუფაშვილი უფრო შორს მიდის, უფრო ბრიყვი ყოფილა, ვიდრე მეგონა... თურმე მისი აზრით, ივანიშვილის რეალური წასვლის დრო დამდგარა, თურმე მან ქვეყნის მართვა ვერ შეძლო.

ახლა ნახეთ ამ ადამიანის უზნეობა: ბიძინა ივანიშვილი ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იყო ორი წლის განმავლობაში, დავით უსუფაშვილი მეორე კაცი, ანუ პარლამენტის თავმჯდომარე იყო ოთხი წლის განმავლობაში, ვის უნდა ემართა ქვეყანა, მხოლოდ ივანიშვილს? ეს ჩურჩუტი თავად რატომ არ იღებს პასუხისმგებლობას? აბა, ახლა მითხარით, რა გააკეთა ოთხი წლის განმავლობაში, რა გახსოვთ მისი „სასახელო“ საქმეებიდან? ვერაფერს გაიხსენებთ. რომ ჰკითხო, თავი დიდი მოღვაწე ჰგონია... არადა, ეგეც კაი „ვოზდუხია“ თავის ცოლთან ერთად.

ნახეთ, რაც ამბობს შემდეგ: „აუცილებელია ხელისუფლების შეცვლა, ეს შეცვლა სჭირდება ქართველ ხალხს. „ოცნების“ მხარდამჭერებს შესაძლოა, კიდევ უფრო მეტად სჭირდებათ ხელისუფლების შეცვლა იმიტომ, რომ რაც დრო გადის, მით უფრო სამარცხვინო ხდება უკან მოხედვა“.

ამას მარტო უნამუსობა კი არ სჭირს, რამსებიც კაი გვარიანად აქვს არეული – თან იძახის, რას ჰქვია, წავიდა, სად წავიდა, ეგრე სად არიო? ივანიშვილის რეალური წასვლის დრო დადგაო. წარმოგიდგენიათ? უსუფაშვილი წყვეტს, ვინ სად უნდა წავიდეს, როდის უნდა წავიდეს და რატომ უნდა წავიდეს. ამან უნდა გაანაწილოს საგზურები... მაიცა, წავიდა რა, აღარ უშლიან? სად წავიდა, ეგრე სად არი? ივანიშვილი უნდა წავიდეს, უსუფაშვილი უნდა მოვიდეს, ახალი სახეა, ამომავალი ვარსკვლავია. ჰო, მარტო უსუფაშვილი კი არა, ისიც უნდა მოვიდეს, რა ჰქვია... ბადრი ჯაფარიძე, ეგეც მომავალი თაობაა, მამუკა ხაზარაძე – მეორე ილია ჭავჭავაძე, უზადო ბანკირი, ქვეყნის აღმშენებელი, მარშალის გეგმის ავტორი. ლევან ბერძენიშვილიც მოვა ახლებურად, ვერც კი შეამჩნევთ, რომ მოძველდა და მოფახფახდა. სხვათა შორის, არც უსუფაშვილი ჰგავს ქარხნიდან გამოტანილ ტაოტიან „ნივას“, ესეც კაი ამორტიზებული ჯეელი გახლავთ. არ გამოვრიცხავ, თავში სასირცხვო ჭანჭიკი დაეშვა და ამიტომაც გამოუღვიძდა შესაწითლებელი გრძნობები.

მისი სიო (მამუკა ხაზარაძე) იმდენად მყიფე და მიუღებელია საზოგადოებისთვის, ერთადერთი, რასაც შეიძლება მიაღწიოს მომავალშიც, ეს მხოლოდ დეპუტატობაა. რაღა დაგიმალოთ და... ამაშიც ეჭვი მეპარება. თუ ამ ტიპის ბიოგრაფიას დავაკვირდებით, მისი „მოღვაწეობა“ იყოფა 4-წლიან ციკლებად – ხან ვის ეკიდება, ხან ვის, ხან ვისი ტვირთია, ხან ვისი. ასე გააქვს თავი პოლიტიკურად.

მე არ მიყვარს პირად ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფა, მაგრამ ზოგჯერ მაიძულებენ, რაღაც ვთქვა ხოლმე: ავი ენები ამბობენ, დავითი თინამდე ვიღაც ქალს ჰყვარობდა, იმ ქალთან ვაჟიც შეეძინა, მაგრამ რათ გინდა, არც აღიარებს, არც გვარს აძლევს და არც ეხმარებაო. აქ მთავარი ის გახლავთ, რომ ამ ვაჟბატონს არ რცხვენია... აი, „ქართულ ოცნებაში“ რომ ეგდო, იმისი კი რცხვენია, თანაც ისე, იწვის სირცხვილისგან... ტატატატააააა! იწვის, ხალხო, იწვის, სახანძრო გამაიძახეთ, წყალი მიაწუწეთ, თორემ ერის მომავალი საფრთხეშია.

გეყურებათ? მიაწუწეთ, საფრთხეშია-მეთქი!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# უმადურობაზე და სიკეთის დაუნახაობაზე დიდი ცოდვა არ არსებობს

„ქართული ოცნება“ არის პარტია, რომელიც ზრუნავს გაჭირვებულ ადამიანებზე. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს მისი დამფუძნებელი ბატონი ბიძინა ივანიშვილი. ამ ადამიანს სხვა არაფერი ამოძრავებს, გარდა ქართველი ხალხის სიყვარულისა. წინა მთავრობის პერიოდში თუ რამე სერიოზული საქმე კეთდებოდა, ლომის წილი ბატონ ბიძინას მიუძღვის, მაგრამ წინა მთავრობა ბატონ ბიძინას გაკეთებულ საქმეებს თვითონ იბრალებდა. ყველა სერიოზულ ობიექტს „ქართუ“ ფონდი აფინანსებდა, მაგრამ დაუნახავი წინა მთავრობა არ ხედავდა ამ ადამიანის გაკეთებულ სიკეთეს, მაგრამ ხალხი ყველაფერს ხედავდა, ვინ რისი გამკეთებელი იყო და ამიტომ იყო 2012 წელს ბატონ ბიძინას მილიონობით ადამიანი რომ დაუდგა გვერდით და ის მთავრობა წარსულს ჩააბარა, გახდა პრემიერ-მინისტრი ბატონი ბიძინა და დაიწყო ხალხზე ზრუნვა — ხალხს მოემატა პენსია, მოემატათ ხელფასები, დევნილებს გადაეცათ საცხოვრებელი ბინები. ჩვენ ერთ დროს ვერც იმას წარმოვიდგენდით, რომ ნახევარ მილიონ ადამიანს ვინმე ვალებს დაუფარავდა, მაგრამ მოხდა სასწაული.

მე ვარ პირველი ჯგუფის ინვალიდი, სიარული არ შემიძლია, ვზივარ ინვალიდის ეტლში. გაგონილი მქონდა, რომ არსებობდა ინვალიდის ელექტროეტლი, რომლითაც შევძლებდი დამოუკიდებელ სიარულს და არ დამჭირდებოდა სხვისი დახმარება, მაგრამ ისე ძვირი ღირდა, ვერ შევძელი მისი ყიდვა. დღევანდელმა მთავრობამ გაითვალისწინა შშმ პირების პრობლემები და გადაწყვიტა, რომ ელექტროეტლები უფასოდ მიეცათ შშმ პირებისთვის. თხოვნით მივმართე ჯანდაცვის სამინისტროს, რათა უფასოდ მოეცათ ელექტროეტლი. ჯანდაცვის სამინისტრომ გულთან მიიტანა ჩემი თხოვნა და ცოტა ხნის შემდეგ სამინისტროს წარმომადგენლები თვითონ ჩამოვიდნენ ხაშურში და ჩამომიტანეს ძვირადღირებული ელექტროეტლი და უფასოდ გადმომცეს. მადლობას ვუხდი „ქართულ ოცნებას“ და ჯანდაცვის სამინისტროს თანადგომისთვის, რომ მდგომარეობა გამიუმჯობესეს — ახლა აღარავის ვაწუხებ და ჩემით დავდივარ ელექტროეტლით.





ბატონმა ბიძინამ უამრავ ადამიანს გადაუდებელი ძვირადღირებული ოპერაციები დაუფინანსა საზღვარგარეთ, ბევრი ადამიანის სიცოცხლე იხსნა სიკვდილისაგან, მაგრამ გულდასაწყვეტი ის არის, რომ ზოგმა პატივისცემა ღალატით გადაუხადა. მოდით, გულწრფელები ვიყოთ: ბატონ ბიძინას იმდენმა და იმდენჯერ უღალატეს ვითომ ღირსეულმა ადამიანებმა, სხვა მის ადგილზე საერთოდ ჩაიქნევდა ხელს. რაც ამ ადამიანს ამ ქვეყნის წინაშე ღვაწლი აქვს, ამას დანახვა უნდა, რასაც ბევრი არ ხედავს და პირად სარგებლის მოხვეჭითაა დაკავებული. იმის ნაცვლად, ადამიანებს მადლიერება გამოგვეხატა და მცირედი პატივისცემა დაგვეფიქსირებინა ამ ადამიანის მიმართ, ღალატი და ლანძღვა დავუწყეთ. ასეთი ადამიანის არდაფასება კარგ არაფერს მოგვიტანს. ბატონ ბიძინას ქველმოქმედებაში სამ მილიარდამდე დოლარი აქვს დახარჯული. ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ ეგ ყველაფერი ვერ დაინახოს.

ბოღმამ, შურმა და სიხარბემ დააქცია საქართველო დასაბამიდან დღემდე.

ბატონი ბიძინას დამსახურებაა, ქუჩაში უდანაშაულო ხალხს რომ აღარ ხოცავენ, რაც ხდებოდა ნაცების დროს.

ასე რომ, ეს იცოდეთ კარგად, კარგად დაიმახსოვრეთ, ამ ადამიანს ლომის წვლილი მიუძღვის სისხლიანი რეჟიმის ჩამოშორებაში, რომელიც ამ ქვეყანას 9 წელი აჩანაგებდა.

ბატონო ბიძინა, ამ დაუნახავ ბრბოში დიდი გამძლეობა მოგეცეთ უფალმა. იესო ქრისტემ დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ, რათა მტრის ჯინაზე უფრო მეტი სიკეთე გვეკეთებინოთ.

უმადურობაზე და სიკეთის დაუნახაობაზე დიდი ცოდვა არ არსებობს — დაიმახსოვრონ ეს იმ ადამიანებმა, რომლებიც ბიძინა ივანიშვილზე აუგის თქმას კადრულობენ.

დიდი პატივისცემით

**მამუკა ნოზაძე**
ხაშური

# ვახტანგ ხარჩილავა – ციკლიდან „მე ვარ COVID-19“

რა პატარაა თურმე დედამიწა —
უხანში, მოხუცი ჩინელისგან
ამოხველებული ვირუსი
აგერ, „ნახალოვკაში“,
ყანყრატოში ეცა ვალიკოს
და დახრჩობა მოუნდომა.
კარის მეზობელი კარის მეზობელს
ბოლოკს რომ გადააწოდებს,
ისე უცებ მოსწვდა უხანიდან
გადმოწოდებული ვირუსი „ნახალოვკას“.

უხანელებმა და „ნახალოვკელებმა“
აქამდე არ იცოდნენ,
რომ კარის მეზობლები ყოფილან თურმე
და მანძილი მათ შორის
ერთი დახველებით იზომება.

გამოიარა ლაოძის ფილტვი,
გამოიარა ერნესტოს ხორხი,
გამოიარა მარჩელოს გული,
გამოიარა სტივენის ღვიძლი,
გამოიარა მუსტაფას ვენა
და ვალიკოს ფილტვში ჩასახლდა.

ახლა სუყველას ერთად სტკივა
გამშრალი ყელი,
ახლა სუყველას ერთად სტკივა
გამხმარი ფილტვი
უხანიდან „ნახალოვკამდე“,
„ნახალოვკიდან“ ვაშინგტონამდე,
ვაშინგტონიდან მოსკოვამდე,
ყველა ერთ ხმაში ახველებს
და ერთ ხმაში კვნესის.

რა საოცარი მუსიკაა,
რა საოცარი სიმფონიაა,
მთელი დედამიწის გამაერთიანებელი,
მთელი პლანეტის ერთად შემკვრელი.
გაივსო სევდით ცა,
პლანეტის საერთო სხვენი.

●

– დაიცავით სოციალური დისტანცია, —
გვაფრთხილებს ბატონი ამირანი —
ახლად მოვლენილი ქადაგი,
ახალი რელიგიის მქადაგებელი.
— დისტანციურად გიყვარდეთ ერთმანეთი,
ნუ ჩაეხუტებით ერთმანეთს,
ორ მეტრზე ახლოს
ერთმანეთს ნუ მიუახლოვდებით,
ორი მეტრის სიშორეზე იკონტაქტეთ,
თუ გინდათ, რომ გადარჩეთ, —
გვირჩევს მეორე ქადაგი,
სახელად პაატა,
მაგრამ იმას არ გვიხსნის,
ორი მეტრის რადიუსზე
როგორ გავაკეთოთ ბავშვები
და თუ ბავშვები არ გავაკეთეთ,
როგორ უნდა გადავრჩეთ?
ორი მეტრის სიშორეზე მიყვარხარ,
ორი მეტრის მანძილზე მენატრები,
ორი მეტრის მანძილზე ვუკვდებით ერთმანეთს
და ერთმანეთის გადარჩენა არ შეგვიძლია.

თუ ასე გაგრძელდა,
რა იქნება ხუთი წლის შემდეგ,
რა იქნება ათი წლის შემდეგ,
ოცი წლის შემდეგ.
როგორი იქნება ეს დედამიწა,
კასტრირებული დედამიწა,
ბებრების დედამიწა,
სადაც ბავშვები არ გაჩნდებიან.

●

— ოჯახის შექმნის მიზნით
ვეძებ მამაკაცს,
რომელიც თავის სპერმას გამომიგზავნის, —
დაწერა სოციალურ ქსელებში ქალბატონმა.
ეს იქნება ახალი ტიპის ოჯახი,
სადაც ცოლ-ქმარს არასოდეს ექნებათ
საერთო სარეცელი,
მაგრამ ეყოლებათ საერთო ბავშვები,
ფოსტის ბავშვები,
ქსელური მარკეტინგის ბავშვები.
წმინდა ჩასახვა.
დისტანციური ჩასახვა,
რომლის შედეგად
ახალი ღმერთი უნდა დაიბადოს,
ახალი ღმერთი — COVID-19.

# შეიცვლება თუ არა მსოფლიო თალიბების მეორედ მოსვლით?

„...სამყარო შეიცვლება. დღევანდელთან შედარებით განსხვავებული იქნება... თალიბები სრულად გადაიხდიან საფასურს მათ მიერ განხორციელებული ტერაქტისთვის“, — განაცხადა 2001 წლის შემოდგომაზე ამერიკის შეერთებული შტატების იმდროინდელმა პრეზიდენტმა — უმცროსმა ჯორჯ ბუშმა.

უცნაური ფაქტია — 11 სექტემბრის ტერაქტზე პასუხისგებაში არავინ მიუციათ, არც ორგანიზატორები და არც ხელისშემწყობები! ექსპერტებს სხვა ბევრი კითხვაც აქვთ. სავარაუდოდ, ეჭვების გასაფანტად, პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ტერაქტის 20 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებაზე განაცხადა, რომ „ტყუპებზე“, ანუ ორ ცათამბჯენზე განხორციელებული შეტევის შესახებ არსებულ საიდუმლო მასალების ნაწილს გაასაჯაროებენ. ექსპერტებს არ სჯერათ, რომ ყველა კითხვაზე პასუხს მიიღებენ. მათი განცხადებით, პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობის მასალების გასაჯაროებაც სცადა აშშ-ის ხელისუფლებამ, მაგრამ მხოლოდ უკვე ცნობილი ფაქტები გამოიტანეს დღის სინათლეზე.

საინტერესოა, რომ 2001 წელს ავღანეთში ომის დაწყების ინიციატორები ჯორჯ ბუში და მისი ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი ტრაქტის მსხვერპლთა ხსოვნის ღონისძიებაზე არ გამოჩენილან. მათ მაგივრად ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა ჯო ბაიდენს მოუწია. ტერაქტის საპასუხოდ ავღანეთში ომის დაწყების შემდეგ ჯორჯ ბუშის რეიტინგი მკვეთრად გაიზარდა. ახლა, ომის დასრულების შემდეგ, ჯო ბაიდენის რეიტინგი 38%-მდე დაეცა. დამტკიცებული ფაქტია, რომ საშინელი ტერაქტი არაბებმა განახორციელეს, ომი კი ავღანეთს გამოუცხადეს! რატომ?

მოქმედ პრეზიდენტს არ პატიობენ ავღანეთიდან ჯარებისა და მოქალაქეების ქაოტურად გაყვანას. ამის გარდა, სამხედროებმა წასვლის შემდეგ ქვეყანაში დიდძალი იარაღი დატოვეს, რომელიც თალიბებმა დაისაკუთრეს. კონგრესმენ ჯიმ პენსის თქმით, აშშ-ის არმიამ 85 მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღი და ტექნიკა დაუტოვა თალიბებს (შედარებისთვის — რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წლიური ბიუჯეტი 55 მლრდ დოლარია). სამხედრო ექსპერტების შეფასებით, თალიბანი თანამედროვე ისტორიაში ყველაზე მდიდარ, კარგად შეიარაღებულ და ეკიპირებულ ტერორისტულ ორგანიზაციად იქცა.

ოპონენტებს არ ეთანხმება ჯო ბაიდენი. მისი თქმით, ავღანეთიდან ჯარების გაყვანა და მოქალაქეების ევაკუაცია არნახულად წარმატებული ოპერაცია იყო. ბაიდენმა განაცხადა: „... დასრულდა ერა, როდესაც ძალის გამოყენებით სხვა ქვეყნებში ვამყარებდით წესრიგს და დემოკრატიას. დიდი სამხედრო ოპერაციების ერა დასრულდა“. მისივე თქმით, ახლა ჩინეთისა და რუსეთის წინააღმდეგ უნდა გააქტიურონ მუშაობა. პოლიტოლოგებს არ სჯერათ, რომ აშშ აღარ ჩაერევა სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში.

ავღანეთში ომის დამთავრებით ჯო ბაიდენმა პოლიტიკურად მოსალოდნელზე მეტი დივიდენდები დაკარგა. სულ უფრო ხშირად ისმის მისი გადადგომის მოთხოვნა. აშშ-ის სენატი და კონგრესი თვის ბოლომდე საზაფხულო არდადეგებზე იმყოფებიან, ამიტომ მხოლოდ ცალკეული პოლიტიკოსები აფიქსირებენ თავიანთ პოზიციებს. პრეზიდენტ ბაიდენს მოკავშირე ქვეყნებშიც დაუპირისპირდნენ.





„...ჰეგემონი მოკვდა! აშშ აღარ შეიძლება ჩაითვალოს სამყაროს ზესახელმწიფოდ!“ — განაცხადა ჯარების გაყვანის დასრულების შემდეგ დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ბენონ უოლესმა. ევროკავშირის კომისარი ჟოზეფ ბარელი ჯარების გაყვანას აშშ-ისა და ნატოს ერთობლივ დამარცხებად მიიჩნევს.

ევროპაში კვლავ ალაპარაკდნენ საკუთარი სწრაფი რეაგირების ჯარის შექმნაზე. მართალია, იდეას მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდა, მათ შორის ერთ-ერთი პირველი ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგია. მისი განცხადებით, ნატოს პარალელურად ევროპაში და, საერთოდ, მსოფლიოში, რაიმე ახალი სამხედრო შენაერთის შექმნა დაუშვებელია. ჩეხეთის პრეზიდენტი მილოშ ზემონი ნატოს ფულის ფუჭად ფლანგვის ორგანიზაციად მიიჩნევს. ვნახოთ, როგორი გაგრძელება მოჰყვება იდეების ჭიდილს.

მსოფლიო ახალ გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციის სტადიაში შევიდა, — ასე აფასებენ დღევანდელ ვითარებას მსოფლიოს პოლიტოლოგები. განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებშია გაურკვევლობა. მთავარი საზრუნავი ავღანეთიდან დევნილების მიღება-დაბინავება გახდა. ცალკეული ქვეყნები შიშობენ, არ განმეორდეს 2015–2016 წლების მოვლენები, როდესაც დევნილები მასობრივად მიაწყდნენ ევროკავშირს. შიშობენ, რომ დევნილების საფარით ქვეყნებში ტერორისტებიც შეაღწევენ. გერმანიაში უკვე აღმოჩნდა ავანეთიდან შესული 7 ადამიანი, რომლებიც ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები იყვნენ. თავად აშშ-ში უკვე 100 ასეთი ადამიანია დაკავებული. დევნილების მიღების წინააღმდეგია ევროკომისარი ჟოზეფ ბარელი. მისი განცხადებით, „...ევროკავშირს არანაირი ვალდებულება არ აქვს, იზრუნოს ავღანეთიდან დევნილებზე“. ორგანიზაციაში უთანხმოების გამო ახლა ფიქრობენ, ევროკავშირმა ავღანეთის მეზობელ ქვეყნებს გამოუყოს 600 მილიონი ევრო, რათა მათ დევნილები შეიფარონ. თუმცა ამის მსურველები დღემდე არ გამოჩენილან.

ვერ ვიტყვით, რომ კოალიციური ჯარების გასვლის შემდეგ ავღანეთში მშვიდობა დამყარდა. საინტერესო შეფასება გააკეთა ისრაელელმა ექსპერტმა იაკობ კედმიმ: „...აშშ-ისა და ავღანეთის პოლიტიკური მომავალი ერთნაირად არის ბურუსით მოცული“.

მართალია, ქვეყანაში მთავრობის ფორმირება მოხდა, უფრო ზუსტად, თალიბების მიერ ძალაუფლების ხელში აღება, მაგრამ ბევრი საკითხი კვლავ ღიად რჩება. ხელისუფლებაში, მათი დაპირების მიუხედავად, ქალები არ შეუყვანია თ. უფრო მეტიც — თალიბების განცხადებით, ქალების მოვალეობა ბავშვების გაჩენა და ოჯახზე ზრუნვაა. მთავრობის შემადგენლობაში მოხვდა 4 ადამიანი, რომლებიც გუანტანამოს მკაცრ ციხეში იხდიდა სასჯელს. მთავრობის ერთ-ერთი წევრის დაჭერაზე ან ლიკვიდაციაზე აშშ-ს ჯილდო, 10 მლნ დოლარი ჰქონდა დაწესებული. ახლა იგი მაღალ თანამდებობაზეა და ადვილი შესაძლებელია, აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლებთანაც მოუხდეს შეხვედრა და მოლაპარაკება.

თალიბებს ქვეყნის შიგნითაც გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები, რომლებიც მათ ჯერ კიდევ კოალიციური ჯარების გაყვანის დაწყებისთანავე იარაღით დაუპირისპირდნენ და როგორც ხელისუფლებას, არ აღიარებენ. ამბოხებულების ლიდერია ახმად მასუდი. მამამისი აქტიურად იბრძოდა საბჭოთა ჯარების წინააგმდეგ, მას ავღანელებმა „პანშერის ლომი“ შეარქვეს. იგი თალიბებმა გაანადგურეს, ვიდრე სამხედრო ოპერაციას დაიწყებდა 2001 წელს. სწორედ პანშერის ხეობაში გამაგრდა ახმად მასუდი ივლისში და იქიდან მოუწოდებდა მომხრეებს თალიბების წინალმდეგ ბრძოლისკენ.

გასულ კვირას თალიბებმა ფართომასშტაბიანი შეტევა განახორციელეს და ხეობაში შევიდნენ. ამასთან, ქვეყანაში სამოქალაქო ომი დასრულებულად გამოაცხადეს. სამხედრო ექსპერტები იმთავითვე აცხადებდნენ, პანშერის ხეობა ერთგვარი ხაფანგია, შესვლა ერთია, მაგრამ კონტროლის დამყარება თითქმის შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ პანშერის ხეობაზე კონტროლი საბჭოთა და აშშ-ის ჯარების ელიტურმა ნაწილებმაც ვერ შეძლეს. ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ თალიბებს ხეობაში დამკვიდრება გაუჭირდებოდათ. გამართლდა მათი ვარაუდი: ოთხი დღის წინ ახმად მასუდის მომხრეებმა შეძლეს ხეობის დაბრუნება. სავარაუდოდ, ავღანეთში მშვიდობა კიდევ დიდი ხანი არ იქნება და მოსალოდნელია ბრძოლების გაგრძელება.

თალიბების მხარდასაჭერი დემონსტრაცია გამართეს ქალებმა. რამდენიმე ასეულმა მათი ტრადიციების მიხედვით ჩაცმულმა და სახედაფარულმა ქალმა ჩაიარა ქაბულის ქუჩებში. მათი განცხადებით, კარგი და მისაღებია შარიათის კანონებით ცხოვრება და ქვეყნის მოწყობა.

პოლიტოლოგები ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია, ავღანეთი რადიკალური ისლამისტების ცენტრად გადაიქცეს. არ გამორიცხავენ, რომ შეიძლება ქვეყნის ტერიტორიაზე საჭირო გახდეს წერტილოვანი დარტყმები, უარეს შემთხვევაში, ფართომასშტაბიანი ბრძოლების განახლება. ქვეყნის, რაგიონისა და მთლიანად, სამყაროს მომავალი კვლავ ბუნდოვანია.





**გია ბურდული**
551 71 27 07

# საუკუნის ავანტიურა – როგორ ხიბლავდნენ ქართველი ძმები მსოფლიოს უმდიდრეს ქალებს

სერგო, დავითი და ალექსი ... მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში ეს სახელები გაზეთების პირველი გვერდებიდან არ ჩამოდიოდა. ჟურნალისტები დაწვრილებით აღწერდნენ გენერალ ზაქარია მდივანისა და ელისაბედ სობოლევსკაიას შვილების მდიდრულ ქორწილებს ულამაზეს მსახიობებთან და ცნობილი ბიზნესმენების მემკვიდრეებთან - ქორწილებს, რომლებმაც სიმპათიურ ქართველ მამაკაცებს საერთო ჯამში, ნახევარი მილიარდი დოლარი მოუტანა.

ისინი ხუთნი იყვნენ - სამი ძმა და ორი და: დავითი, სერგეი (სერჟი), ალექსეი, ნინა და რუსუდანი (იზაბელი). 1923 წელს საქართველოდან საფრანგეთში ემიგრაციაში წასული გენერალ-მაიორი ზაქარია მდივანის შვილებმა მსოფლიოს თავი ქართველ თავადიშვილებად გააცნეს, თუმცა ბევრი მათ თვითმარქვიებს უწოდებდა.

ოჯახს კეთილშობილთა ტიტული უმცროსმა ვაჟმა, ალექსიმ


ნინა და რუსუდან მდივანნი

მოუტანა. ემიგრაციაში ყოფნის დროს მან შესაბამისი ცნობის გაცემა ასევე ემიგრაციაში მყოფ დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტს, ნოე ჟორდანიას თხოვა, მაგრამ უარი მიიღო, სამაგიეროდ, პრეზიდენტის თანაშემწე დათანხმდა.. ასე იქცნენ მდივნები ქართველ თავადებად და რადგანაც თავადი საფრანგეთში პრინცად იწოდება, ამერიკაში ქართველი ემიგრანტები სამეფო სახლის შთამომავლებად მიაჩნდათ.

ზაქარია მდივანის სამივე ვაჟი მამაკაცური სილამაზის ეტალონს წარმოადგენდა. მიმზიდველი გარეგნობის, კარგი მანერებისა და „სამეფო წარმომავლობის“ დამსახურებით ძმებმა ყველაზე ცნობილ და სასურველ ქალბატონებზე დაქორწინება მოახერხეს. მდივნებმა სახელი ამერიკელი მილიონერების შვილებთან და ჰოლივუდის ლამაზმანებთან ქორწინებებითა და განქორწინებებით გაითქვეს. მათ ზედმეტსახელად „მექორწილე მდივნები“ შეარქვეს.

რაში მდგომარეობდა ქართველი ძმების წარმატების საიდუმლო? გარდა იმისა, რომ თვითმარქვია „პრინცები“ სიმპათიურები იყვნენ, ისინი შესანიშნავად ფლობდნენ ცდუნებისა და პირფერობის ხელოვნებას. ალექსის ცოლი, კინომსახიობი პოლა ნეგრი წერდა: „არასოდეს შევხვედრივარ ადამიანს, რომელიც მათსავით კარგად ფლობდა ცდუნების და პირფერობის ხელოვნებას. ჩვენს რეალისტურ, იუმორისგან დაცლილ ეპოქაში ეს ისეთი იშვიათობაა.. სწორედ ამაში მდგომარეობდა ძმები მდივნების ხიბლის საიდუმლო.. ეს საკუთარ თავზე გამოვცადე“.

მოდი, გავეცნოთ ქართველი ძმების „მიღწევათა“ ჩამონათვალს.

## დავით მდივანი

1926 წელს დავითი პირველად დაქორწინდა. მისი რჩეული ჰოლივუდის ცნობილი მსახიობი, ახლად შექმნილი კომპანია „მეტრო-გოლდვინ-მაიერის“ ვარსკვლავი, მეი მიურეი გახლდათ. დავითზე 16 წლით უფროსი მეისთვის ეს მეოთხე ქორწინება იყო. მსახიობმა მდივანს ვაჟი გაუჩინა, მაგრამ კარიერის გამო ამ ფაქტს ორი წლის განმავლობაში მალავდა. „ქართველი პრინცის“ სიყვარული მეის გაკოტრებისთანავე დასრულდა, რაც მთლიანად დავითის დამსახურება გახლდათ. სწორედ


დავით მდივანი


სერჟ მდივანი


ალექს მდივანი


სერჟ მდივანის ქორწილი

მან აიძულა მეი „მეტრო გოლდენ მაიერის“ მომსახურეობაზე უარი ეთქვა და პროდიუსერობა თავად შეეთავსებინა. ორი წლის შემდეგ მეი ფინანსური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა და პროფესია დაკარგა. ყველაფერთან ერთად, დავითმა მისი 3 მილიონი დოლარი მთლიანად გაფლანგა. ცოლ-ქმარი ერთმანეთს 1933 წელს, დიდი სკანდალით დაშორდა. ქალს ამდენ უბედურებასთან გამკლავება გაუჭირდა და ფსიქიკა შეერყა. მეი მიურეიმ სიცოცხლის ბოლო წლები მოხუცთა თავშესაფარში გაატარა. ქალი ირწმუნებოდა, რომ დავითი საშინლად ეჭვიანი იყო და ხშირად სცემდა.

მიურეისთან განქორწინების შემდეგ დავით მდივანი ფრანგული კინოს ვარსკვლავს არლეტს დაუახლოვდა. ქალი მალე დაორსულდა, მაგრამ როცა დავითისა და მეი მიურეის ოჯახური დრამის შესახებ გაიგო, აბორტი გაიკეთა.

დავით მდივანის მესამე ცოლი უდიდესი ნავთობკომპანია **Sinclair Oil**-ის პრეზიდენტის ქალიშვილი ვირჯინია სინკლერი გახდა. წყვილს მალე ვაჟი შეეძინა, თუმცა ეს ქორწინებაც ხანმოკლე აღმოჩნდა. განქორწინების ინიციატორი ამჯერადაც ცოლი აღმოჩნდა, რომელმაც დავითი უმიზეზო ეჭვიანობაში, ფიზიკურ ძალადობაში და ქონების გაფლანგვაში დაადანაშაულა.

ვირჯინია სინკლერთან განქორწინების შემდეგ დავითის კვალი იკარგება. სავარაუდოდ, „ქართველმა პრინცმა“ კიდევ რამდენიმე ქორწინება მოასწრო, რადგან 83 წლამდე იცოცხლა.

## სერჟ მდივანი

შუათანა ძმის პირველი სიყვარელი მუნჯი კინოს ვარსკვლავი პოლა ნეგრი იყო. წყვილი 1927 წელს


დავით მდივანის ქორწილი

დაქორწინდა. სერჟმა ცოლი ორი წლის შემდეგ მიატოვა, როგორც კი ამერიკული საფონდო ბირჟის დაშლის შემდეგ, პოლამ მთელი ქონება დაკარგა (5 მილიონი დოლარი, ვილა ბევერლი ჰილზში, ციხე-კოშკი პარიზის მახლობლად და ვილები ფრანგულ რივიერაზე).

გაზეთები წერდნენ, რომ სერჟ მდივანი ანგარებიანი ადამიანი და უსინდისო ალფონსია, მაგრამ ქალების გულთამპყრობელს ეს ნაკლებად ადარდებდა. ის უკვე გაცილებით წარმატებულ და შესაბამისად, მდიდარ კინოვარსკვლავს, გლორია სვენსონს ხვდებოდა, თუმცა სულ სხვა ქალბატონზე - ოპერის მომღერალ მერი მაკკორმიკზე დაქორწინდა. მეორე ქორწინებაც პირველის მსგავსად, დაახლოებით ორი წელი გაგრძელდა.

1936 წლის თებერვალში სერჟი მდიდარ ქვრივზე, თავისი განსვენებული ძმის პირველ ცოლზე - ლუიზა ასტონ ვან ალენზე დაქორწინდა და ერთი თვის თავადაც ძმის კვალს გაჰყვა - პოლოს თამაშის დროს საკუთარმა ცხენმა მოკლა.

## ალექს მდივანი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალექსის პირველი ცოლი ამერიკელი ბეწვის მწარმოებელი კომპანიის მფლობელის ქალიშვილი ლუიზა ასტონ ვან ალენი გახდა. ეს ქორწინება მხოლოდ რამდენიმე თვე გაგრძელდა - ალექსის ყურადღება ამჯერად ორასმილიონიანი ქონების მფლობელის ქალიშვილმა, ბარბარა ვულვორთ ჰატონმა მიიქცია. ქორწილი, რომელიც პარიზში გაიმართა, ჰატონებს მილიონი დოლარი დაუჯდათ.

სხვათა შორის, ქართველი თავადი ნიკო დადიანი ცდილობდა აეხსნა ფრანგებისთვის, რომ საქმრო თავადი კი არა, თვითმარქვიაა, მაგრამ მას არავინ მოუსმინა.

ქორწინების პირველ თვეებში ბარბარა ჟურნალისტებს ქმრის შესახებ აღფრთოვანებული უყვებოდა. „ქორწილის შემდეგ ამერიკელები თავიანთ სამსახურებს უბრუნდებიან და ცოლებს ივიწყებენ, მაგრამ ალექსი ასეთი არაა. იცით,პრინცესად ყოფნა ძალიან სასიამოვნოა.“ ოპტიმისტური პროგნოზების მიუხედავად, მდივანმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და ორი წლის შემდეგ ცოლს გაშორდა. „ჩვენ მშვიდობიანად დავცილდით. ჩემთვის ალექსი ერთ -ერთ საუკეთესო ადამიანად რჩება, ვინც ოდესმე ვიცნობდი“ - თქვა ბარბარა ჰატონმა.

1935 წლის ზაფხულში ალექს მდივანი სალვადორ დალისთან და ახალ შეყვარებულთან - ბარონესა მოდ ფონ თისსენ-ბორნემისასთან ერთად ესპანეთში, სიძის ვილაში ისვენებდა. 11 აგვისტოს ისინი ბარბარას ნაჩუქარი „როლსროისით“ სასეირნოდ წავიდნენ. ალექსმა, როგორც ყოველთვის, სიჩქარეს გადააჭარბა და კედელს შეასკდა. ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ბარონესამ ოდნავ დაშავდა, მდივანი კი ადგილზე გარდაიცვალა.

რა თქმა უნდა, ზაქარია მდივანის ქალიშვილებს განსხვავებული ცხოვრების წესი ჰქონდათ, თუმცა ქმრები მათაც გულდასმით შეარჩიეს.

## ნინა მდივანი

პირველად 1925 წელს დაქორწინდა. მისი რჩეული სტენფორდისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტების 48 წლის პროფესორ ჩარლზ ჰაბერიჩი გახლდათ. ნინა პროფესორს 1936 წლის 19 მაისს გაშორდა და იმავე წლის 18 აგვისტოს სერ არტურ კონან დოილის ვაჟზე, დენის კონან დოილზე დაქორწინდა. 1955 წელს, ქმრის გარდაცვალების შემდეგ ნინამ კიდევ ერთხელ იქორწინა. ამჯერად მისი რჩეული ქმრის მდივანი ენტონი ჰარვუდი აღმოჩნდა.

## იზაბელ (რუსუდან) მდივანი

მან სახელი იმით გაითქვა, რომ პოეტების მუზასა და მფარველს, ლიტერატურული და მუსიკალური სალონების დიასახლისს მისი სერტს მდიდარი ქმარი წაართვა. მისიმ ქმართან განშორება განქორწინების შემდეგაც კი არ ისურვა და დაახლოებით 10 წლის განმავლობაში სამივე ერთად ცხოვრობდა, სანამ 1938 წელს იზაბელი ტუბერკულოზით არ გარდაიცვალა.

მოამზადა
**ნელი თორდიამ**
571 35 36 88

# რატომ უსჯიდნენ გმირებს დახვრეტას საბჭოთა კავშირში?



85 წლის წინ, 1936 წლის 29 ივლისს, სსრკ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა საბჭოთა კავშირის გმირის წოდების შესახებ დებულება გამოსცა. 57 წლის განმავლობაში, სსრკ-ის უმაღლესი ჯილდო 12.8 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო, თუმცა აქედან 72 გმირის წოდება სხვადასხვა მიზეზით ჩამოართვეს. უფრო მეტიც, იყო შემთხვევები, როცა ადამიანს ჯერ გმირობისთვის აჯილდოვებდნენ, შემდეგ კი სიკვდილით სჯიდნენ. ჩვენ გიამბობთ რისთვის აძლევდნენ და ართმევდნენ საბჭოთა მოქალაქეებს გმირობას და რატომ უსჯიდნენ გმირებს დახვრეტას.

ჯილდოს დაწესებას წინ სამგზავრო ორთქლმავალ „ჩელიუსკინის“ ჩაძირვა უძღოდა. ტრაგედია ჩვეულებრივი, არაყინულმჭრელი გემის მიერ ჩრდილოეთის ზღვის გადაცურვის მცდელობას მოჰყვა, რასაც ეკონომიკურის გარდა, სამხედრო მიზანიც ჰქონდა – არქტიკის გავლით, შორეულ აღმოსავლეთში, საბჭოთა საზღვრებთან ახლოს, სადაც იაპონია ძლიერდებოდა, სამხედრო ტვირთისა და ჯარის ნაწილების გადასხმა იყო საჭირო.

მოგვიანებით განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ამ მარშრუტზე და ასეთ მოკლე დროში ყინულმჭრელის გარეშე წარმატებული მოგზაურობა შეუძლებელია, შესაბამისად, ექსპედიციამ ფიასკო განიცადა. 1933 წლის 23 სექტემბერს მურმანსკიდან ვლადივოსტოკის მიმართულებით მცურავი გემი „ჩელიუსკინი“ ჩუკოტკის ზღვის ყინულოვან მახეში გაება. გემმა ასეთ მდგომარეობაში თითქმის ხუთი თვე გაატარა და 1934 წლის 13 თებერვალს ჩაიძირა. 104 ადამიანი, მათ შორის ქალები და ბავშვები ყინულზე აღმოჩნდნენ.

ადამიანების გადასარჩენად სხვა გემის გაგზავნას აზრი არ ჰქონდა – სანამ გემი დანიშნულების ადგილს მიაღწევდა, ყინულის დნობა დაიწყებოდა და ჩელიუსკინელები წყლის ქვეშ აღმოჩნდებოდნენ. აუცილებელი იყო უფრო სწრაფი საშუალების მოძებნა. 1934 წლის აპრილში, პოლარული ავიაციის შვიდმა მფრინავმა ჩაძირული გემის ყველა მგზავრი სამშობლოში დააბრუნა. მფრინავები უკიდურესად რთულ პირობში მუშაობდნენ – მძიმე თვითმფრინავების აფრენა და დასმა ყინულის პატარა ზოლზე ხდებოდა, სადაც ერთი არასწორი მოძრაობა კატასტროფას გამოიწვევდა. მფრინავებმა გააკეთეს ის, რაც მანამდე არავის გაუკეთებია.

წარმატებით დასრულებული ოპერაციის შემდეგ შვიდ მფრინავს ქვეყნის მთავარი ჯილდო – ლენინის ორდენი გადაეცა, მაგრამ მათი გმირობა განსაკუთრებულ ტიტულს მოითხოვდა, რომელიც 1934 წლის 16 აპრილს, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების შემდეგ გამოჩნდა.

### „ჩამოართვით წოდება და დახვრიტეთ“

დაუჯერებლად ჟღერს, მაგრამ გმირებს შორის მოღალატეც ბევრი აღმოჩნდა. მაგალითად, ბრონისლავ ანტილევსკი, რომელსაც 1939 წელს ორი ფინური თვითმფრინავის ჩამოგდებისთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს,1943 წლის 28 აგვისტოს ტყვედ ჩავარდა და ნაცისტებს თავისი მომსახურეობა შესთავაზა. ნაცისტებმა ანტილევსკი ესკადრის მეთაურად დანიშნეს. ის ომის დასკვნით ეტაპზე საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა.1946 წლის 29 ნოემბერს, მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო სასამართლოს განაჩენით, მოღალატე დახვრიტეს, ხოლო 1950 წელს მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და სხვა სახელმწიფო ჯილდოები ჩამოართვეს.

იმავე წელს, სიკვდილით დასჯა კიდევ ერთ გმირს, ასევე მფრინავსა და ანტილევსკის მეგობარს მიესაჯა. მფრინავი სემიონ ბიჩკოვის ანგარიშზე ათი ჩამოგდებული გერმანული თვითმფრინავი იყო. 1943 წელს კი თავად ბიჩკოვის თვითმფრინავი ჩამოაგდეს და მფრინავი ტყვედ ჩაიგდეს. ანტილევსკის მსგავსად, ბიჩკოვიც გერმანელების მხარეს გადავიდა და მაიორის წოდებას მიაღწია.

საბჭოთა კავშირის გმირს, მარშალი გრიგორი კულიკს 1942 წლის 19 თებერვალს ქერჩის უნებართვო მიტოვების გამო გმირის წოდება ჩამოართვეს, ხოლო 1950 წელს გენერალ ვასილი გორდოვთან ერთად, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ შეთქმულების ბრალდებით დახვრიტეს. განაჩენის აღსრულებიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ კულიკს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განკარგულებით ყველა სახელმწიფო ჯილდო, მათ შორის ოქროს ვარსკვლავი ჩამოერთვა.

საბჭოთა კავშირის ათობით გმირს წოდება მკვლელობის, გაუპატიურების, ყაჩაღობის ან ქურდობის გამო ჩამოართვეს.

### საბჭოთა კავშირის ნამდვილი და წარმოსახვითი გმირები

ომის შემდეგ ჯილდოს გაუფასურება დაიწყო. სახელმწიფო ელიტის წარმომადგენლებისთვის გმირის ვარსკვლავი იმიჯის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა. ამ დროიდან წოდების ჩამორიგება დამსახურებებისა და იუბილეების მიხედვით დაიწყო.

ლეონიდ ბრეჟნევის დროს დაჯილდოებამ თითქმის კომიკური სახე მიიღო. ბრეჟნევი, რომელმაც სამამულო ომი გენერალ – მაიორის მოკრძალებული წოდებით დაასრულა, მალე საბჭოთა კავშირის ოთხგზის გმირი და სოციალისტური შრომის გმირი გახდა და თავისი წოდებებით სახელოვან სარდალს, გიორგი ჟუკოვს გაუთანაბრდა.

საბჭოთა კავშირის გმირის წოდებას ასევე გულუხვად ურიგებდნენ უცხოელ პოლიტიკოსებს სოციალისტური ბანაკიდან. მაგალითად, კუბის ლიდერს ფიდელ კასტროსა და ეგვიპტის პრეზიდენტს გამალ აბდელ ნასერს.

თუ პოლიტიკოსებმა ქვეყნის უმაღლესი წოდება დეკორაციის ელემენტად და საგარეო პოლიტიკის გავლენის ინსტრუმენტად აქციეს, რიგითი საბჭოელებისთვის გმირის ოქროს ვარსკვლავი დიდხანს ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემ სახელმწიფო ჯილდოდ ითვლებოდა.





მოამზადა
ნელი თორდია
571 35 36 88

# შავი ლაქები სახელგანთქმული ბრენდების „ბიოგრაფიებში“

### IKEA და უფასო შრომა

IKEA ისეთ კომპანიად გესახება, რომელსაც „ადამიანური სახე“ აქვს, სადაც ზრდილობიანი შვედები შემოგთავაზებენ იაფ, მაგრამ ლამაზ ავეჯსა და ჭურჭელს, რომელთაც სახალისო დასახელებები აქვს. მით უფრო მტკივნეულია იმის გაგება, რომ ამ კორპორაციის წარსული მონურ შრომასთან არის დაკავშირებული. საუბარი ეხება გასული საუკუნის 70-იან წლებს. სწორედ მაშინ გადაწყვიტა IKEA-მ გდრ-სთან თანამშრომლობა, სადაც პოლიტპატიმრები აწარმოებდნენ ხის ავეჯის მაკომპლექტებლებს და ამაში არავითარ ანაზღაურებას არ იღებდნენ. შვედური ფირმა ამ მომსახურებით ბერლინის კედლის დანგრევამდე, 1989 წლამდე სარგებლობდა.

### FORD და ანტისემიტიზმი

ავტოკონცერნის მფლობელი ჰენრი ფორდი, რომლის წარმოებასაც მისივე სახელი ერქვა, გახლდათ ინჟინერ-გამომგონებელი, გენიალური ბიზნესმენი და გერმანიის არწივის დამსახურების ორდენის კავალერი. ავტომობილების კონსტრუირების გარდა, ფორდს აინტერესებდა ამერიკაში ებრაელების შეთქმულების კონსპიროლოგიური თეორიები. მან შეიძინა მიჩიგანის შტატის ქალაქ დორნორნის გაზეთ „დორბორნ ინდეპენდენტის“ აქციები და ის ანტისემიტიზმის რუპორად აქცია. გაზეთი მთელ ამერიკაში ვრცელდებოდა უფასოდ ფორდის ავტოსალონების მეშვეობით. გამოცემაში გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც მკვეთრად გამოხატული ანტისემიტური ხასიათისა იყო, შეიკრიბა და ოთხტომეულად გამოიცა სათაურით: „საერთაშორისო ებრაელობა“, რომელიც 4,5 მლნ ტირაჟით გამოვიდა.

### NESTLE და მშრალი რძე

ჩვენში ეს დასახელება კაკაოსა და შოკოლადის ასოციაციას იწვევს, აფრიკის, აზიისა და სამხრეთ ამერიკის მოსახლეობაში კი ეს კომპანია ცნობილია იმით, რომ ცდილობდა, მშრალი რძის ფხნილი მოსახლეობის ყველაზე დაბალი ფენის წარმომადგენელი მეძუძური დედებისთვის მიეყიდა. გასული საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ის სენატმა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ დაგმეს Nestle-ს მშრალი რძის გაყიდვების ამორალური სტრატეგია. ექიმებად და მედდებად გადაცმული კომპანიის თანამშრომლები მეძუძურ დედებს ურიგებდნენ მშრალი რძის პირველ უფასო ულუფას დედამიწის უღარიბეს რაიონებში. რძის ფხვილის მიღების შემდეგ დედებს რძე უქრებოდათ და ქველმოქმედებაც სრულდებოდა, დედები იძულებულნი იყვნენ, რძე შეეძინათ, რაც ყველას როდი შეეძლო. ამის გამო ბავშვები წონაში ვერ იმატებდნენ და ავად ხდებოდნენ. მესამე სამყაროს ქვეყნებში, სადაც ბავშვებს „ნესტლეს“ რძის ნარევს აჭმევდნენ, ბავშვთა სიკვდილიანობა ხუთჯერ აღემატება დედის რძით ნაკვები ბავშვების სიკვდილიანობას. ყოველწლიურად 11 მლრდ დოლარის ღირებულების Nestle-ს ბავშვთა კვების პროდუქტი იყიდება.



# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია



**„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი**

მთვარისა კევლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

**— ვცილდები მეუღლეს. ტერიტორიულად რომელ სასამართლოში შევიტანო სარჩელი?**

— საქმე ეხება ოჯახური განსჯადობის დავას, რომელსაც არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლი, რომლის შინაარსსაც, გავცდები რა შეკითხვის ფორმატს, სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად წარმოგიდგენთ მთლიანად:

მუხლი 19. ოჯახური დავების განსჯადობა

1. სარჩელი ქორწინების შეწყვეტის, ქორწინების ბათილად ცნობის, აგრეთვე ქორწინების არსებობისა თუ არარსებობის დადგენის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ სარჩელის შეტანის დროისათვის ასეთი ადგილი არ არსებობს, მაშინ სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ მას არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი საქართველოში, მაშინ საქმეს განიხილავს სასამართლო მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. თუ მოსარჩელესთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რაც აძნელებს მის გამოცხადებას სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქმე შეიძლება მოსარჩელის თხოვნით გაირჩეს სასამართლოში მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. (ამოღებულია).

4. სარჩელი მამობის დადგენის შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

5. სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

* * *

**— გარდამეცვალა შვილი. მას დარჩა მეუღლე და ორი ვაჟი. ჩემი რძალი გვიცხადებს, რომ გარდაცვლილის ქონებიდან ჩვენ, მის მშობლებს არაფერი გვეკუთნის. არადა, ბინა, რომელიც ჩემი შვილის სახელზე ირიცხებოდა, ჩვენ ვაჩუქეთ სიცოცხლეშივე ჩემს გარდაცვლილ ვაჟს, რათა მომავალში არ დასჭირვებოდა ზედმეტი წვალება. ჩვენ ყველანი ერთად ამ ბინაში ვცხოვრობდით, ახლა კი რძალს არ სურს, მოხუცი დედამთილ-მამამთილი მასთან ცხოვრობდეს და გვავალდებულებს წავიდეთ სოფელში, სადაც დანგრეული სახლი გვაქვს, მამა-პაპისგან დარჩენილი. რამდენად სწორია ეს? გვეკუთვნის თუ არა ჩვენ წილი სამკვიდროდან?**

— უპირველესად, ვიზიარებ თქვენს მწუხარებას, შვილის გარდაცვალების გამო. ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი რამ ხდება ოჯახში.

ახლა მემკვიდრეობის საკითხი:

კანონით მემკვიდრეობის დროს კანონი თვითონ არეგულირებს, ვის უნდა დარჩეს გარდაცვლილის (მამკვიდრებლის) ქონება და რა რაოდენობით. ამ დროს არსებობს მემკვიდრეთა რიგითობის პრინციპი (სულ 5 რიგი), რაც იმას ნიშნავს, რომ წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეობას.



მოცემულ შემთხვევაში ჩვენი ინტერესის სფეროა პირველი რიგის მემკვიდრეთა სია. 1-ლი რიგის მემკვიდრეები არიან: გარდაცვლილის შვილები, შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები, (მშვილებლები).

აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენ, როგორც გარდაცვლილის მშობლები, ხართ შვილის მემკვიდრეები და ქონება 1-ლი რიგის მემკვიდრეებს შორის უნდა განაწილდეს თანაბრად. ამ დროს მემკვიდრეთა უფლებებს შორის არ არსებობს განსხვავება სამკვიდრო ქონებასთან მიმართებით. მემკვიდრეთა შორის სამკვიდროს გაყოფაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

* * *

**— ეხება თუ არა უვადო თავისუფლების აღკვეთას ამნისტიის კანონი?**

— უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

უპირველესად, მოგახსენებთ შემდეგს:

ზოგადად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72–1-ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელის სახით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვას., გარკვეული დათქმით. დაგიკონკრეტებთ:

თუ მსჯავრდებულმა, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი, სასამართლო უფლებამოსილია იგი პირობით გაათავისუფლოს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ამ კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამოსაცდელი ვადით. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის, ნასამართლობის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით.

1. თუ მსჯავრდებულმა, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი და წარმატებით გაიარა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა, სასამართლო უფლებამოსილია იგი პირობით გაათავისუფლოს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ამ კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამოსაცდელი ვადით. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიშის საფუძველზე, დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის, ნასამართლობის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით. (ამოქმედა 2021 წლის 9 თებერვლიდან)]

2. თუ მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში:

ა) განზრახ თავი აარიდა მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, სასამართლო უფლებამოსილია ამ კოდექსის 72-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ორგანოების წარდგინებით დაადგინოს, რომ გაუქმდეს გამოსაცდელი ვადა და აღსრულდეს უვადო თავისუფლების აღკვეთა;

ბ) გაუფრთხილებლობითი დანაშაული ჩაიდინა, გამოსაცდელი ვადის გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს წყვეტს სასამართლო;

გ) განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო უნიშნავს მას სასჯელს ამ კოდექსის 59-ე მუხლით დადგენილი წესით. იმავე წესით დაენიშნება მსჯავრდებულს სასჯელი გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისათვის, თუ სასამართლო გააუქმებს გამოსაცდელ ვადას

აქედან გამომდინარე, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ კანონი „ამნისტიის შესახებ“ ეხება უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებსაც ერთჯერადად, ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამომდინარე.

დაგიკონკრეტებთ:

კანონის „ამნისტიის შესახებ“ მე-5 მუხლი მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ კანონის ამოქმედების მომენტისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავით (ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულ პირს, რომელსაც სასჯელის სახით შეფარდებული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, სასჯელი შეეცვლებთ ვადიანი თავისუფლების აღკვეთით და მის ვადად განისაზღვრება ოცი წელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული შეწყალების აქტი მსჯავრდებულის უფრო ადრე გათავისუფლებას ითვალისწინებს.

* * *

**— მაინტერესებს. როგორ გამოითვლება ვადები სამოქალაქო სამართალში?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 კარის 1-ლი თავი ითვალისწინებს ვადების გამოთვლაის წესს, რომელსაც წარმოგიდგენთ სრულად.

მუხლი 121. ვადების გამოთვლის წესების გამოყენების სფერო

კანონებში, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და გარიგებებში მითითებული ვადების მიმართ გამოიყენება ამ თავში გათვალისწინებული წესები.

მუხლი 122. ვადის დასაწყისის აღმნიშვნელი დრო

თუ ვადის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლისას არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო.

მუხლი 123. ვადის დამთავრება

1. დღეების მიხედვით განსაზღვრული ვადა მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად.

2. ვადა, რომელიც განსაზღვრულია კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით – წლით, ნახევარი წლით, კვარტალით, – მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს.

3. თუ თვეების მიხედვით განსაზღვრულ ვადას აკლია ვადის გასვლის აღსანიშნავი კონკრეტული დღე, მაშინ ვადა მთავრდება ამ თვის ბოლო დღის დამთავრებისას.

მუხლი 124. ცნებები

1. ნახევარი წელი ნიშნავს ექვსთვიან ვადას, კვარტალი – სამთვიან ვადას, რომელიც აითვლება წლის დასაწყისიდან, ხოლო ნახევარი თვე – თხუთმეტდღიან ვადას.

2. თუ ვადა შედგება ერთი ან რამდენიმე მთლიანი და ნახევარი თვისაგან, ბოლოს უნდა გამოითვალოს თხუთმეტი დღე.

მუხლი 125. ვადის გამოთვლა ვადის გაგრძელებისას

ვადის გაგრძელების შემთხვევაში ახალი ვადა გამოითვლება გასული ვადის დამთავრებიდან.

მუხლი 126. ვადის გამოთვლა თვეების მიხედვით

1. თუ დრო განსაზღვრულია თვეების ან წლების მიხედვით იმგვარად, რომ არ არის საჭირო მათი ერთად გასვლა, მაშინ თვე გამოითვლება ოცდაათი დღით, ხოლო წელი – სამას სამოცდახუთით.

2. თვის დასაწყისად ითვლება თვის პირველი დღე, შუა თვედ – თვის მეთხუთმეტე დღე, ხოლო თვის დასასრულად – თვის ბოლო დღე.

მუხლი 127. გამოსასვლელი და სადღესასწაულო დღეები

თუ მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ან ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს ან მოქმედების შესრულების ადგილას გამოცხადებულ სადღესასწაულო ანდა სხვა გამოსასვლელ დღეებს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.

# ამერიკის სკანდალური პირველი ქალბატონები

მელანია ტრამპს ამერიკის ისტორიაში ყველაზე არაერთგვაროვან პირველ ქალბატონად მიიჩნევენ, თუმცა ის ერთადერთი როდია ამერიკის პრეზიდენტების მეუღლეებს შორის, ვინც სერიოზულ სკანდალებში გაეხვია.

თეთრ სახლს ახსოვს გაფლანგვის, ორქმრიანობისა და მკვლელობაში ეჭვის მიტანის ისტორიებიც კი.

წარსულში აშშ-ის პირველი ქალბატონების აქტივობები სახელმწიფო მიღებების დაგეგმვით, სადღესასწაულოდ თეთრი სახლის მორთვითა და სოციალური საკითხებით შემოიფარგლებოდა, რომლებიც ბავშვებსა და ჯანდაცვას ეხებოდა.

თეთრი სახლის დიასახლისები არასოდეს ყოფილან ყურადღების ცენტრში, ისინი აქტიურ როლს ქმრებს უთმობდნენ. თუმცა ყველა



აბრაამ და მერი ლინკოლნები

პრეზიდენტის ცოლი როდი იყო მოკრძალებული.

**„ყველაზე პირველი“ პირველი ლედი (ჰარიეტ ლეინი)**

1857 წელს არჩეული ჯონ ბიუკენენი ამერიკის პირველი და ერთადერთი პრეზიდენტი გახდა, რომელსაც ცოლი არ ჰყავდა. ხმები დადიოდა, რომ აშშ-ის მე-15 პრეზიდენტს რომანტიკული ურთიერთობა ჰქონდა ვიცე-პრეზიდენტ უილიამ რუფუს კინგთან. რადგან ბიუკენენს ცოლი არ ჰყავდა, პირველი ლედის მოვალეობებს მისი ნათესავი ჰარიეტ ლეინი ასრულებდა (რათა თავიდან აეცილებინათ საუბრები ქვეყნის მეთაურის ორიენტაციის შესახებ).

ნაციონალური ბიბლიოთეკის პირველი ქალბატონების ისტორიკოსის კარლ სპერაცი ენტონის სიტყვებით, „რადგან ის (ჰარიეტი) პრეზიდენტის ნათესავი იყო და არ იცოდნენ, როგორ მიემართათ, გადაწყვიტეს, მისთვის პირველი ლედი ეწოდებინათ“.

ასე გაჩნდა ტერმინი, რომელიც თეთრი სახლის დიასახლისს აღნიშნავს.

**პირველი ლედის ორქმრიანობა (რეიჩელ დონელსონი)**

მეცხრამეტე საუკუნე მეოცეზე ნაკლები სკანდალებით როდი აღინიშნებოდა. ამგვარად, ენდრიუ ჯექსონის ცოლი, რეიჩელ დონელსონი ვერ ეღირსა თეთრ სახლში გადასვლას, რადგან მეუღლის მიერ თანამდებობის დაკავებამდე ორი თვით ადრე გარდაიცვალა 1828 წელს.

ჯექსონის სიტყვებით, მისი რჩეულის გარდაცვალების მიზეზი პრესაში გაჩაღებული სკანდალი გახდა. ენდრიუმ და რეიჩელმა ერთმანეთი ჯერ კიდევ 1791 წელს გაიცნეს. მამაკაცი ვარაუდობდა, რომ დონელსონი განქორწინებული იყო და წყვილმა დაქორწინება გადაწყვიტა. სინამდვილეში, რეიჩელმა ვერ მოასწრო მეუღლესთან ურთიერთობის გარკვევა და მან ქალი ღალატში დაადანაშაულა. წყვილმა ვერ შეძლო ქორწინების გაფორმება 1794 წლამდე, ხოლო, როცა წლების შემდეგ ჯექსონი პრეზიდენტის პოსტზე იყრიდა კენჭს, ამ ამბავზე ყველა გაზეთი წერდა.

**მოდური მფლანგველი (მერი თოლდ ლინკოლნი)**

მერი თოლდ ლინკოლნის არამდგრადი ფსიქიკის შესახებ, რომელიც ამერიკის საზოგადოების ერთ-ერთი კერპის მეუღლე იყო, ბევრი ჭორი დადიოდა. მისის თოლდ ლინკოლნი შეძლებული ოჯახიდან იყო და მაღალი წრის ცხოვრების წირს მისდევდა. როცა აბრაამ ლინკოლნი 1861 წელს პრეზიდენტი გახდა, მისმა ცოლმა თეთრ სახლში ყველაფერი შეცვალა, ავეჯიც კი და გადაწყვიტა, ფედერალური სახსრებიც გამოეყენებინა, რათა ძვირადღირებული შენაძენები გაეკეთებინა.

მერის არა მარტო მოდის ტენდენციები აინტერესებდა — ყველაზე დიდი სკანდალი მაშინ აგორდა, როცა ჯარისკაცების კეთილდღეობისთვის გამოყოფილი თანხები მან გათავისუფლებული მონების დაფინანსებისთვის გამოიყენა.

**პირველი ლედი პრეზიდენტის ფუნქციებით (ედიტ ვილსონი)**

აშშ-ის 28-ე პრეზიდენტი კარგი ჯანმრთელობით არ გამოირჩეოდა და 1919 წლის ოქტომბერში, როცა მეორე ვადით აირჩიეს ქვეყნის პირველ პირად, ინსულტი გადაიტანა. მაშინ მისმა მეორე ცოლმა ედიტ ვილსონმა მთელი ძალისხმევა იქითკენ მიმართა, რომ ვუდრო პრეზიდენტად დარჩენილიყო. ფაქტობრივად, ის ასრულებდა თეთრი სახლის დიასახლისის კი არა, მისი პატრონის როლს. მიიჩნევა, რომ პირველი რამდენიმე თვის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ვუდროს სხეულის ნახევარი დაუდამბლავდა, სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ედიტი იღებდა.

სწორედ ამიტომ შეარქვეს მას „საიდუმლო პრეზიდენტი“.

**მშრალი კანონის პირობებში საზეიმო ვახშმების მომწყობი (ფლორენს ჰარდინგი)**

ამერიკელები ოპტიმიზმით შეხვდნენ უორენ ჰარდინგის თეთრ სახლში მისვლას, თუმცა ამ განწყობამ დიდხანს არ გასტანა. აშშ-ის 29-ე პრეზიდენტმა თანამდებობა ვუდრო ვილსონის იძულებითი გადადგომის შემდეგ დაიკავა. უორენი და მისი მეუღლე ფლორენსი მხიარულების მოყვარულები იყვნენ, ისინი უარს არ ამბობდნენ ხმაურიან კომპანიაზე, მაგარ სასმელებსა და პოკერის თამაშზე. ჰარდინგების წყვილის შესახებ ბევრი ჭორი დადიოდა — ამბობდნენ, რომ ისინი ერთმანეთს ღალატობდნენ და მშრალი კანონის პირობებში გამართულ წვეულებებზე ალკოჰოლს მოიხმარდნენ. მიიჩნევდნენ, რომ ფლორენს



რონალდ და ნენსი რეიგანები

დევულფზე, ბანკირის განათხოვარ ქალიშვილზე, უორენი ანგარებით დაქორწინდა, ხოლო, როცა ჰარდინგი გარდაიცვალა, გავრცელდა ჭორი იმის შესახებ, რომ ის ცოლმა მოწამლა.

**თავაშვებული პირველი ლედი (ელეონორ რუზველტი)**

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტსა და ელეონორა რუზველტს ლეგენდარული წყვილის სახელი ჰქონდათ, ეს ქორწინება სულაც არ იყო რომანტიკული. მეუღლეები უფრო თანამოაზრეები იყვნენ. პოპულარული პოლიტიკოსის სასიყვარულო ისტორიების შესახებ ბევრი რამ არის ცნობილი. ამასთან, ბევრი ჭორი დადიოდა იმის შესახებაც, რომ პირველ ლედის რომანი ჰქონდა ნიუ-იორკის შტატის პოლიციის თანამშრომელთან ერლ მილერთან იმ დროს, როცა მისი ქმარი იმავე შტატის გუბერნატორი იყო. სახელმწიფო მოხელესთან რომანი მისის რუზველტის შესახებ ყველაზე საინტერესო ინფორმაცია როდია. ამბობდნენ, ასევე, რომ 1932 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დროს ელეონორას რომანი ჰქონდა ჟურნალისტ ლორენა ჰიკოკთან. ამას ირიბად ადასტურებს ქალების მიმოწერა.

**პირველი ლედი, რომელიც წმინდანი არ ყოფილა (ბეტი ფორდი)**

ცნობილია, რომ ბეტი ფორდი ალკოჰოლზე დამოკიდებულებას ებრძოდა და ტკივილგამაყუჩებელ წამლებს გამოიყენებდა. თუმცა მან ასევე შოკი გამოიწვია საზოგადოებაში იმით, რომ გადაწყვიტა აშშ-ის 38-ე პრეზიდენტთან, საკუთარ მეუღლესთან საძინებელი გაეყო.

ფორდები პირველი წყვილი იყო კულიჯების შემდეგ, რომლებიც ღიად იყოფდნენ საძინებელს თეთრ სახლში. ამ ფაქტმა მთელ ქვეყანაში მოსახლეობის გულისწყრომა გამოიწვია.



ჯერალდ და ბეტი ფორდები

**ასტროლოგიის მსხვერპლი (ნენსი რეიგანი)**

აშშ-ის ბევრ პრეზიდენტზე განხორციელებულა თავდასხმა. როცა 1981 წელს, რონალდ რეიგანის მიერ თანამდებობის დაკავების შემდეგ მას ესროლეს, პირველი ლედი ადგილს ვერ პოულობდა. ნენსი რეიგანს პარანოია დაემართა მეუღლის უსაფრთხოების გამო. ის გადარეულივით გადიოდა კონსულტაციებს ასტროლოგებთან, რათა პრეზიდენტის გამოსვლებისთვის საუკეთესო დრო შეერჩია და მისი გრაფიკი შეედგინა. საზღვარგარეთის ქვეყნების პირველ პირებთან შეხვედრები პერსონალიზებული ასტროლოგიური კალენდრის შესაბამისად ხორციელდებოდა. საინტერესოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მე-40 პრეზიდენტი ამას არ აპროტესტებდა.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, ნელი თორდია, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატა ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს
„ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99